

K 156.861  
3

3 156.861  
3

3. ითონიშვილი




ქართლის  
მთიანეთა  
ყოფა-  
ცხოვრისადან



ქართველი მთელი და  
ყოველ-ცხოველი

K/156.861  
3



გამოიცემობა „საგჰორთა საქართველო“  
07 03 060 — 1974

902.7 (C<sup>41</sup>)

902.7 (47.922)

Π 409

ნაშრომში განხილულია აეტორის მიერ ქართლის მთიანეთში შეკრებილი ახალი ეთნოგრაფიული მასალა ჩვენი წინაპრების ყოფა-ცხოვრების შესახებ. წიგნის მიზანია მკითხველს გააცნოს თეორი არაგვის ხეობაში მცხოვრები მთიულების, შავი არაგვის ხეობაში მოსახლე გუდამაყრელებისა და ქსნის ხეობის სათავეების მკვიდრი ქართველი მთიულების ძეველი საოჯახო ყოფა. ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ნაშრომში ნაჩვენებია დიდი ოჯახის გაღმონაშოთური სახეობის შემადგენლობა, საოჯახო მეურნეობა, მმართველობის სისტემა, შრომის ორგანიზაციის ხასიათი, ოჯახის წევრთა ურთიერთობის ნორმები და საკუთრების ფორმები.



$$I \frac{0284 - 107}{M 601 (08) - 74} 368 - 74$$

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კვლევა მარტოოდენ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ვეღარ აქმა-ყოფილებს თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მაღალ მოთხოვნილებებს. საქმაოდ დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც ისტორიას, როგორც მეცნიერებას, მხარში ამოუდგნენ ერთხანს დამხმარე საგნებად სახელდებული, მაგრამ დღეისათვის დამოუკიდებელ დარგებად ჩამოყალიბებული ისეთი სამეცნიერო დისციპლინები, როგორიცაა არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, ნუმიზმატიკა და სხვა. მათ შორის სწორედ ეთნოგრაფია ის დარგი, რომლის ამოცანას შეადგენს ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლა მისი ძირითადი კომპონენტების მიხედვით. ამიტომ ყველა სხვა დარგზე მეტად ეთნოგრაფია ემსახურება მწარმოებელი მასის ისტორიის შესწავლის მიზანს და რამდენად ავსებს ჩვენი საისტორიო მწერლობის იმ ხარვეზს, რაც, დიდი ილიას სიტყვით, ხალხის როლის დაჩრდილვაში მდგომარეობდა.

ასეთი როტული და საპატიო ამოცანის შესრულებაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება უშუალო დაკვირვებითა და გამოყითხვით მოპოვებულ მასალას, რომელიც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების შესაბამისად გვაცნობს მატერიალურ კულტურას, სამეურნეო ყოფას, სოციალურ ურთიერთობას და სულიერ კულტურას. ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების, კერძოდ, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის შესწავლისათვის განსაკუთრებით დიდი ღირებულების მქონეა თაობიდან თაობას გადმოცემული და ჩვენამდე მოღწეული მასალა არქაული დროის გადმონაშთების შესახებ, რაც უმთავრესად მთამ შემოგვინახა, ვინაიდან ბართან შედარებით მთაში კლასობრივი ურთიერთობის ნელი ტემპით განვითარება აპირობებდა მთიელთა ცხოვრებაში წინაკლასობრივი ინსტიტუტების გადმონაშთურ სა-

ხეობათა ხანგრძლივად არსებობას და მისთვის დამახასიათებლის შეს-ჩვეულებათა დიდხანს შენარჩუნებას.

აღნიშნულ გარემოებათა გამო ძველი ქართული ყოფითა და ჩვეულებებით დაინტერესებული პირები იმთავითვე მთამ მიიზიდა. უმთავრესად მთიელთა ყოფის შესწავლა დაედო საფუძვლად ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითად პრობლემათა განვითარებასაც, რაშიაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სოციალური ურთიერთობის კვლევის შედეგებს. სოფლის თემის სტრუქტურის, ხალხური მმართველობის სისტემის, საოჯახო თემის გადმონაშების, პატრინიმიული ორგანიზაციისა და ამ რიგის სხვა სოციალური საკითხების შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა ერთხანს მეცნიერებაში ფეხმოკიდებული შეხედულების უნიადაგობა ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის უძრაობისა და პრიმიტივიზმის შესახებ. მოვლენებისადმი ისტორიული თვალსაზრისით მიღვომისა და ეთნოგრაფიული მასალის წყაროებთან შეჯრების, აგრეთვე მატერიალური კულტურის ძეგლებისა და დასახლების ფორმათა შესწავლის შედეგად ნათლად გამოივეთა დებულება, რომლის თანახმად ქართველ მთიელთა ყოფისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა თემური წყობის რღვევა და ადრეფეოდალური ურთიერთობის განვითარება. ამ მიმართულებით წარმოებულ კვლევა-ძიებაში დღითი დღე მატულობს იმ მასალის ღირებულება, რომელიც წინაკლასობრივი სოციალური ინსტიტუტების, მათ შორის საოჯახო თემის გადმონაშების შესწავლის წყაროს წარმოადგენს. მაგრამ რამდენადაც გადმონაშების კვლევის მნიშვნელობა იზრდება, იმდენად მისთვის საჭირო ეთნოგრაფიული მასალის მოპოვების შესაძლებლობა თანდათანობით მცირდება. ამდენად, ძველი ყოფის ამსახველი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება და დაღუპვისაგან გადარჩენა ძალზე საშური საქმეა, რამდენადაც დამუშავებული სახით მისი გამომზეურება პასუხობს საბჭოთა ეთნოგრაფიის აქტუალურ ამოცანებს. ეთნოგრაფიული კვლევის დღევანდელ ეტაპზე, როდესაც ბურეუაზიული მეცნიერება დაუნდობელ ბრძოლას განაგრძობს სოციალურ პრობლემათა მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ, საოჯახო ყოფისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხებზე ახალი მასალის მოპოვება



და მისი თეორიული განზოგადოება საბჭოთა ეთნოგრაფიულ მუზეუმის  
დგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა: ბოლო ხა-  
ნებში ოჯახის აღრინდელ სახეობათა შესწავლისადმი ინტერესიც  
ამიტომ გაიზარდა. ამის მაჩვენებელია ის დიდმნიშვნელოვანი  
ფაქტი, რომ ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VIII მსოფლიო  
კონგრესზე ქ. ტოკიოში საბჭოთა ეთნოგრაფიის პრობლემატიკი-  
დან ერთ-ერთი ძირითადი მოხსენება (მომხსენებელი სსრკ მეცნი-  
ერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი  
ი. ბრომლე) მიეძღვნა საოჯახო თემს, რომელშიც დაცულია რა  
საბჭოთა ეთნოგრაფების თვალსაზრისი, დამატებითი მონაცემე-  
ბის ანალიზის საფუძველზე მისი კვლევა ახალ ეტაპზეა აყვანი-  
ლი. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ქარ-  
თულ-კავკასიურ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელზე დაყრდნობი-  
თაც საოჯახო თემის გაღმონაშორი სახეობის შესწავლას მრავალი  
ნაშრომი მიეძღვნა. აღნიშნული საკითხის კვლევაში მრავალმხრივ  
საინტერესო წყაროდ გვესახება მთიულეთ-გუდამაყრისა და ქსნის  
ხეობის ეთნოგრაფიული მასალა, რაც საფუძვლად დაედო ამ  
ნაშრომს.

## საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში

მთიულეთი და გუდამაყარი ქართლის მთიანეთის ორი ურ-  
 თიერთმეზობლად მდებარე კუთხეა, რომელთაგან პირველი მო-  
 ცავს თეთრი არაგვის ხეობას ჯვრის უღელტეხილიდან მთიულთ-  
 კარამდე (ფასანაურიდან ცოტა ქვემოთ), ხოლო მეორე — შავი არა-  
 გვის ხეობას მთლიანად ბურსაჭირიდან ფასანაურამდე. მთიულეთ-  
 ში მცხოვრებ ქართველ მთიელთა კუთხური სახელწოდებაა მთიული  
 ული (ჩასაც ზოგიერთები შეცდომით იყენებენ მთიელის  
 მნიშვნელობით)<sup>1</sup>, ხოლო გუდამაყრის ხეობის მკვიდრთა აღსანიშ-  
 ნავად დამკვიდრებულია გუდამაყრელი.

მთიულეთ-გუდამაყარი ყოფილი არაგვის საერისთავოს შე-  
 მადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც ამ საერისთაოს გა-  
 უქმების შემდეგ (1743 წ.) არაგვის საუფლისწულოს ფარგლებში  
 მოქმედა. საქართველოს რესეტთან შეერთების დღიდან მთიულეთ-  
 გუდამაყარი, ხევი და თრუსის ხეობა XIX საუკუნის პირველ მე-  
 ოთხედში შედიოდა ერთ აღმინისტრაციულ გაერთიანებაში, რო-  
 მელსაც მთიელთა სამმართველო ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ დუ-  
 შეთის მაზრას დაუქვემდებარეს. საქართველოში საბჭოთა ხელი-  
 სუფლების დამყარებილან დღემდე მთიულეთ-გუდამაყარი დუშე-  
 თის რაიონის შემადგენლობაშია.

<sup>1</sup> დღეს აღარ უნდა გვჭირდებოდეს იმის განმარტება, რომ მთიელია ყველა ის,  
 ვინც კი მთიან ზოლში ცხოვრობს. საქართველოში ასეთები არიან: ხევსურები,  
 თუშები, ფშავლები, მოხევეები, მთიულები, სვანები და სხვ. ქართველ მთიელ-  
 თა შორის მთიულები შეადგენენ ერთ-ერთ ისეთ ეთნოგრაფიულ ჯგუფს (თემს),  
 როგორსაც ზემოხსენებული ხევსურები, მოხევეები და სხვები. ამიტომ, მთაში  
 მცხოვრებთა ზოგადი სახელწოდების (მთიელი) გაიგივება ერთ-ერთი ეთნო-  
 გრაულიული ჯგუფის სახელწოდებასთან (მთიელი) ცნებების გაუმართლებელი  
 აღრევა და სინამდვილის უხეში დამახინჯებაა.



ეთნოგრაფიული თეალსაზრისით ის აღმოსავლეთ საჭიროებულოს მთიანეთის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა, რომლის მკვიდრა ყოფაში ხანგრძლივად შემოინახა ისტორიულად არსებული სოციალური ინსტიტუტების გადმონაშთები. მათი შესწავლის მიზნით ქართულმა ეთნოგრაფიულმა მეცნიერებამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა, მაგრამ სოციალური ურთიერთობის კვლევის მასშტაბი ჯერ-ჯერობით ამ პრობლემის მნიშვნელობას არ გათანაბრებია. ამ ხარვეზის შევსების ცდას წარმოადგენს „მთიულეთის ეთნოგრაფიის ნარკვევები“, რომელსაც მთლიანად დაეთმო „ქავკასიის ეთნოგრაფიული კრებულის“ მესამე ტომი (თბილისი, 1971). ამავე ხარვეზის შევსებას ითვალისწინებს საოჯახო ყოფის შესწავლაც, რასაც საფუძვლად დაედო 1959, 1960, 1968 წლებში ავტორის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, ისტორიული წყაროები, ქართული სამართლის ძეგლები და სპეციალური ლიტერატურა. ზემოხსენებულ მონაცემებზე დაყრდნობით მკითხველი გაეცნობა ოჯახის შემადგენლობას, მის ეკონომიურ საფუძვლებს, მმართველობის სისტემას, შრომის ორგანიზაციის ხასიათს და საკუთრების ფორმებს.

### ოჯახის უმაღლესობა

გადმონაშთის სახით შემონახულ სოციალურ ერთეულებს შორის ერთ-ერთ უჯრედს წარმოადგენდა საოჯახო თემი, რომელიც არსებობდა ოჯახის გაბატონებული ფორმის — ინდივიდუალური ოჯახის გვერდით. კლასობრივ საზოგადოებაში დიდი ოჯახები განიცდიდნენ რა თვისებრივ ცვლილებებს, მათი რაოდენობაც თანდათანობით კლებულობდა ინდივიდუალური ოჯახების ზრდის პარალელურად, მაგრამ დიდი ოჯახის გადმონაშთებმა XX საუკუნის კარიბჭემდე მაინც შეინარჩუნეს არსებობა. პირველ ყოვლისა ამის მაჩვენებელია ოჯახის შემადგენლობა, რომლის გასაცნობად ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად შეიძლება მივმართოთ ისტორიულ წყაროებს და ქართული სამართლის ძეგლებს.

გაუყრელად ცხოვრების შესახებ წყაროებიდან ყველაზე აღრეული ცნობა გვხვდება გიორგი ბრწყინვალის სამართალში, რომლის მეშვიდე მუხლში კითხულობთ: „თუ ვინ ჸევისბერის

კაცის გაუყოფარი, მისსა სახლსა შიგან მოახლე<sup>1</sup>, ერთ სახლში ცალკედონ ცი მოკლან: მამა, ბიძა, ქმა, ბიძასძე, ქმისწული, რა გინდჰის მის გუარისა მისი მოახლე, — სისხლად ესევე ექუსი ათასი თეთრი იყოს”...

რამდენადაც მოახლე ნიშნავდა ახლო ნათესავს, ოჯახის წევრს, ამდენად ძეგლში ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ერთი ოჯახის წევრებად, გაუყოფარ ნათესავებად დასახელებული არიან მამა, ბიძა, ქმა, ბიძასძე (ბიძაშვილი) და ქმისწული. ამის მიხედვით გამოდის სამი თაობა: 1) ხევისბერის მამა და ბიძა, 2) თვით ხევისბერი, მისი ქმა და ბიძაშვილი (ბიძას ძე), 3) ხევისბერის ქმისწული, რომელთანაც იგულისხმება ხევისბერის შვილიც.

თუ ხევისბერის გაუყოფარი კაცის ანუ მისი ოჯახის წევრის სისხლი შეფასებული იყო 6000 თეთრად, სამაგიეროდ მხოლოდ 3000 თეთრი ღირებულა „ჯევისბერის განაყოფი და მისი გუარის კაცის“ სისხლი. „ძეგლის დადების“ მეცხრე მუხლის თანახმად, ხევისბერის ოჯახიდან გამოყოფილი კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ქმა, მოახლე, ან მეყვანი<sup>2</sup>.

სისხლის ასეთ სხვაობას კანონმდებელი მეათე მუხლში იმიჯ ასაბუთებს, „რომე ჯევისბერს დარბაზით ლაშქართ თავადობა ჰპბებია“ და მისი ოჯახის წევრები, მასთან ერთად გაუყოფრად მცხოვრები ნათესავები, უფრო საპატიო პირებად ითვლებოდნენ, ვიღრე განაყოფები, რომლებიც ხევისბერის სახლიდან გასვლის შედეგად შედარებით დამცრობილ მდგომარეობაში ვარდებოდნენ.

მაშასადამე, „ძეგლის დადება“ გვაცნობს როგორც გაუყოფრად, ისე ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების წესს, რაც თავის მხრივ იმის მანიშნებელია, რომ დიდი და პატარა ოჯახის თანაარსებობა XIV საუკუნის მთიულეთისათვის დამახასიათებელ მო-

1 „მოახლე — ახლოს მყოფი“ (ს. ა. ბა, სიტყვის კონა, თბილისი, 1949). „ძეგლის დადების“ ლექსიკონში მოცემული განმარტებით, მოახლე ნიშნავს ახლო ნათესავს (ი. დ. ლ. ი. ძ. ე, გომრგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი, 1957, 138). ეს ტერმინი ასეთივე მნიშვნელობითაა ნახმარი ძეგლის სხვა მუხლებშიც (9, 10, 17, 20, 43). ჩვენი ვარაუდით, მოახლე უნდა ნიშნავდეს მოსახლე-ს. ე. ი. სახლის, ოჯახის წევრს.

2 „მეყვანი — ეკოდეს რითმე“ (ს. ა. ბა, სიტყვის კონა, 205). „ძეგლის დადების“ ლექსიკონის მიხედვით, მეყვანი არის შორეული ნათესავი (გვარის კაცი), რაც დასტურდება რამდენიმე მუხლით (9, 10, 17, 27).



მენტს წარმოადგენდა. ძეგლიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ „**შემდეგის ფარ წევრთა მახლობლობის აღსანიშნავად იხმარებოდა უნიკალური მოახლე**“, რომელსაც უპირისპირდებოდა შორეული ნათესაობის გამომხატველი სახელწოდება მეყვენი, რომელიც როგორც დიდი ოჯახის განაყრების აღმნიშვნელი, შესაძლებელია ვიგულოთ პატრონიმიული ერთეულის სახელწოდებად.

გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ შემდეგ მთიულეთ-გუდამაყარში ოჯახის შემადგენლობის გასაცნობად ძვირფას წყაროს წარმოადგენს „აღწერა არაგვის ხეობისა“<sup>1</sup>, რომელიც ერეკლე მეორის ბრძანებით 1774 წელს შეადგინეს ლუარსაბ მაყაშვილმა და მანუჩარ თუმანიშვილმა.

ცალკეული თემებისა და თემებში შემავალი სოფლების მიხედვით აღწერაში ჯერ ნაჩვენებია კომლი, ხოლო შემდეგ კომლში შემავალ „თავთა“ რიცხვი. ზოგი კომლიდან დასახელებულია მხოლოდ ერთი „თავი“, ხოლო ზოგიდან ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი და შვიდი „თავი“. მაგალითად, სოფ. ზემო მლეთაში ერთ „თავთანი“ იყო ექვსი კომლი, ორ „თავიანი“ — 10 კომლი, სამ „თავიანი“ — ხუთი კომლი, ოთხ „თავიანი“ ორი კომლი და შვიდ „თავიანი“ ერთი კომლი.

სოფელ ვეშაგურთ კარში აღრიცხულია სამი კომლი ორ „თავიანი“, სამი კომლი სამ „თავიანი“ და ორი კომლი ოთხ „თავიანი“.

სოფ. დუმაცხოში 15 კომლიდან ერთ „თავიანი“ იყო ექვსი კომლი, ორ „თავიანი“ — ოთხი კომლი, სამ „თავიანი“ — ერთი კომლი, ოთხ „თავიანი“ — ერთი კომლი და ექვს „თავიანი“ — სამი კომლი.

კომლსა და „თავებს“ შორის დაახლოებით ასეთივე შეფარდებაა მთიულეთ-გუდამაყრის სხვა სოფლებშიც. აღწერა ემყარება რა ამ პრინციპს, მასში შეტანილია მხოლოდ კომლთა და „თავთა“ რიცხვი. არსად ოჯახის სრული აღწერა არ გვხვდება; ქალებისა და ბავშვების სახელები და რაოდენობა სავსებით უგულებელყოფილია. აღწერის ამგვარ პრინციპზე წარმოდგენისათვის მოგვყავს რამდენიმე მაგალითი. სოფ. სეთურთ კარიდან: „სეთურიძე

<sup>1</sup> ე. თავაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ტფილისი, 1907.



ყაზის შვილი.. კომლი ა (ე. ი. ერთი — ვ. ი.) თავი ე (ე. ი. ხუმრულია ვ.ი.): ხოსრო, ჩიტა, შავხალ, ბერი და ჯარია“. სოფ. ბენიათ კარი-დან: „ბენიაძე პაპის შვილი. კომლი ა თავი ვ: ღუჭა, ვეფხო, და-თვა, ადამა, ჭიჭა და ხახო“. სოფ. ღუმაცხოლდან: „აფციაური ნაღი-რას შვილი... კომლი ა თავი ვ: ოზდეგა, გიორგი, მამუკა, ნადირა, ავთანდილ და ბასილა. სოფ. უკანა მხარიდან: „ნათობიძე სეხნის შვილი... კომლი ა, თავი ე: მწარია, ხეხილა, გრიგოლა, პაპუნა და კაცია.“

ამ რიგის მასალიდან განსაკუთრებით გვაინტერესებს კომ-ლისა და „თავის“ მნიშვნელობა, რამაც დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება.

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, „თავი“ კომლში ოჯახის უფროსს უნდა ნიშნავდეს, მამა-ქმარს... კომლში შეიძლება რამ-დენიმე ოჯახი იყოს, თვითეულ ოჯახს ეყოლება „თავი“ ანუ უფ-როსი — „მამა“. ამნაირად მებატონის ყმების სიაში რომ გვარი და სახელია მოხსენებული, ის მთელი კომლის უფროსს ეკუთვნის, ხოლო დავთარში ნაჩვენებია, რამდენი ოჯახი სახლობს თვითეულ კომლში<sup>1</sup>.

ამგვარი ინტერპრეტაციის შესაბამისად კომლი ერთ შემთხვევაში გვესახება ინდივიდუალურ ოჯახად, რომელსაც სათავეში ედ-გა ერთი კაცი — ე. წ. „თავი“. მეორე შემთხვევაში კომლი იყო ისეთი სოციალური ერთეული, რომელშიაც ირიცხებოდა რამდე-ნიმე „თავი“. თუ „თავი“ ყველა ვარიანტში ოჯახის უფროსს ანუ ცოლშვილის პატრონს (მამა-ქმარს) ნიშნავდა, მაშინ გამოდის, რომ რამდენიმე „თავის“ გამაერთიანებელი კომლი იყო რამდენიმე ოჯახის ერთობლიობა, კოლექტიური უჯრედი, დიდი ოჯახი, რამ-დენადაც მის ფარგლებში შედიოდა რამდენიმე საქორწინო წყვი-ლი თავისი შთამომავლობით.

ე. თავაზიშვილის აზრით, „რიცხვი „თავთა“ სრულებით იმის მაჩვენებელი არ არის, თუ რამდენი სულია კომლში... მიზანი აღ-წერისა იყო სცოდნოდათ, თუ რამდენი მეომრის გამოყვანა შეიძ-ლებოდა ომანობის დროს კომლიდან და რამდენ მეკომურს ედვა სახელმწიფო გადასახადი“ (გვ. IX—X).

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები სა-ქართველოში, ჟურნ. „მოამბე“, ტფილისი, 1901, № 4, განკ. II, 10.



ორივე მეცნიერის ინტერპრეტაცია კომლში შემავალი უდიდესია „თავი“-ს შესახებ უსათოდ საგულისხმოა. „თავი“ კომლში შემავალი უდიდესია მიგვაჩინია, რომ რამდენიმე „თავის“ მომცველი კომლი საოჯახო თემის ნიშნებს ატარებდა. მაგრამ თუ ამ ორი შეხედულებიდან ერთ-ერთის გაზიარებაზე მიღება საქმე, უფრო დასაბუთებულად მიგვაჩინია ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია. პირველ ყოვლისა ამის საბუთად გამოდგება თვით ტერმინი „თავი“, რაც გარკვეული სოციალური ერთეულის სათავეში ყოფნისა, თაოსნობისა და უფროსობის გამომხატველია.

„თავი“ იყო უფროსი საკუთარი ცოლ-შვილისა, ხოლო ვინაიდან რამდენიმე ასეთი უფროსისა და მათი ოჯახების ერთ ჰერქვეშ ყოფნა იგულისხმება, ცხადია, რომ ასეთ გაერთიანებასაც უნდა ჰყოლოდა ერთი საერთო ხელმძღვანელი, დიდი ოჯახის მეთაური. ამის შესახებ აღწერაში არაფერია ნათქვამი. ამიტომ ოჯახში, საღაც რამდენიმე „თავი“ იმყოფებოდა, საერთო ხელმძღვანელობა მათ შორის ხნით უფროსს უნდა დაჰკისრებოდა. ამის მიხედვით, დიდი ოჯახის მეთაურად უნდა ვიგულოთ „თავების“ წინ დასახელებული პიროვნება. ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ასეთები იყვნენ სეთურიდე ყაზის შვილი, ბენიაძე პაპის შვილი, აფციაური ნადირას შვილი და ა. შ., რომელთა დასახელებას მოსდევს კომლის დასახელება, ხოლო შემდეგ კომლში შემავალი „თავების“ ჩამოთვლა.

აღწერაში ჭარბად მოცემული ამგვარი ფაქტები იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ XVIII საუკუნის მთიულეთ-გუდამაყარში გაუყრელად ცხოვრების წესი სოციალური ყოფის ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენდა. აღწერის მიხედვით ანალოგიური სურათი შეიმჩნევა ხევშიც, ისევე, როგორც ეს ქარგად ჩანს 1781 წლის ქსნის საერისთავოს აღწერიდანაც. ისიც დამახასიათებელია, რომ ორივე საერისთავოს აღწერილობაში გაუყრელი კომლების უმრავლესობა მთიანეთის მოსახლეობაზე მოდის, მაშინ როდესაც საერისთავოების ბარის ზოლში ასეთი ოჯახების ნაკლებობა შეინიშნება. არაგვის საერისთავოსთან შედარებით ასევე ნაკლებად გხვდება დიდი ოჯახები საბარათაშვილოსა და სომხითის 1721 წლის აღწერაში, მიუხედავად იმისა, რომ არაგვის საერისთავოს-



თან შედარებით იქ 53 წლით ადრე ჩატარდა აღწერა და ქართველი ული წარსულის სიღრმის გამო დიდი ოჯახებიც მეტი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ვითარება გვიჩვენებს, რომ გაუყრელად ცხოვრების წესი XVIII საუკუნეში ბართან შედარებით მთაში უკეთესად იყო შემონახული, რაც საქართველოს მთისა და ბარის საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა დონის არსებობით აიხსნება.

მთიულეთ-გუდამაყარში დიდი ოჯახების შემაღენლობაზე სათანადო ცნობები მოგვეპოვება XIX საუკუნის წყაროებსა და ლიტერატურაში. ამ მხრივ პირველ რიგში საყურადღებოა 1831—32 წწ. კამერალური აღწერა, რომელშიაც ფიქსირებულია რამდენიმე თაობის წარმომაღენელთა გაუყრელად ცხოვრების ფაქტები. აქ აღწერილ მრავალ ოჯახში ერთად მცხოვრები ძმების, ბიძაშვილებისა და მათი შთამომავლობის რიცხვი ოც სულამდე აღწევდა!

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურაშიც არა-ერთგზის გვხვდება ცნობები ოჯახის გაუყრელობის შესახებ. 1860 წელს დუშეთის აღწერილობისადმი რუსულ ენაშე მიძღვნილ ნაშრომში პლატონ იოსელიანი ამ ჩვეულებას თვლიდა ისტორიულ მოვლენად და მასში ის ხედავდა ოჯახის ძლიერებისა და სიმდიდრის საფუძველს. მისი დაკვირვებით, აღნიშნულ ტრადიციას უფრო მეტად ინარჩუნებდა ყოფილი არაგვის საერისთავოს მთიანეთი, სადაც 40—50 სულიანი ოჯახები გასული საუკუნის 60-იან წლებში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ყოფილა.

XIX საუკუნის 60-იან წლებთან შედარებით XIX საუკუნის 80-იან წლებში მდგომარეობა რამდენადმე შეცვლილა. დიდი ოჯახების გაყრის შემთხვევები ამ დროისათვის გახშირებულა. ეს უმთავრესად დამახასიათებელი ყოფილა სამხედრო გზისპირა სოფლებში მცხოვრებთათვის, რასაც ნ. ნიკიფოროვი ხსნის ამ სოფლებში ცივილიზაციის შეღწევის, ე. ი. კაპიტალისტური ურთიერთობის გავლენის მიზეზით. რაც შეეხება ქალაქებიდან და გზიდან დაშორებულ მიყრუებულ ხეობებს, ავტორის ცნობის თანახმად, აქ

1 რ. ხარაძე, ალ. რობაჭიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1965, 34—35.



ჯერ კიდევ არ იჩენდნენ განკურძოებისაკენ მიღრექილებას ფართულ  
ჰერქვეშ ცხოვრებას განაგრძობდნენ. ნ. ნიკიფოროვი თვითზე მოყვა  
ფილა მნახველი ბევრი ისეთი პატრიარქალური ოჯახისა, რომე-  
ლიც 25—40 სულისაგან შედგებოდა და სამ თაობას მოიცავდა<sup>1</sup>.

გაუყრელად ცხოვრების სასარგებლოდ მეტყველებენ სა-  
შუალო ციფრობრივი მონაცემებიც. 1873 წლის კამერალურ აღ-  
წერაზე დაყრდნობით ნ. ნიკიფოროვს გუდამაყრელის ოჯახის სა-  
შუალო სიდიდედ გამოჰყავს 7,86 სული, ხოლო მთიულის ოჯახისა  
7,22 სული. დაახლოვებით ასეთივე მაჩვენებელია მოხევისა და  
ოსის ოჯახის შემადგენლობაზე, მაშინ, როდესაც ქართლელის  
ოჯახში საშუალოდ აღმოჩნდა 5,85 სული, ფშაველის ოჯახში 5,42  
სული, ხოლო ხევსურის ოჯახში 4,98 სული.

დაახლოებით ასეთივე მაჩვენებლებს იძლევა 1886 წლის სტა-  
ტისტიკაც. ამის მიხედვით ზოგან ოჯახის საშუალო სიდიდე შეად-  
გენდა ექვს სულს (ბეღონი, წკერე, ზემო მლეთა, დგნალი, ჩოხი....),  
ზოგან შვიდ სულს (ამირთვარი, შონჩო, უოუონი, ლაკათხევი,  
დოლასქედი, ჭართალი, დუმაცხო...), ზოგან რვა სულს (ათნოხი,  
არახვეთი, კობათვარი, ჯალუმიანი...), ზოგან ცხრა სულს (ზანდუკი,  
გოგნაური, ბენიანი...), ხოლო ზოგან 10—11—12 სულს (გამსი,  
მაქართა, წინამხარი, ქოროლი...)<sup>2</sup>.

XIX საუკუნის ლიტერატურაში ამ საკითხზე მთიულეთ-გუ-  
დამაყრის შესახებ სხვა ცნობა არ გაგვაჩნია. სამაგიეროდ XIX—  
XX საუკუნეების მონაცემებზე დაყრდნობით გაუყრელად ცხოვ-  
რების ფაქტები აღნიშნულია საბჭოთა ეთნოგრაფიის „საბჭოთა ეთნოგრაფიის“ 1939  
წლის მეორე ნომერში მთიულთა შესახებ მოთავსებულ ნაშრომში  
ლ. პანეკმა მოხუცთა გამოკითხვის საფუძველზე გვიჩვენა XIX  
საუკუნის მიწურულში არსებული არაერთი დიდი ოჯახის რიცხობ-  
რივი შემადგენლობა. მას შემთხვევა პქონდა ზოგიერთი ასეთი ოჯა-

<sup>1</sup> Н. Никифоров, Экономический быт государственных крестьян Душетского уезда Тифлисской губернии. МИЭБГКЗК, т. V, ч. II, Тифлис, 1887, 24—25.

<sup>2</sup> Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченные из посемейных списков 1886 г., Тифлис, 1893, 42...



ხი თვითონაც ენახა, ისევე როგორც ასეთი ოჯახი გუდამაყრას შემდეგ ბაში ნახა და აღწერა ს. მაკალათიამ!

უახლოესი დროის ლიტერატურაში ეს საკითხი განხილულია საზოგადოებრივი ურთიერთობისა და საცხოვრებლების კვლევას-თან კავშირში. რ. ხარაძის აზრით, მთიულების ყოფისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა „ექონომიური საფუძვლებით განმტკიცებული ძმათა გაუყრელობის პრინციპი“, რომელიც „ხელს უწყობდა ოჯახების მრავალრიცხოვნობის შენარჩუნებას“ (გვ. 72). ამავე ნაშრომში ალ. რობაქიძემ მთიულური სახლი განიხილა ისეთ ნაგებობად, რომელიც ძირითადად პასუხობდა გადმონაშთური ფორმის საოჯახო თემის მოთხოვნილებებს, ხოლო ასეთი ოჯახების საჩვენებლად დაიმოწმა XIX საუკუნის 30-იანი წლების საარქივო მონაცემები. მან ერთიმეორეს დაუპირისპირა იგრეთვე 1831/32 და 1886 წლების კამერალურ აღწერათა საშუალო მაჩვენებლები და დასკვნა, რომ „კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პარალელურად მთიულეთის სოფლების უდიდეს ნაწილში მიმდინარეობდა ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობის შემცირება და არა ზრდა“ (გვ. 34). საცხოვრებელი ნაგებობებისა და მათში მცხოვრები ოჯახების აღწერის შედეგად მ. ჩართოლანიც იმ დასკვნამდე მივიღა, რომ მთიულური სახლი უმეტეს შემთხვევაში დიდ ოჯახს ეკუთვნოდა („საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XXI—B).

სხვადასხვა დროის კამერალური აღწერის მასალების დაპირისპირების საფუძველზე ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობის კლების პროცესის დადგენა და ამაზე დამყარებით მიღებული დასკვნა იმის შესახებ, რომ დიდი ოჯახი მთიულეთში საოჯახო თემის გადმონაშთურ ფორმას წარმოადგენდა, რომელიც კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარების პირობებში საბოლოოდ ისპობოდა, მართლდება თვით XIX საუკუნის 60-იანი წლების (პ. იოსელიანი) და 80-იანი წლების (ნ. ნიკიფოროვი) ავტორთა მონაცემების ურთიერთშედარებითაც. თუ პ. იოსელიანი მთიულეთ-გუდამაყარში 40—50-სულიანი ოჯახების დიდ სიჭარბეზე მიუთითებდა, ნ. ნიკიფოროვს 25—40-სულიან ოჯახებად ცხოვრების წესი უმ-

1 ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი, 1930, 81.



თავრესად მიყრუებულ ხეობებში ეგულებოდა, ხოლო გმირებული სოფლებში ის ასეთი ოჯახების რღვევის გაღრმავებულ პროცესს ხედავდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ოჯახების ხვედრითი წონის შემცირება ინდივიდუალური ოჯახების მატების ხარჯზე მიმდინარეობდა, მაგრამ აღნიშნულ ხანაში ეს პროცესი ჯერ არ იყო დამთავრებული. როგორც ლ. პანქეია და ს. მაკალათიას შრომებიდან დავინახეთ, გაუყრელად ცხოვრების ტრადიციას მთიულეთ-გუდამაყარი XX საუკუნის პირველ მეოთხედშიაც ინარჩუნებდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ასეთი ვითარების დამადასტურებელია ჩვენ მიერ შეკრებილი მასალაც, რომელსაც ქვემოთ რამდენიმე ოჯახის მაგალითზე გავეცნობით.

მრავალთაგან შეიძლება დავასახელოთ ბურდულების ერთ-ერთი ოჯახი სოფ. მლეთაში, რომელიც მისი ყოფილი წევრის ვანო მახარეს აქ ბურდულის (დაბად. 1882 წ.) ცნობით, გაყრის მომენტში ოთხ თაობას მოიცავდა და 29 სულისაგან შედგებოდა. ოჯახში პირველი თაობის წევრები იყვნები ისები და მისი ბიძაშვილი ძალუგა პაპა. მეორე თაობას ეკუთვნოდნენ იოსების შვილები (ბეჭო, გიგო, შიო) და ძალუგა პაპას შვილი ტეტია, მესამე თაობას შეაღ-გენდნენ ტეტიას შვილები (იაკობი, ბერა, მიხა, თედო) და ბეჭოს შვილები (მახარე, სვიმონი), ხოლო მეოთხე თაობის წარმომადგენ-ლები იყვნენ ბერას შვილი თორდა და მახარეს შვილები (აბრამი, ვანო...). ოჯახი გაყრილა პირველი თაობის წარმომადგენელთა გარდაცვალების შემდეგ. განაყართაგან ბოლო დროს მახარეს შვილებს (ოთხ ქამა) 14-სულიანი ოჯახის სახით კიდევ კარგახანს უცხოვრიათ გაუყრელად.

ასევე ოთხ თაობამდე გაუყრელი ყოფილა სეთურიძეების ოჯახი სოფ. სეთურებში, რომლის უფროს თაობას ეკუთვნოდნენ ქმები მუკა, გივაად (უშვილო) და ნანაა. მეორე თაობაში შედიოდნენ ნანა-ას შვილი გივაად და მუკას შვილები: სანდრო, შიად და მათიაა. მე-სამე თაობა ასე გამოიყურებოდა: სანდროს შვილები (ვოგაად, ვანუად); შიას შვილები (ანდრიაად, ვანო, პავლე, სვიმონაად); მათიას შვილები (იოსებაად, ალექსაად), მეოთხე თაობას ავსებდნენ შიას შვილის-შვილები: არჩილა, ნიკო, ქოთილაად, ვალიკო, ბიჭიკო და ოთარი.



რძლებისა და გასათხოვარი ქალების ჩათვლით ოჯახში ირიცხებოდა  
24 სული. გაყრილან პირველი თაობის წარმომადგენელთა გვრცელებულების შემდეგ.

იმავე სოფელში ბერუანთ (სეთურიძე) ოჯახი ოთხი თაობისაგან შედგებოდა: I თაობა: აბრამი და მისი მეუღლე. II თაობა: აბრამის შვილები (სტეფანე, ვანო, ალექსი, ისაკი) და რძლები (ეფემია, მარიამი, პელო, სიდო). III თაობა: ნიკო სტეფანეს ძე, სვიმონი ვანოს ძე, ალექსის შვილები (გიორგი, თედო, იოსები, ვაკლე) და ისაკის შვილები (კოლა, ვანო, თედო). IV თაობას ეკუთვნოდნენ ნიკოს, სვიმონის და სხვათა ბავშვები. აქ გამორჩენილი რძლებისა და გასათხოვარი ქალების ჩათვლით ოჯახი ერთხანს 29 სულისაგან შეღებოდა, ხოლო გაყრის მომენტში მასში 20 სული ირიცხებოდა.

ჩვენ ეპოქამდე გაუყრელი იყო წიკლაურების ოჯახი სოფ. მაქართაში (გუდამაყარი). როგორც ამ ოჯახის ყოფილმა წევრმა მერაბ ენინას ძე წიკლაურმა (დაბად. 1898 წ.) გვითხრა, ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობა სხვადასხვა დროს 30 სულიდან 50-სულამდე მერყეობდა, რაც გაპირობებული იყო ქორწინებისა და სიკვდილიანობის შედეგებით. იმ დროს, როდესაც ოჯახი 47—50 სულს ითვლიდა, მას მეთაურობდა ეფხია, რომელსაც ჰყავდა ერთი ძმა ელიზბარი. ეფხიას და ელიზბართან ერთად ცხოვრიბდნენ მათი ბიძაშვილები: ნინია, თადია, აქვსენტი, ბალიჩა და მერაბი. ამათგან ნინია და თადია ძმები იყვნენ. აქვსენტი და ბალიჩაც ძმები იყვნენ, ხოლო მერაბა უძმო ყოფილა.

აქვსენტა-ბალიჩას მამა წაწულა იყო ნინია-თადიას მამის ძმა, ხოლო წაწულა და მისი ძმა ბერის (ეფხიას და ელიზბარის მამის) ბიძაშვილები ყოფილან. რაც შეეხება მერაბას მამას, ის წაწულს ბიძაშვილის შეილი იყო. წაწულს მამა და ბერის მამა ძმათაშვილები ყოფილან და მათ ერთად უცხოვრიათ. მძღენად, წაწულა და ბერი ერთი საფეხურით დაშორებული ბიძაშვილები, ანუ ძმათა შვილის შვილები იყვნენ. ბერი (ეფხიას მამა), მისი ძმა, ნინია და თადი ადრე დაობდნენ და ისინი წაწულას გაუზრდიათავის ორ შვილთან ერთად. წაწულს დაზრდილები, რომელთაც მთხრობელმა უწოდა „თავსწორი ხალხი“ (ერთი თაობის მნიშვნელობით), თავიანთი შთამომავლობით შემდგომშიც გაუყრელად ცხოვრებას მიჰყოლიან, რის გამო ოჯახში რამდენიმე თაობის წარმომადგენლება იმყოფებოდნენ ძმე-



ბის, მმათაშვილებისა და ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლები მაწინაურებელი ბიძაშვილების სახით.

სოფ. წითორში 25 სული იმყოფებოდა ბენიაძის ოჯახში. მისი ყოფილი წევრის, ამეამად სოფ. არახვეთში მცხოვრებ მაგდანა მიხას სულ ბენიაძე-ბურდულის (დაბად. 1900 წ.) ცნობით, ამ ოჯახში გაერთიანებული იყო სამი თაობა: I. ნინია და მისი მეულლე, II. ნინიას შვილები (ნავროზახ, იოსები, გოთახ, აკა) და რძლები (თეთრუახ, მართახ, მარიამი, თამარი). III. ნავროზას შვილები და რძლები (მიხა, თამარი; შიო, ნინო; ივანე, მელანა; პეტრე ნინო; თევდორე) იოსების შვილები და რძლები (გიორგი, ვართა, შიო, ევა), გოთახს შვილები და რძლები (შიო, მარიამი, გაბრიალი, თამარი) და აკას ქალები. ოჯახის გაყრამდე გარდაცვლილან ნინია და მისი მეულლე, ნავროზა, იოსები, გოთახ, აკა და იოსების შვილები. პირველი და მეორე თაობის მთლიანად მოსპობის, მესამე თაობიდან იოსების შვილების დაკლებისა და აკას ქალების გათხოვების შემდეგ გაუყრელად ცხოვრებას აგრძელებდნენ ნავროზას და გოთას შვილები თავიანთი ცოლებითა და შვილებით. შემდეგში ეს ძმაბიძაშვილები ქერ გაყრილან ორ ნაწილად; ერთ ოჯახად ნავროზას ხუთი შვილი, ხოლო მეორე ოჯახად გოთას ორი შვილი. ბოლოს ნავროზას შვილები ხუთ ოჯახად, ხოლო გოთას შვილები ორ ოჯახად დანაწილდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედისათვის მთიულეთ-გუდამაყარში მრავალი სხვა ასეთი ოჯახის არსებობა დავადასტურეთ, მაგრამ თანმიმდევრობით მათი შემადგენლობის გაცნობა შორს წაგვიყვანდა. ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ რა გაუყრელი ოჯახის შემადგენლობას, ამის მიხედვით ნათელი უნდა იყოს, რომ იგი პირველ ყოვლისა წარმოადგენდა ნათესაური კავშირით განტმკიცებულ რამდენიმე თაობის მომცველ მრავალსულიან ერთეულს, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ პაპები და ბებიები, მამები და დედები, შვილები, შვილიშვილები და შვილთა შვილის შვილები, მამამთილები და დედამთილები, რძალ-მაზლები და მულები, ძმები და ძმათა შვილები, ბიძები და ბიძაშვილები, ძმისწულები და ძმისწულის შვილები და ა. შ.

მთიულეთ-გუდამაყარში გაღმონაშოთის სახით შემონახულ ამგ-



ვარ ოჯახს ს. მაკალათიამ უწოდა „დიდი გაუყოფელი ოჯახის მართვისა, „ძველი ტიპის დიდი ოჯახი“ (გვ. 81) ლ. პანეკის ნაშრომში „ასეთი ოჯახის სახელწოდებად გვხვდება „დიდი ოჯახი“ და „საოჯახო ოემი“.

1955 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — „ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში“ — გაუყრელი ოჯახის აღსანიშნავად ი. ჭყონიას ნახმარი აქვს შემდეგი სახელწოდებები: „პატრიარქალური გვარის დიდი ოჯახი“ (გვ. 10), „დიდი პატრიარქალური ოჯახი“ (გვ. 69) „ძველებური ტიპის დიდი ოჯახი“ (გვ. 87), და „დიდი კომობა“ (გვ. 131). რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის ნაშრომში, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ნომენკლატურის შესაბამისად, „დიდი ოჯახი“, იხმარება როგორც სინონიმი ცნებისა „საოჯახო თემი“. ასეთივე შინაარსის მქონეა „დიდი ოჯახი“ მ. ჩართოლანის ნაშრომშიც.

აღნიშნული გამონათქვამები მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოსახავენ გაუყრელი ოჯახის სახელწოდებას. ქრონოლოგიური თვალსაზრისით ზოგი მათგანი პირობითია („ძველი ტიპის დიდი ოჯახი“ ან „ძველებური ტიპის დიდი ოჯახი“), ვინაიდან „ძველი“ და „ძველებურია“ ყველაფერი ის, რაც წარსულს ეყუთვნის, მაგრამ ამ სიძველეში რა ეპოქაა ნაგულისხმევი, გაურკვეველი რჩება. ქრონოლოგიურადაც და შინაარსობლივადაც ასევე გაუგებარია რას ნიშნავს „პატრიარქალური გვარის დიდი ოჯახი“. სამაგიეროდ მთიულეთის შესახებ არსებულ ლიტერატურაში, ასეთ აღრევასთან ერთად, გვხვდება მეცნიერულად დაზუსტებული ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა „დიდი ოჯახი“ და „საოჯახო თემი“. ორივე ამ სახელწოდებაში იგულისხმება საოჯახო თემი მისი გადმონაშთური ფორმების ჩათვლით.

მთიულეთ-გუდამაყარში წარმოებულმა კვლევამ ჩვენც დაგვანახვა, რომ ამ ტიპის ოჯახს ერქვა დიდი ოჯახი, დიდი კომი, დიდი ჯალაბი, დიდი ჯალაბო, გაუყრელი ოჯახი, ერთობის ოჯახი ან ერთობის სახლი, მაშინ როდესაც ინდივიდუალური ოჯახის სახელწოდებაა ჩვეულებრივად ოჯახი, კომი ან ჯალაბი. ყველა ზემოხსენებულ სახელწოდებაში სიღიდე აღნიშნავს ოჯახის გაუყრელობას, მის მრავალრიცხვანებას, ისევე როგორც აღნიშნული სახელწოდებანი ამავე მნიშვნელობით გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ოჯახის სიღიდის გამომხატველი ცნებები ასეთივე შინაარ-



სის მატარებელია ჩრდილოკავკასიელი მეზობლების — ნახევრებისა და უსაბუთებელია შემდეგი თეზისი:

„დიდი“ „დიდ ოჯახში“ კომლის სოციალურ მდგომარეობას გამოხატავს. XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს მთასა და პარში დიდი ოჯახი, როგორც წესი, კულაკურია. თუ მრავალსულიანი ოჯახი ღარიბია, იმაზე სოფელში არ იტყვიან — „დიდი ოჯახია“. პოზიცია ასეთია: მრავალსულიანი — მრავალხელიანი ოჯახი, ჩვეულებრივ, მდიდარია. მდენად, ზემოაღნიშნული ორივე ასპექტი (სიმრავლე და სიმდიდრე) ოჯახთან მიმართებაში ერთი სიტყვით — „დიდი“ არის გამოთქმული. ბოლოს და ბოლოს „დიდი“ „ცხოვრების“, „ოჯახიშვილობის“, resp., „სიმდიდრის მნიშვნელობის სიტყვად რჩება „დიდ ოჯახში“<sup>1</sup>.

ამ მესამე თეზისთან სრულ წინააღმდეგობაშია პირველი თეზისი: „დიდი“ მრავალრიცხოვანების აღმნიშვნელი მსაზღვრელია ოჯახთან შესიტყვებაში, ისე, როგორც „დიდ გვარში“ და სხვ. ამ მხრივადაც დიდ ოჯახს ქმნის ცოლშვილიან ძმათა გაუყრელობა“.

იმასთან ერთად, რომ ეს თეზისები ერთიმეორეს გამორიცხავენ, აშკარა შეუსაბამობას აქვს ადგილი საკუთრივ მესამე თეზისში. თუ დიდი ეწოდება მხოლოდ კულაკურ ოჯახს და „დიდი ოჯახი, როგორც წესი, კულაკურია“, იქვე როგორდა უშვებს ავტორი მრავალსულიანი ოჯახის სიღარიბის შესაძლებლობას? — მსჯელობაში ასეთი წინააღმდეგობა განაპირობა მასალის ტენდენციურმა გამოყენებამ და საკითხისადმი ცალმხრივმა მიღვომამ. ეთნოგრაფიული სინამდევილე კი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ დიდი მხოლოდ ოჯახის რიცხობრივი სიღილის მაჩვენებელია. ეკონომიკურად ძლიერი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის გამოსახატვად კი როგორც მრავალრიცხოვანი, ისე მცირერიცხოვანი ოჯახის და თვით მდიდრად მცხოვრები უშვილო ცოლ-ქმრის მიმართ იხმარებოდა სიტყვა მდიდარი, ან მისი შესატყვისი შეძლებული, ღონიერი, მქონიარი და სხვ. რაც შეეხება კულაკურს, ასეთი ოჯახი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთიულეთ-გუდამაყარში XIX საუკუნის მეორე ნახევარში იშვიათი

1 ი. ჭყონია, „დიდის“ მნიშვნელობა „დიდ ოჯახში“, ივ. გავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტატუტის XVIII სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსნებათა თეზისები, თბილისი, 1969.



გამონაკლისის სახით არსებობდა, მაგრამ იმავე ეპოქაში იყო აჭარაში  
შეძლებული მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომელიც სხვისი ექსპლოა-  
ტაციით არ ცხოვრობდა, კულაკური არ იყო, მაგრამ რამდენიმე თაო-  
ბის სახით მრავალი სულის ერთად ცხოვრების გამო მას ერქვა დიდი,  
ისევე როგორც მრავალრიცხოვან ღარიბ ოჯახსაც დიდი ეწოდებოდა.

მაშასადამე, მთიულეთ-გუდამაყარში, ისევე როგორც საქართ-  
ველოს სხვა კუთხეებში, ყველა მრავალრიცხოვანი ოჯახის კულაკუ-  
რად გამოცხადება და ამ მოტივით სიმდიდრის სინონიმად „დიდის“  
მნიშვნელობის გავება გაუმართლებელია. მთიულეთ-გუდამაყარში  
იყო როგორც ღარიბი, ისე შეძლებული და შედარებით იშვიათად  
კულაკური ტიპის ოჯახებიც, რომელთა უმრავლესობის შიგნით იქ-  
მნებოდა მრავალსაფეხურიანი ნათესაობის წრე, რომლის გაფართო-  
ება ნათესავების დაშორებით ხდებოდა. ეს პროცესი სავსებით ბუ-  
ნებრივია განსაკუთრებით იმ ოჯახებისათვის, რომელთა პირველივე  
თაობა ბიძაშვილების სახით იყო წარმოდგენილი. ოჯახის შიგნით  
რამდენიმე საფეხურით დაცილებული ნათესაობის წრე ოჯახის გა-  
ყოფისთანავე ჰქმნიდა მამი შვილობის ფორმირების შესაძლე-  
ბლობას. ამიტომაა, რომ ყოველი მამიშვილობა, რომელიც ხუთ-ექვს  
ან შვიდ თაობას მოიცავს, იმ ოჯახის სახელს ატარებს, რომლის და-  
ყოფის შედეგადაც თვითონ წარმოიშვა. ასეთებია, მაგალითად: შიო-  
ლიანი, სალირიანი და ელიზბარიანი ჯაღმაიძეების გვარში; როსები-  
ანი, გივიანი, მახარობლიანი და ა. შ. ზაქაიძეების გვარში; ჩიტიანი,  
პაპიანი, ნადრიანი.. ბურდულების გვარში; მამუკანი და ირემაანი  
დავითურების გვარში და მრავალი სხვა.

ამგვარად, სამართლის ძეგლების, ისტორიული წყაროების,  
სტატისტიკური მონაცემების, ლიტერატურისა და ჩვენ მიერ შეკ-  
რებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ეჭვს არ უნდა იწვე-  
ვდეს ის გარემოება, რომ მთიულეთ-გუდამაყარში ისტორიულად  
აჩსებული და XX საუკუნემდე შემორჩენილი დიდი ოჯახი თავისი  
შემადგენლობით საოჯახო თემის ნიშნებს ატარებდა. ისიც ნათელი  
უნდა იყოს, რომ გადმონაშორი ფორმით შემონახული ამგვარი  
ოჯახების რღვევის შედეგად იქმნებოდა მამი შვილობა (პატ-  
რონიმია), რომელზედაც სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩ-  
ნია, ვინაიდან მთიულურ მასალაზე დაყრდნობით პატრონიმიის ბუ-  
ნება სათანადოდაა ნაჩვენები სპეციალურ გამოკვლევებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთიულეთ-გუდამაყარი ადმინისტრაციულად ეკუთვნის დუშეთის რაიონს, რომელიც ყაზბეგის, თა-აქეთის, ლენინგრადისა და ახმეტის რაიონებთან ერთად მაღალგანვითარებული მეცხვარეობის ერთ-ერთი დიდი კერაა. მთიულეთ-გუდამაყარი დღეს უმთავრესად მეურნეობის ამ დარგით არის ცნობილი. მსხვილფეხა მესაქონლეობის ხედრითი წონა ამ კუთხის ეკონომიკაში მეცხვარეობასთან შედარებით საგრძნობლად მცირეა, ხოლო მიწათმოქმედების მნიშვნელობა თითქმის არარაობამდეა დაყვანილი<sup>1</sup>. აღნიშნული ვითარება საცხოვრებელი პირობების არსებითი გარდაქმნის ლოგიკური შედეგია. მთიელს რაյო სახელმწიფო ფასებში პურით უზრუნველყოფის შესაძლებლობა მიეცა, მან მიწათმოქმედებაზეც, როგორც მთიანეთში დღეისათვის არარენტაბელურ ჩეურნეობაზე, ხელი აიღო. სამაგიეროდ მოსახლეობა ხარბად დაწაფა მეცხვარეობას და საძოვრებთან ერთად სათბებისა და მთის სახნავების უდიდესი ნაწილიც ცხვრის საძოვრად გადააქციეს. მეურნეობის სფეროში ასეთი მკვეთრი ცვლილებები განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ. მანამდე კი, თვით ომის წლებში, მთიულ-გუდამაყრელები, ისევე როგორც მათი მეზობელი მთიელები (მოხევეები, ხევსურები, ფშავლები...), მაქსიმალურად იყენებდნენ სახნავად ვარგისი მიწის ყოველ ნაშერს. სამამულო ომის დაწყებამდეც მთიულეთ-გუდამაყარში ხენა-თესას ჭერ კიდევ ინტენსიურად მისდევდნენ, მაგრამ XIX საუკუნესთან შედარებით მისი ხედრითი წონა საგრძნობლად შემცირებული იყო. ეს წარმოადგენდა იმ პროცესის შემდგომი გაღრმავების შედეგს, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და უშუალოდ დაუკავშირდა მეცხვარეობის აღმავლობას.

1 მთიულეთ-გუდამაყარში ყანებს უმნიშვნელო ფართობი უჭირავს. ამეამად უფრო მეტი ყურადღება ექცევა კარტოფილის მოყვანას, რაც ამ კუთხისათვის შედარებით ახალი კულტურაა. ამასთან ერთად, არავის პირას დასახლებულ სოფლებში გაშენებულია პატარა ბოსტნები და ხეხილის ბალები. ხეხილის მოშენებაც აქ ახალი მოვლენაა და უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოს სამხედრო გზის პირად დასახლების პროცესთან. ამიტომ არც მცირე მასშტაბით დღეს არსებულ მებოსტნეობას და არც მებაღეობას არ შეიძლება რაიმე როლი მიეკუთვნოთ ისტორიული მთიულეთ-გუდამაყრის საოჯახო მეურნეობაში.



ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებთან დაკავშირების ჭარბობულ  
ბით ცხვრის მომრავლების შესაძლებლობამ, მთის სამეურნეო-კონ-  
ნომიურ პირობებში ყველაზე უფრო შესაფერისი, პერსპექტიუ-  
ლი და მომგებიანი დარგის ზრდამ მიწათმოქმედებას და მსხვილფე-  
ხა მესაქონლეობას ჩრდილი მიაყენა. ამის შესახებ გარკვეულ პასუხს  
გვაძლევს როგორც ეთნოგრაფიული მასალა, ისე სათანადო  
ლიტერატურა.

მთიულ-გუდამაყრელები განსაკუთრებით დიდ შრომასა და  
ენერგიას ხარჯავდნენ მიწათმოქმედების სფეროში. ისინი ხნავდნენ  
არა მარტო სოფლის ახლო მდებარე ნაკვეთებს, არამედ მთის კალ-  
თებსა და ფერდობებსაც კი. სახნავი ადგილების გაფართოების მიზ-  
ნით ჩეხავდნენ ტყეებს, თხრიდნენ დეკას და იელს. გადმოცემებთან  
ერთად ამაზე მიგვითითებს ტოპონიმიკაც. იქ, სადაც დღეს საძოვა-  
რი, ჩამორეცხილი ადგილი ან ჯაგით დაფარული ნაკვეთია, გვხვდება  
ბევრი ისეთი სახელწოდება, რომელიც სახნავ-სათესის აღმნიშვნე-  
ლია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მთიელები სამეურნეოდ ვარგის  
ნაკვეთებს მაქსიმალურად იყენებდნენ, პურის ნაკლებობა მთიულეთ-  
გუდამაყარში, ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანე-  
თში საერთოდ, მტკიცნეულად იგრძნობოდა. სამაგიეროდ ამ კუთხეში  
შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა მესაქონლეობის  
განვითარებისათვის, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მეურნეო-  
ბის ამ დარგს არ გააჩნდა ხელშემშლელი ფაქტორები. მდგომარეო-  
ბას საგრძნობლად ართულებდა საქონლის და ცხვრის ადგილზე  
გამოკვების აუცილებლობა, რაც მესაქონლეობის განვითარების შე-  
საძლებლობასაც განსაზღვრავდა. ეს თავის მხრივ ნაკარნახევი იყო  
ქართლის საზამთრო საძოვრების უქმარობით. როგორც მთხრობ-  
ლები აღნიშნავენ, იქ მონოპოლია ჰქონიათ მთისძირა ზოლის მცხო-  
ვრებთ, ხოლო მთიულეთ-გუდამაყრიდან გამოსაზამთრებლად მიდი-  
ოდნენ მხოლოდ 100 სულზე მეტის პატრონები, რომელთა რიცხვი  
მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა. მოსახლეობის უმ-  
რავლესობა იძულებული ყოფილა დასჯერებოდა მხოლოდ იმდენი  
ცხვრის ყოლას, რამდენის გამოკვებასაც შესძლებდა. ასეთ პირობებ-  
ში მოსახლეობისათვის უფრო ხელსაყრელი იყო მსხვილფეხა საქო-  
ნლის შენახვა, რომლის ერთი ნაწილი, ხარების სახით, გამწევ ძალას

წარმოადგენდა, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელი იყო მიზანი  
წათმოქმედება და ტვირთზიდვა.



იმის შესახებ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე მთიულ-  
გუდამაყრელთა მეურნეობა ძირითადად მიწათმოქმედებითა და  
მსხვილფეხა მესაქონლეობით იყო წარმოადგენილი, მთხრობლები  
გვაწვდიან ზოგადი ხასიათის ცნობებს. მათ არც იმისი აღნიშვნა  
ავიწყდებათ, რომ მოსახლეობა პურს იძენდა უმთავრესად მსხვილ-  
ფეხა საქონლის ნამატისა და პროდუქციის საფასურით, რის გამო  
მსხვილფეხა მესაქონლეობა აქ მეურნეობის წამყვანი დარგი იყო,  
მაგრამ მოგვიანო პერიოდის ამსახველი მასალა, რომელიც შეეხება  
XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნისს დასაწყისს, საყურა-  
დლებო კონკრეტულ ცნობებს შეიცავს სამეურნეო ყოფაში მომხ-  
დარი იმ დიდი ცვლილებების შესახებ; რაც გამოიწვია მეცხვარე-  
ობის დაწინაურებამ.

როგორც ხალხური გადმოცემები მოგვითხრობებს, ოჯახს შეეძ-  
ლო ადგილზე გამოეკვება ორი-სამი ათეული ცხვარი. უნდა ვითქი-  
როთ, რომ ცალკეული ოჯახების მიხედვით, გარდა იმ ოჯახებისა,  
რომლებიც ცხვარს ქართლში მიერეკებოდნენ, მთიულეთ-გუდამაყა-  
რში მეცხვარეობა ამ დონეზე იმყოფებოდა XIX საუკუნის მეორე  
ნახევრამდე. შემდგომ პერიოდში კი, როგორც ეს ოჯახების სამეუ-  
რნეო პირობების შესწავლამ დაგვანახა, მეცხვარეობა თანდათა-  
ნობით გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს. ეს განსაკუთრებით  
დამახასიერებელია დიდი ოჯახებისათვის, რამდენადაც მეცხვარეო-  
ბა საჭიროებდა მრავალ მუშახელს, რომლის გამოყვანაც შეეძლო  
გაუყრელ ოჯახს. ეს დასტურდება მრავალი ფაქტით, რომელთაგან  
ქვემოთ რამდენიმეს დავასახელებთ.

სოფ. ზემო მლეთაში ნაზღაიძეების ოჯახმა სამ მოწილეზე გა-  
ყო ერთი სახლი, ყევარით სახნავი 10 დღიური, 40 მთის თივის! სა-

I მთიულეთში, ისევე როგორც ხევში, ხალხი თავის სამეურნეო ტერიტორიას  
ყოფს მთად და ბარად, რაც შეესაბამება ადგილის მდებარეობისა და სიმაღლის  
ურთიერთშეფარდებას. ამის მიხედვით ბარი ეწოდება სოფლის ახლო ტერიტო-  
რიას, რომელიც შესაძლებელია ზღვის დონიდან საქმიოდ დიდ სიმაღლეზე (1500,  
2000.. მეტრზე) მდებარეობდეს. მაგრამ რამდენადაც მთებთან შედარებით  
ის დაბალია და მასთან ტრანსპორტით კავშირიც შესაძლებელია, ამდენად ის მთი-  
ულებისათვის ბარია. ამის ზემოთ მდებარე დაქანებული ფერდობების მქონე სიმაღ-  
ლეებს კი, რომელთანაც კონტაქტი დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული,



თობი, ერთი წისქვილი (დოლაბი), ექვსი ცხენი, ორი ვირი, ხალა ხალა  
ხარი, ხუთი ძროხა, ათი სული დეკეული, მოზვერი და ხბლ, 700  
ცხვარი.

სოფ. ჯაღმიანში ჯაღმაიძეების ერთ-ერთი ოჯახის --- საღირიანთ  
დოვლათს შეადგენდა ოთხი დღიური სახნავი მიწა, ოთხი ხარი, ხუ-  
თი ძროხა, ამ საქონლის გამოსაკვებად საკმარისი სათიბი და 800  
სული ცხვარი.

სოფ. ჯაღმიანში ჯაღმაიძეების ერთ-ერთი ოჯახის — საღირიანთ  
ხანავ-სათესი ფართობი მოიცავდა ექვს-შვიდ დღიურს; სათიბი და-  
ხლოებით იმდენი ჰქონიათ, რომ მისი თივა, ჩალა-ბზესთან ერთად,  
საკმარისი ყოფილიყო ოცამდე სული მსხვილფეხის საკვებად, ხოლო  
პირუტყვის სახით ოჯახს ჰყავდა: ოთხი-ხუთი ხარი, 13 ძროხა, 15—16  
ცხენი, ორი ვირი, სამი ძაღლი და 1000 სული ცხვარი.

სოფ. სეთურთ კარში სეთურიძეების 24-სულიანი ოჯახის საარ-  
სებო წყარო იყო ხუთი დღიური სახნავი მიწა, 15 ბარის თივისა და  
60-მდე მთის თივის სათიბი, ოთხი ხარი, ექვსი ძროხა, სამი ხბლ,  
ოთხი ცხენი და 1000-მდე სული ცხვარი.

სოფ. დავითურში დავითურების 15-სულიან ოჯახი: 1930 წელს  
გაუნაწილებია სამი დღიური სახნავი მიწა, 150 მთის თივის სათიბი,  
ექვსი ცხენი, შვიდი ხარი, 25 ძროხა, დეკეული, მოზვერი და ხბლ  
და 800 სული ცხვარი.

გუდამაყარში, სოფ. მაქართაში წიკლაურების დიდი ოჯახის  
დოვლათს შეადგენდა: სამი გუთნით ორი თვის სახნავი მიწა, 200  
სულამდე მსხვილფეხა (მათ შორის 14—16 ხარი, 20-მდე მეწველი  
ძროხა, დანარჩენი დეკეულები, მოზვრები, ბერწი საქონელი და  
ხბოები), 60 ცხენი (მათ შორის უნაგირისა შვიდი-რვა, საურმე და  
სასაპალნე ოუზე მეტი, ხოლო დანარჩენი კვიცები და გაუხედნავები;  
20 ცხენი პირველი იმპერიალისტური ომის დროს სამხედრო ტრან-  
სპორტში წაუყვანიათ), 10 ვირი, ხუთი ჭორი, 20 ძაღლი და 5500

უწოდებენ მთას. ამის შესაბამისად, მთიანეთის პირობებში ბარად გვესახება სოფ-  
ლის ირგვლივ, მთის ძირას მდებარე სახნავ-სათიბები, ხოლო მთად დიდ სიმაღლე-  
ზე მდებარე სათიბ-საძოვრები. გამომდინარე აქედან, მთის თივა ეწოდება მა-  
ლალსა და ძნელად მისადგომ სათიბში დამზადებულ ბულულს, რომელიც დაახ-  
ლოებით რვა ფუთს იწონის, ხოლო სოფლის ახლო მდებარე სათიბში დამზადე-  
ბულ ბულულს, რომლის წონა 12 ფუთს აღწევს, ეძახიან ბარის თივას.



ცხვარი. ცხვარი დაუდიოდათ ყიზლარში. 1918 და 1921 წლებში ურეკიათ ყარაისა და საგარეჭოში და დიდი ზარალიც მოტკლეს.

მაქართაში ჰქონიათ ორი სახლი — ერთი საჯალაბო, სადაც საჭმელს ამზადებდნენ, ჭამდნენ, თბებოდნენ, სტუმარს ღებულობდნენ და ოჯახის წევრთა უმრავლესობა იძინებდა. მეორე სახლი სამსართულიანი ყოფილა, რომლის პირველ სართულში საქონელი მდგარა, მეორეში ოჯახის წევრების ნაწილი იძინებდა და ერბო-ყველი ინახებოდა, ხოლო მესამე სართული მთლიანად კალოს წარმოადგენდა, რომელსაც იყენებდნენ პურის, მატყლისა და ხორცის შესანახად, ზაფხულობით დასაძინებლად და ავდარში საქონლის დასაყენებლად.

გარდა ამისა, წიკლაურებს კიდევ ჰქონიათ სამი სახლი, მათ შორის ერთი ბაზალეთში, სადაც მათ სამუშაოები ბაზაც შეუძენიათ ზამთრობით ბერწი საქონლის (ხარების, მოზვრების, ღეკეულების, არამერველი ძროხებისა და ხბოების) გამოსაკვებად, ხოლო ორი სახლი სდგმიათ მთებში — ხახაბანსა და ოქციხოში, სადაც სახნავსათიბი ჰქონიათ. ამ ნაგებობაშიც ისინი აზამთრებდნენ საქონელს, ვინაიდან უგზოობის გამო იქიდან ჩალა-თივის ჩამოტანა ჭირდა.

დამოწმებული მაგალითები მიგვითითებენ მაღალგანვითარებულ მეცხვარეობაზე, როგორც მთიულეთ-გუდამაყარში XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე არსებულ საერთო მოვლენაზე. ამავე მაგალითების მიხედვით ისიც აშკარაა, რომ მეცხვარეობასთან ერთად მეურნეობის სფეროში დიდი ადგილი ეჭირა მესაქონელობას, ხოლო მოსახლეობა მიწის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. აღნიშნული ვითარებაც მთელი მთიულეთ-გუდამაყრისათვის საერთო მოვლენა იყო, მაგრამ ცალქეული ოჯახების მიხედვით მეურნეობის სახეობათა შეფარდებაში შესამჩნევი სხვაობა იგრძნობოდა, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ რამდენიმე ფაქტის მეშვეობით:

სოფ. შონჩოში ნარიმანიძეების 22-სულიანი ოჯახის ქონებას შეადგენდა ერთი სახლი, ერთი წისქვილი, 10 დღიური სახნავი, 200 მთის თივის საჟიბი, 100 სული მსხვილფეხა (აქედან: 21 მეწველი ძროხა, რეა ხარი, ოთხი ცხენი, ორი კვიცი, დანარჩენი ღეკეულები, მოზვრები, ხბოები), 300 ცხვარი და ორი ძალლი.

სოფ. ჯალმიანში სუნტიძეების 20-სულიანმა ოჯახმა ოთხად გაყოფის მომენტში გაანაწილა 20 დღიური სახნავი, ყევარი ხარი, 50

სული მსხვილფეხა (ძროხა, დეკეული, მოზვერი, ხბო) და 200 ცხვარი  
ცხვარი.

ბეჭანიანთ (ბურდული) 20-სულიან ოჯახს ჰქონდა 12 ღლიური  
სახავი, 80 მთის თივის სათიბი; ჰყავდა ყველი ხარი, 25 სული  
მსხვილფეხა (ძროხა, დეკეული, მოზვერი, ხბო) და 100 ცხვარი.

ეს და სხვა მსგავსი ფაქტები მოწმობენ, რომ ოჯახების ერთი  
ნაწილის ეკონომიკაში თავისი ხვედრითი წონით მეცხვარეობას უთა-  
ნაბრდებოდა ან ჭარბობდა მსხვილფეხა მესაქონლეობა. ამავე რიგის  
მასალებიდან ისიც აშეარაა, რომ ოჯახები მეტ-ნაკლები სიდიდის სა-  
ხანავ-სათიბებს ფლობდნენ, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევ-  
რისა და XX საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელ მოვლე-  
ნად გვესახება მეურნეობის განვითარების ტენდენცია მეცხვარეო-  
ბის ზრდისა და მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შევიწროების ნიშ-  
ნით.

მთიულეთ-გუდამაყარში მეურნეობის განვითარების იმგვარი  
პროცესის დამადასტურებელია ლიტერატურაში ასახული ცნობები  
თუ გამოთქმული მოსაზრებები, დაწყებული ვახუშტით და დამთა-  
ვრებული თანამედროვე ავტორებით.

ვახუშტი ბაგრატიონის დაკვირვებით, „არს გუდამაყრის ქეობა  
მაგარი, მოსავლით, ვითარცა სხვა მთის ალაგნი და უფროს მწირი.  
კაცნი და ჭალნი მგზავსნი მთიულთა, ქელოსანნი, მშვილდთმოქმე-  
დნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და ჭართაგან“<sup>2</sup>.

რაც შეეხება მთიულეთს, „არს მოზღუდვილი მთიულეთი მთი-  
თა; ამის გამო მაგარი და შეუალი არს, უვენახო, უხილო, მცირე მთ-  
სავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდან ტკბილსა, შთაასხმენ აქა და  
ლომისას, და დაღვების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი. არა არს  
აქა აქლემი, კანბეჩი და ვირი; არს ცხოვარი უდუმო, კუდიანი, ძროხა

1 ვახუშტი ერთიმეორისაგან მიგნავს ჭართალს, ხანდოს, გუდამაყარს და მთი-  
ულეთს. ის ჭართალსა და ხანდოს აქცევს არაგვის პირისა და ბაზალეთის აღწერი-  
ლობაში: „ხოლო ანანურს ზეით ერთვის არაგვს დასავლიდამ ჭართალის კვ-  
ევი. მის ჩრდილოთ არს მთიულთა კარი, ი, სიმაგრე მტკიცე; მას ზეით ნასა-  
სახლევი მეფეთა და ხანდოს კვევი, რომელიც გამოსდის ლომისის მთას,  
ერთვის არაგვს დასავლეთიდამ“ (ვახუშტი, აღწერა... 65).

ვახუშტი ამის შემდეგ ცალ-ცალკე აღწერს ჭერ გუდამაყარს და შემდეგ მთი-  
ულეთს. ამის მიხედვით, მთიულეთი მოიცავს მხოლოდ თეთრი არაგვის ხეობას;  
მთიულთარიდან ჭრის გადასავალამდე.

2 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, 65.



და ცხენიცა არა მრავალ სივიწროვის გამო. ჰავით არს ფრიატული ხელი და მშვენიერი, წყარო-წყლითა და მწვანითა. წყალთა შინა კალ-მახი მრავალნი, ქორცი, თევზი და ფრინველნი გემოიანნი, პური ნოყიერი, აგრეთვე ქროილიცა“ (გვ. 66).

აქედან აშკარად ჩანს, რომ მთიულეთ-გუდამაყარში ვახუშტი ხე-დავდა ტიპიურ მთურ მეურნეობას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მწირი და მცირე მოსავლიანობა და ბარული მეურნეობის ისეთი დარგების უქონლობა, როგორიცაა მევენახეობა-მეხილეობა. ასეთი ვითარება აპირობებდა ბართან მთიულეთის მციდრო კონტაქტს, რომლის ერთ-ერთ ნიშად ვახუშტი ასახელებს ბარიდან ტკბილის შემოტანას.

მთური მეურნეობის სპეციფიკა კარგად ჩანს მეცხოველეობის სფეროშიც. იქ, სადაც გავრცელებული იყო ცხვარი, ძროხა და ცხენი, არ არსებობდა აქლემი, კამეჩი და ვირი. ბარის ცხოველებმა — აქლემმა და კამეჩმა მთიულეთში ვერც შემდეგ მოიკიდეს ფეხი. რაც შეეხება ვირს, XVIII საუკუნის მიწურულში მისი უყოლობის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ მეცხვარეობის განუვითარებლობა. მაშინდელ მთიულეთში რომ განვითარებული მთა-ბარული მეცხვარეობა ყოფილიყო, ვირს, როგორც საიმედო ტვირთმზიდავს, უსათუოდ გამოიყენებდნენ, ისევე როგორც იყენებენ მას მეცხვარეობით ცნობილ დღევანდელ მთიულეთში. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ვიდრე მთიულები ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებს გამოიყენებდნენ, ქართლის სხვადასხვა რაიონში ცხვარი გამოსაზამთრებლად მიუდიოდათ მხოლოდ მათ მცირედ ნაწილს, უმთავრესად შეძლებულ ოჯახებს. მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული იყო ორიოდე ათეული ცხვარი ბაგურ კვებაზე ჰყოლოდა, რაც ძალაუნებურად მსხვილფეხა საქონლის დიდი რაოდენობით ყოლის შესაძლებლობასაც ამცირებდა. უსათუოდ ეს გარემოება უნდა ჰქონოდა მხედველობაში ვახუშტის, როდესაც ის მეცხოველეობის განვითარების შეზღუდული ლიმიტის მიზეზად მთიულეთის „სივიწროვეს“ ასახელებდა. მაშინდელი მთიულეთ-გუდამაყარი რომ ბარის საზამთრო საძოვრებთან თუშეთივით ყოფილი დაკავშირებული, ვახუშტის ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ამიტომაა, რომ მთიულეთ-გუდამაყრის, ისევე, როგორც ხევის სამეურნეო დახასიათებისას ვახუშტი არ შეხებია საზამთრო საძოვრებით სარგებლობის საკითხს, მაშინ როდესაც ეს მომენტი აღნიშნუ-



ლი აქვს თუშეთის მიმართ: „კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა მოდა მრავლესა, ვინათგან აქუთ, ზაფხულს თვისთა მთათა შინა საძოვაონი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მჯარსა შინა“ (გვ. 105).

გაშასაღამე, „ცხოვართა სიმრავლის“ აუცილებელ პირობად ვა-  
ხუშტის ესახებოდა საზაფხულოსთან ერთად საზამთრო საძოვრებით  
სარგებლობის შესაძლებლობა, რაც გააჩნდათ თუშებს, ხოლო იმ  
დროისათვის ამის შესაძლებლობას შედარებით მოკლებულნი იყვ-  
ნენ მოხევეები, გუდამაყრელები და მთიულები. მთიულეთ-გუდამაყ-  
რის ლიმიტირებული მეურნეობის ვახუშტისეული დახსიათების  
საფუძველზე საფიქრებელია, რომ მეცხვარეობასთან შედარებით  
უფრო მეტად განვითარებული ყოფილიყო მსხვილფეხა მესაქონლე-  
ობა, ხოლო მეურნეობის ორი ძირითადი დარგიდან — მიწათმოქმე-  
დებიდან და მეცხველეობიდან მეორის ხედრითი წონა მეტი ყო-  
ფილიყო პირველზე მთიულეთ-გუდამაყარში მეცხველეობისათვის  
რამდენადმე ხელსაყრელი პირობების არსებობის გამო.

მთიულეთ-გუდამაყრის სამეურნეო-ეკონომიური პირობების  
შესახებ ვახუშტის შემდეგ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ნ. ჭი-  
ლაშვილი. მთავრობის დავალებით 1827 წელს შედგენილ მიმოხილ-  
ვაში, რომელიც დაიბეჭდა 1878 წელს კავკასიის არქეოგრაფიული  
ძეტების VII ტომში, ნ. ჭილაშვილი, ვახუშტის მსგავსად, მთიულეთ-  
გუდამაყარს ყოფს ოთხ ძირითად ნაწილად, რომელთაგან მისთვის  
მთიულეთია თეთრი არაგვის ხეობის ზედა ნაწილი დაახლოებით ფა-  
სანაურიდან ჯვრის უღელტეხილის მისადგომებამდე. მეორე ნაწილად  
ის განიხილავს გუდამაყარს, რომელიც მოიცავს ამავე სახელწილე-  
ბის ხეობას ფასანაურიდან ბურსაჭირამდე. მესამე ნაწილად დასახე-  
ლებულია ხანდო (ხანდოს ხეობა), ხოლო მეოთხეა — ჭართალი.

ნ. ჭილაშვილის დაკვირვებით, ამ ხეობებში მიწა არც თუ ისე ნა-  
ყოფიერია, მაგრამ მთიულები, გუდამაყრელები, ხანდოელები და ჭა-  
რთლელები სახნავი მიწებით მოხევეებზე მდიდრები არიან, რასაც  
აპირობებს ტყეების გაჩენვით ნაკვეთების გაზრდის შესაძლებლობა.  
სახნავებს იშვიათად ასევენებენ, ხნავენ კავში შებმული 2 ან 3 უღე-  
ლი ხარით. შობყავთ ხორბალი, ქერი და ფეტვი, რომლის უქმარობის  
გამო პურეულს ყოველწლიურად ყიდულობენ საქართველოს სხვა  
ადგილებში. სამაგიეროდ სათიბები და საძოვრები საქმაოდ კარგი  
და ვრცელი აქვთ. მცხოვრებლები მისდევნ მეფუტკრეობას და მესა-  
ქონლეობას. ზაფხულობით ცხვარს აბალახებენ თავიანთ მთებში, ხო-

ლო ზამთრობით შეირეცებიან თბილისის მიდამოებსა და სხვა ადგილებში. ყიდიან ყველს, ერბოს, მატყლს და ცხვრის ტყავებს უკავებდნენ და და სხვ. სხვათა შორის აქ მოდის კანაფიც, რომლისაგან მხოლოდ თოქს გრეხენ. ზე- მოხსენებულ მთიელთა შორის ყველაზე შეძლებულად ცხოვრობენ გუდამაყრელები.

ამგვარად, ნ. ჭილაშვილის აღწერილობის მიხედვით, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მთიულ-გუდამაყრელთა ძირითად საარ-სებო საშუალებას წარმოადგენდა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა, მაგრამ მეფუტკრეობის მასშტაბსა და მნიშვნელობაზე ის არაფერს ამბობს. მას არც შეეძლო რაიმე ეთქვა მეფუტკრეობის სამეურნეო მნიშვნელობაზე, ვინაიდან ეს დარგი მთიულეთ- გუდამაყარში არამც თუ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, არა- მედ ახლაც კი მეტად დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. მთელი XIX საუკუნის სიგრძეზე დუშეთის მაზრის მთა-ბარში მეფუტკრეობა სუსტად იყო განვითარებული და შემოსავლის დამხმარე წყაროს წარმოადგენდა. მთიულეთ-გუდამაყარში უმთავრესად ცნობილი იყო ტყის ანუ ველური ფუტკრით სარგებლობის წესი, ხოლო ფუტ- კრის სკებს დღესაც იშვიათად ვხვდებით მეფუტკრეობისათვის საკ- მაოდ ხელსაყრელი პირობების მქონე ამ კუთხის ხეობებში. ჩვენს და- კვირებას ადასტურებენ სხვა ავტორებიც (ნ. ნიკიფოროვი, ს. მა- კალათია, მ. კედელაძე, ლ. კაშაური). ყოველივე ამის გამო მეურნე- ობის ძირითად დარგებში მეფუტკრეობის დასახელება გამორიცხუ- ლია. ნ. ჭილაშვილის მიერ ხსენებულ მთავარ საარსებო საშუალება- თაგან არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მიწათმოქმედებას და მე- საქონლეობას, რომელთაგან წამყვან როლს ასრულებდა მესაქონ- ლეობა. ამის დამადასტურებელია პურეულის ყოველწლიურად ყიდვის საჭიროება და მესაქონლეობის პროდუქციის გაყიდვის რე- გულარული ხასიათი.

დაახლოებით ასეთსავე ვითარებას გვაცნობს XIX საუკუნის 80-იან წლებში ნ. ნიკიფოროვი. ის სამართლიანად აღნიშნავდა, რომ დუშეთის მაზრის მთიანეთში, სადაც ძირითადი დარგები იყო მიწა- თმოქმედება და მესაქონლეობა, მწირი ნიადაგი სისტემატურად სა- ჭიროებდა ნაკელით განოყიერებას. ამასთან ერთად ნ. ნიკიფოროვს შეუმჩნევლად არ დარჩენია სახნავი ნაკვეთების ნაკლებობა, რაც მას მიაჩნდა მთიელთა სიღარიბისა და ნამატი მოსახლეობის ბარაზ



ჩამოსახლების მიზეზად. თუ ის დუშეთის მაზრის ბარისა და მთისში რა ზოლში მეურნეობის წამყვან დარგად მიიჩნევდა მიწათმოფენების ბას, მთიულთა ძირითად ეკონომიურ საფუძვლად თვლიდა მესაქონლეობას, განსაკუთრებით მეცხვარეობას. მას იმ დროისათვის 8000—10000 სული ცხვრის პატრონებიც კი ჰყავს დასახელებული (შიო კაიშაური, შიო წიკლაური, ღერენა აფციაური), მაგრამ ჰინაიდან ასეთი დიდი მეცხვარები ძალზე ცოტანი იყვნენ, მარტო ამ მონაცემების მიხედვით გაძნელდებოდა მეცხვარეობის დაწინაურებაზე მსჯელობა. როგორც მეცხვარეობის ისე მეურნეობის სხვა სახეობათა მდგომარეობას ვეცნობით არა ასეთი გამონაკლისების მიხედვით, არამედ იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, რომელიც თვით ნ. ნიკიფოროვს მოჰყავს საგანგებოდ ამ მიზნით შედგენილ ცხრილში.

ცხრილში ნაჩვენებია კომლთა რიცხვი და სულადობა, პირუტყვის რაოდენობა, აღგილ-მამულების მოცულობა და გადასახადების შემადგენლობა. მთიულეთ-გულამაყრის ცალკეული, სანიმუშოდ აღებული სოფლების მიხედვით ასეთი სურათი გვეხატება:

სოფ. მუღურო, რომელიც მაშინ 16 კომლს (146 სული) ითვლიდა, სულ ფლობდა 146 დესეტინა ფართობს. აქედან საკარმილამო იყო 0,75 დეს. სახნავი—20,25 დეს. სათიბი—25 დეს., ხოლო საძოვარი და უვარგისი —100 დეს. პირუტყვის სახით სოფლის დოვლათს შეაფენდა: მუშა და ბერწის საქონელი 54 სული, მეწველი ძროხა—12 სული, ცხენი და ჭორი — 12, ხოლო ცხვარი 4360 სული.

სოფ. შონჩოში მცხოვრებ 17 კომლს (137 სული). პქონდა სულ 94 დესეტინა: საკარმილამო—0,50, სახნავი—18,50, სათიბი—25, ხოლო საძოვარი და უვარგისი—50 დესეტინა. ჰყავდათ მუშა და ბერწი საქონელი 74, მეწველი ძროხა — 22, ცხენი და ჭორი—6, ცხვარი 540 სული.

სოფ. ჩადისციხეში 10 კომლი (99 სული) ფლობდა 1033,50 დესეტინას. აქედან საკარმილამო იყო 1 დეს., სახნავი—12,50, სათიბი—20, ხოლო საძოვარი და უვარგისი—1000 დეს. სოფელს ჰყავდა მუშა და ბერწი საქონელი 61 სული, მეწველი ძროხა—30, ცხენი და ჭორი—10, ცხვარი—2280.

ხანდოს ხეობის სოფ. დავითურთკარში 9 კომლს (54 სული) პქონდა 37,85 დესეტინა: საკარმილამო—0,35, სახნავი—8,55, სათიბი—8,75, საძოვარი და უვარგისი—20, სოფლის პირუტყვიდან ბე-

რწი და მუშა საქონელი იყო 26 სული, მეწველი ძროხა—9, ცხრილი ჭორი—6, ცხვარი—160.

ჭართალში 39 კომლის (302 სული) ტერიტორია მოიცავდა 208,75 დესეტინას. აქედან საკარმიდამო იყო 2,75 დეს., სახნავი—65, 50 დეს., სათიბი—65,50 დეს., საძოვარი და უვარგისი—75 დეს. სოფელს ჰყავდა მუშა და ბერწი საქონელი—199, მეწველი ძროხა—32, ცხენი და ჭორი 24, ცხვარი —860 სული.

გუდამაყრის ხეობის სოფ. გამსი, რომელიც ითვლიდა 11 კომლს (134 სული), ფლობდა 56 დესეტინას: საკარმიდამო—0,50 დეს., სახნავი—20,50 დეს., სათიბი—10 დეს., საძოვარი და უვარგისი—25 დეს. სოფელს სულ ჰყავდა: ბერწი და მუშა საქონელი—58, მეწველი ძროხა 11, ცხენი და ჭორი—17, ხოლო ცხვარი 4500 სული.

თეთრი არავის ხეობიდან, ხანდო-ჭართალიდან და გუდამაყრი-დან დამოწმებული ფაქტობრივი მონაცემები, ჩვენ მიერ მოპოვებული ზემოთ განხილული ეთნოგრაფიული მასალების მსგავსად, აშენად იმ გარემოებაზე მიგვითითებენ, რომ მოსახლეობა სამეურნეო ნაკვეთების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა, ხოლო მეცხოველეობის სფეროდან აღმავლობის გზაზე იდგა მეცხვარეობა. ეთნოგრაფიულ მონაცემებს 6. ნიკიფოროვის ციფრობრივი მონაცემები იმ მხრივაც ეთანხმება, რომ ორივე წყაროს მიხედვით მსხვილფეხა მესაქონლეობაში ჭარბობდა ბერწი და მუშა საქონლის რიცხვი, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამწევ ძალაზე მოთხოვნილებით, პირველ ყოვლისა ინტენსიური მიწათმოქმედების ინტერესებით, აიხსნება. ამიტომ, მეცხვარეობის განვითარების შესაძლებლობის შემთხვევაში მთიელი კაცი უფრო აღვილად შეელეოდა ძროხების შემცირებას და შეეცდებოდა გამწევი ძალის შენარჩუნებას, ვინაიდან ძროხების მომრავლება დაკავშირებული იყო საზამთრო საკვებით მომარავების სიძნელესთან, ხოლო ჩრდილო კაცვასის საზამთრო საძოვრებზე გასვლა სახავდა გაცილებით რენტაბელური დარგის— მეცხვარეობის დაწინაურების პერსპექტივას.

თავის მხრივ ეს ბევრად იყო დამოკიდებული საზაფხულო საძოვრებზედაც. ამიტომ მეცხვარეობა განსაკუთრებით დაწინაურებული იყო ამ მხრივ ხელსაყრელ გუდამაყრის ხეობაში. მაგრამ ზოგიერთი სოფელი ასეთ სამეურნეო პირობებს ჯერ კიდევ მეცხვარეობის ინტერესებს კი არ უფარდებდა, არამედ საძოვრების იგარით გაცემის ტრადიციას მისდევდა. ასეთად გვესახება, მაგალითად, მთი-



ულების სოფ. ნადიბაანთ კარი, სადაც ნ. ნიკიფოროვის მეცნიერებები და ცხრილი ცხრილის მიხედვით, არც ერთი ცხვარი არ იყო მასში მოტების მისი მცხოვრების საძოვრებს იჯარით სხვებს აძლევდნენ.

6. ნიკიფოროვის მიერ შედგენილ ცხრილში კიდევ რამდენიმე სხვა სოფელიცაა დასახელებული, სადაც მეცხვარეობას არ მისდევდნენ; იმავე ცხრილის მიხედვით ნათლად ჩანს მეცხვარეობისა და მეურნეობის სხვა დარგების განვითარების სხვადასხვა დონე, ისევე, როგორც ამას გვიჩვენებს ეთნოგრაფიული მასალა, მაგრამ აქ კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეურნეობის წამყვან დარღს წარმოადგენდა მესაქონლეობა მზარდი მეცხვარეობის უპირატესობით.

აღნიშნული ვითარება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მთიელთა ცხოვრებით დაინტერესებულ მოღვაწეებს. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს ალ. ყაზბეგი, რომელმაც ნ. ნიკიფოროვის ზემოხსენებული ნაშრომის გამოქვეყნებამდე ხუთი წლით ადრე თავისი შეტელულება გამოთქვა პეტრე უმიკაშვილთან პოლემიკაში.

1882 წელს პ. უმიკაშვილმა გაზ. „დროებაში“ (№ 270) გამოაქვეყნა წერილი — „თერგის ხევი და მთიულეთი“, რომელშიც შეეხო ბაქოს რეინიგზის გახსნასთან დაკავშირებით მთიულებისა და მოხეკების მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ მდგომარეობას. იგი შიშს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მთიელთა ცხოვრების პირობები გაუარესდებოდა, ვინაიდან ამიერიდან ტვირთის ზიდვა რეინიგზით იწარმოებდა, ხოლო მთიულებსა და მოხევეებს, რომლებიც თავს ირჩენდნენ ქირაზე სიარულით, შემოსავლის წყარო მოესპობოდათ. ვინაიდან პ. უმიკაშვილს მთაში ცხოვრების საშუალება არ ეგულებოდა, მან უმჯობესად მიიჩნია მოხევეები და მთიულები საცხოვრებლად გადასულიყვნენ ოსმალეთისაგან განთავისუფლებულ აქარაში, ანდა დაუფლებოდნენ რაიმე ხელობას, სახელდობრ ქვის მოლელობას და კალატოზობას.

ალ. ყაზბეგმა არ გაიზიარა პ. უმიკაშვილის თვალსაზრისი. მისი შეხედულებით, მთიელთა ძირითად საარსებო წყაროს ქირით ტვირთის ზიდვა კი არ წარმოადგენდა, არამედ მესაქონლეობა, უპირატესად მეცხვარეობა, რომელსაც ზრდისა და განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნდა. მეურნეობის ამ დარგის შემდგომი დაწინაურების საფუძვლად ალ. ყაზბეგს მიაჩნდა მთის საზაფხულო საძოვრები და იმ დროს უკვე ცხვრის გამოსაზამთრებლად გამოყენებული

ჩაჩნეთის ველები. აღ. ყაზბეგის თვალსაზრისის სისწორეში მდგრად შეტანის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ეს თვალსაზრისის მან სანდო ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით დაასაბუთა მოხევეთა ყოფისადმი მიძღვნილ სხვა წერილებშიც (ტ. V, გვ. 5—50).

მთიულ-გუდამაყრელთა სამეურნეო ყოფის შესახებ სათანადო შეხედულებები გამოთქვეს საბჭოთა სწავლულებმა.

ს. მაკალათიას დაკვირვებით, „მთიულები უმთავრესად მისდევენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას“... „თავისი ჭირნახული მთიულეთის გლეხობას ოთხი-ხუთი თვე ძლივს პყოფნის და შემდეგ კი ის იძულებულია პურეული სხვა კუთხეებიდან შემოზიდოს“. მასივე მტკიცებით, მეცხოველეობის სფეროდან დაწინაურებულია მეცხვარეობა, ვინაიდან ნახევარი წლის განმავლობაში ბაგური კვების პირობებში მსხვილფეხა საქონლის დიდი რაოდენობით შენახვა ჭირს.

ლ. პანეკი მთიულეთ-გუდამაყარს ახასიათებს ღარიბ კუთხედ, რომლის მაღალი, უმთავრესად ტყით დაფარული მთები არ იძლევა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ფართო მასშტაბით განვითარების შესაძლებლობას. ის გარემოება, რომ საშუალოდ ოჯახზე სამი-ოთხი დღიური სახნავი მიწა მოდის, მოსახლეობა იძულებულია პური სხვაგან შეიძინოს. მისი დაკვირვებით მეურნეობის ძირითადი დარგი აქ მაინც მსხვილფეხა მესაქონლეობა და მეცხვარეობაა, რომელთაგან მეცხვარეობა განსაკუთრებით განვითარებულია გუდამაყარში.

მთიულეთის ერთი სოფლის — გოგნაურის — შესახებ 1953 წელს დაბეჭდილ სტატიაში გ. ჩიტაიამ აღნიშნა, რომ მთიულეთში „საქმე გვაქვს შერწყმულ მეურნეობასთან მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სახით“, მაგრამ ავტორი ამათგან რომელ დარგს ანიჭებს უპირატესობას, ეს მისი ნაშრომიდან არ ჩანს.

ვახუშტიას და ჭილაშვილის მონაცემებზე დაყრდნობით დ. გვრიტიშვილი 1955 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში — „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“ (გვ. 165) არავის საერისთავოს ბარის ზოლში მეურნეობის მთავარ დარგად მიიჩნევს მიწათმოქმედებას, ხოლო მთის ზოლის მცხოვრებთა ძირითად საქმიანობად თვლის მესაქონლეობას.

ლიტერატურული მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე აღ. რობაქიძე იმ დასკვნამდე მივიღა, რომ 3. კ. ითონიშვილი

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის „თანაშეფარდება სახვათისას“ ხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა იყო. უდავოა, მაგ., რომ მთიულეთში (ისევე როგორც ხევში, თუშეთში...) სასაქონლო მეურნეობა კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა, მისი საფუძველი გახდა მესაქონლეობა, ე. ი. მეურნეობის ის დარგი, რომელიც აქ აქამდეც ყველაზე რენტაბელური იყო. ამან გამოიწვია სახნავი მიწების ერთი ნაწილის სათიბ-საძოვრად გადაქცევა. ფაქტიურად ეს იმას ნიშნავდა, რომ მთლიანად მთიულეთის ფარგლებში მემინდვრეობის ხვედრითი წონა შემცირდა მესაქონლეობის სასარგებლოდ“ (გვ. 24).

მ. ჩართოლანის მიერ ნაგებობათა ცალკეული სახეობების სამეურნეო ფუნქციის შესწავლის საფუძველზედაც ნათლად გამოჩნდა, რომ მთიულეთ-გუდამაყარში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის კომპლექსი პასუხობს ძირითადი მეურნეობის — მესაქონლეობის, როგორც წამყვანი დარგის მოთხოვნილებას.

ამგვარად, როგორც ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების, ისე ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, მთიულეთ-გუდამაყარში ოჯახის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი მთური მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. მეურნეობის ამ მეორე დარგის ხვედრითი წონა ყოველთვის მეტი იყო პირველზე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საგრძნობლად დაწინაურდა მეცხვარეობა, რომლის აღმავლობასთან ერთად მსხვილფეხა მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ხვედრითი წონა კლებულობდა.

მეურნეობის ძირითად დარგებთან ერთად მთიულ-გუდამაყარელთა ცხოვრებაში მეტ-ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა რიგ დამხმარე საქმიანობასაც. ასეთად გვესახება მეფუტკრეობა, მეფრინველებისა, მონადირეობა, არაგვში თევზის (კალმახის) ჭერა, ტყის ხილის შეგროვება, ხე-ტყის მასალისა და შეშის დამზადება, ხელოსნობა, საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობა, ამავე გზაზე ჭირით ტვირთის ზიდვა, ვაჭრობა და შინამრეწველობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფუტკრეობა აქ უმთავრესად ტყის ფუტკარის მზა პროდუქციით სარგებლობის დონეზე იდგა; ოჯახში ფუტკარი იშვიათად ვინმეს ჰყავდა, რის გამო მას არ შეეძლო რაიმე წვლილი შეეტანა საოჯახო მეურნეობაში. თითო-ორიოდა ქათმის ყოლაც შორს იდგა მეფრინველეობისაგან; ამდენად, მთიულეთ-

გუდამაყრისათვის მეფტინველეობაც პირობითი ცნებაა, ისევე რომ  
გორუ ზოგიერთი მოხალისის მიერ კალმახის ჭერას არ შეიძლება მართვა,  
წოდოთ მეთევზეობა. ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვან საქმიანობად  
გვესახება ჯიხვასა და დათვზე ნადირობა, რასაც მრავალი მთიელი  
ეტანებოდა საზამთროდ ხორცის მომარაგებისა და ტყავით უზრუნველყოფის  
მიზნით. მონაღირეს ხალისს მატებდა ტყავზე და ჯიხვის რქაზე, როგორც გასაყიდ საქონელზე, მოთხოვნილებაც.

მთიულებს ორმაგ სარგებლობას აძლევდა ტყე: აქ მოკრეფილ  
ნაყოფს (პანტას, მაჟალოს, შინდს...) შინ მოხმარების გარდა ხევში  
ცვლილნენ მატყლზე, ყველ-ერბოსა და ქერზე. ხე-ტყის მასალისა და  
შეშის მყიდველებიც უმთავრესად ხევის მცხოვრებნი იყვნენ, რაც  
მთიულებისათვის სარფიან საქმედ ითვლებოდა.

ზოგიერთი ოჯახის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგე-  
ნდა მჭედლობა, დურგლობა თუ კალატოზობა. რომელიმე ამ საქმეს  
დაუცვლებული კაცი უმთავრესად მთიულეთ-გუდამაყრის ფარგლე-  
ბში ტრიალებდა, ხოლო ზოგი მის გარეთაც მიღიოდა. კალატოზები  
უმთავრესად ხევსურთა სახლებს აშენებდნენ და შრომის საზღაუ-  
რად ერბოს ან საქონელს ღებულობდნენ.

საქართველოს სამხედრო გზის პირას მცხოვრებთა ერთი ნაწილის  
ფულადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა გზის შეკეთება,  
ჯებირების აგება, თოვლისა და ქვა-ტალახისაგან გზის წმენდა, ქვის  
მტვრევა და ა. შ. ი. ნიკიფოროვის ცნობით, ამ სამუშაოზე ხალხი  
გამოდიოდა სამეურნეო საქმიანობისაგან განთავისუფლების შემ-  
დეგ. სამუშაოს ხასიათისა და სეზონის მიხედვით მუშა დღეში ღებუ-  
ლობდა 60 კაპიკიდან ერთ მანეთამდე, ხოლო გზაზე დასაყრელი  
ერთი კუბური საენი ქვის დამტვრევა ღირებულა რვიდან თორმეტ  
მანეთამდე, მაშინ როდესაც ცხვარი ფასობდა სამიღან ექვს მანე-  
თამდე და ა. შ.

გზის პირას მცხოვრებთაგან ზოგიერთი ოჯახის ერთი რომელი-  
მე წევრი ტვირთზიდვაშიც იყო ჩაბმული, მაგრამ მთიულები ამ საქ-  
მეში ისე აქტიურად არ მონაწილეობდნენ, როგორც მოხევეები,  
ხოლო გუდამაყრელები, გზიდან მოშორებით ცხოვრების გამო, არც  
ამ საქმეს და არც გზაზე მუშაობას არ მისდევდნენ.

გზასთან სიახლოვე პირობებდა ვაჭრობაში ჩაბმის შესაძლებ-  
ლობასაც. ამ მხრივ გზის პირას მცხოვრები მთიულებიც კი განზე  
იდგნენ და სავაჭრო პუნქტებში (ფასანაური, ქვეშეთი...) მეღუქნე-  
ები.



ში იყვნენ სომხები, ხოლო მოსიარულე ვაჭრები ებრაელები, რომლებიც მთიულებს მოხერხებულად ყვლეფდნენ ნატურალური ფასტაციას ლის საშუალებით, მაგრამ აღნიშნულმა ვითარებამ მოსახლეობაზე მაინც იქონია ზეგავლენა, რის შედეგად ზოგიერთი მთიული თვითონ დაწავა ამ საქმიანობას. ასეთები იყვნენ კაიშაურები, მელიქი შვილები და სხვანი, მაგრამ ასეთი გამონაკლისების მიხედვით საოჯახო მეურნეობაში ვაჭრობის როლზე ლაპარაკი გაუმართლებელი იქნებოდა. ასევე არ შეიძლება არსებითი მნიშვნელობა მივანიჭოთ შინამრეწველობას, ვინაიდან ტყავ-მატყლის ნაწარმი უმთავრესად ოჯახის წევრთათვის იყო გათვალისწინებული. გასაყიდად რაიმეს გატანა ხდებოდა ფულის დიდი საჭიროების შემთხვევაში. შინაური ნაწარმის საბაზროდ დამზადებას უმთავრესად ადგილი უნდა ჰქონოდა მეცხვარეობის განვითარების შემდეგ. უფრო ადრე, ნედლეულის (მატყლის, ტყავის) ნაკლებობის გამო, გასაყიდი ნაწარმის დამზადების შესაძლებლობა არ უნდა არსებულიყო. 6. ჭილაშვილიც ამიტომ არაფერს ამბობს ნაწარმის გაყიდვის შესახებ.

დაახლოებით ასეთი სურათი გვეხატება მთიულეთ-გუდამაყრის სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებზე დაკვირვების, ცალქეული ოჯახების ეკონომიკური საფუძვლების გაცნობის, ლიტერატურული მონაცემების გათვალისწინებისა და ისტორიულ ასპექტში მათი გააზრების საფუძველზე.

### ოჯახის მართველობის სისტემა და მასთა არსებულები უროშის ორგანიზაცია

ოჯახის მართვისა და შრომის ორგანიზაციის ხასიათს პირველ რიგში მოახსინები განსაზღვრავდა. თუ მცირერიცხვან ინდივიდუალურ მოახსინები ხელმძღვანელობაც და შრომაც უმთავრესად ერთი საქორწინო წყვილის მოვალეობას შეადგენდა, ხოლო შრომაში მათი შვილების მონაწილეობის შესაძლებლობა ძირითადად შვილების ასაქშე იყო დამოკიდებული, სულ სხვა ვითარებას ჰქონდა ადგილი დიდ ოჯახში, სადაც რამდენიმე თაობის წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობა მკვეთრად დიფერენცირებული იყო სქესის, ასაკისა და უნარის მიხედვით. ამის გამო, საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ დიდი ოჯახის მართვისა და მასში არსებული შრომის ორგანიზაციის ხასიათს.

მთიულეთ-გუდამაყარში, ისევე როგორც ყველგან, სადაც კი

დიდი ოჯახი არსებობდა, ოჯახს მეთაურობდა უმთავრესად უფრო განვითარებული ხნიერი და გამოცდილი მეურნე. თავისი ფუნქციის მიხედვით მას ერქვა ოჯახის უფროსი, სახლის უფროსი, ჯალაბობის უფროსი ან უფროსი კაცი, ისევე როგორც ოჯახში სადედაკაცო საქმიანობის ხელმძღვანელს ეწოდებოდა უფროსი დედაკაცი.

ოჯახის უფროსს ევალებოდა საერთო ხელმძღვანელობა და საოჯახო მეურნეობის საფუძვლიანი ცოდნა, რის გამო, ოჯახის უფროსად ყოფნისათვის მარტო ხნით უფროსობა საკმარის პირობად არ ითვლებოდა. ამ მოვალეობის შესრულება რიგ შემთხვევაში უწევდა წლოვანებით სხვაზე უმცროს, ვაგრამ მასზე უფრო ენერგიულ, გამჭრიან და გამოცდილ მეურნეს. მაგალითად, სოფ. წიფორში ქათარაძეების ოჯახს მეთაურობდა არა უფროსი ძმა ანდრია, არამედ მასზე უმცროსი გიგოლი. მათი გარდაცვალების შემდეგაც ოთხი მოწილიან<sup>1</sup> ყველაზე ხნიერი იყო ანდრიას შვილი ივანე, მაგრამ ოჯახს სათავეში ჩაუდგა გიგოლის შვილი სვიმონი. სოფ. შონქოში ნარიმანიძეების ოჯახის ხელმძღვანელი იყო ოთხ ძმას შორის წლოვანებით უფროსი ადამა, მაგრამ როდესაც მან სიბერის გამო ოჯახის მართვა ვეღარ შესძლო, თავის ძმებთან მისი შეთანხმების საფუძველზე სახლის უფროსობა დაეკისრა არა მის რომელიმე ძმას, არამედ მისი უფროს შვილს ივანეს, რომელიც წლოვანებით თავის ბიძებზე ბევრად უმცროსი იყო. გუდამაყრის ხეობაში, სოფ. დიდებანში ბექაურების ოჯახს ხნით უფროსი ჭარელა კი არ მართავდა, არამედ მისი უმცროსი ძმა პავლე. სოფ. ზანდუკში წილაურების ოჯახის უფროსის პაპის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის უფროსი გახდა მისი შვილი თლოშია, მაშინ როდესაც პაპის ძმები მამუკა და ბუთულა ცოცხლები იყვნენ. ასევე წლოვანებით სხვებზე უმცროსი ეფხია, ხელმძღვანელობდა წილაურების ოჯახს სოფ. მაქართაში, რაც თავის დროზე ლიტერატურაშიც იყო აღნიშნული (ს. მაკალათია, ლ. პანეკი).

მრავალთაგან დამოწმებული რამდენიმე მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ წლოვანებით უფროსობა და ოჯახის უფროსობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ემთხვეოდა ერთიმეორეს, როდესაც პიროვნებას ოჯახის უნარიანად მართვა შეეძლო. ამავე პრინციპით ხდებოდა

1 მოწილე ერქვა იმ პირს, რომელიც ოჯახის გაყრის მომენტში სხვების თანაბარი წილის (ქონების) მიღების უფლებით სარგებლობდა. ამის შესახებ ქვემოთ.



დედაკაცისთვის უფროსობის მინდობაც. აღნიშნული ვიზუალური გამო, უფროსი დედაკაცი ყოველთვის ოჯახის უფროსის მეუღლე არ იყო. ასეთ ოჯახში უფროსი კაცი და დედაკაცი რძალ-მაზლნი იყვნენ, ხოლო ზოგიერთ ოჯახში უფროსი დედაკაცის მოვალეობას ასრულებდა ოჯახის უფროსის დედა ან ბიძის ცოლი.

უფროს დედაკაცს ვიდრე უნარი შესწევდა, სხვა რძლებთან ერთად ისიც შრომობდა. მის უმთავრეს მოვალეობას კი შეადგენდა ქალთა საქმიანობის ხელმძღვანელობა. მისი მითითების მიხედვით შრომაში გაწაფული რძლები მორიგეობით დიასახლისობდნენ, ხოლო უმცროსი რძლები შრომისუნარიან უფროს რძლებთან ერთად უვლიდნენ საქონელს, ამზადებდნენ პროდუქტებს, მუშაობდნენ მინდვრად, კაცებს ეხმარებოდნენ კალოობაში, დადიოდნენ წისქვილში, ტყეში აგროვებდნენ პანტას, შინდს, მაჟალოს, უვლიდნენ ქმრებსა და შვილებს, ამზადებდნენ ქსოვილებს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. ქალთა შორის ფუნქციების განაწილება უმთავრესად დამოკიდებული იყო მათ ასაქზე. სახლ-კარისა და ბოსლის დაგვა, რეცხვა, წყლის ზიდვა, წისქვილში საფქვავის წაღება და იქიდან ფქვილის მოტანა და სხვ. უმცროს რძლებს ეკისრებოდათ. ასეთ მძიმე შრომაში პატარძლის ჩაბმა ხდებოდა ქორწილიდან ერთი კვირის თავზე, იმის შემდეგ, როდესაც წყაროზე პატარძლის გაყვანის რიტუალს შეასრულებდნენ, რასაც, როგორც ამის შესახებ ს. მაკალათია წერს, „აწყლიან ა“ ეწყოდებოდა (გვ. 118). ქალის მდგომარეობას ამძიმებდა მთური მეურნეობის ხასიათი, სახელდობრ, დიდ სიმაღლეებზე ასვლა, ფერდობებზე მუშაობა და თივის, ძნის, შეშის თუ საფქვავის ზურგით ზიდვა, რაც ნაადრევად აჩანაგებდა მის ჯანმრთელობას.

უფროსი რძლების უმთავრეს მოვალეობას შეადგენდა საქონლის მოწველა, პროდუქტების დამზადება, შრომის უნარის შესაბამისად მინდვრად მუშაობდა და ქმარ-შვილის მოვლა. აღნიშნული გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ უფროსი და უმცროსი რძლები რიგ შემთხვევაში ერთობლივად შრომობდნენ, ვინაიდან საოჯახო მეურნეობაში ყველაფრის საუფროსოდ და საუმცროსოდ გაყოფა შეუძლებელი იყო. ეს განსაკუთრებით შეეხება სეზონურ სამუშაოებს (ხვნა-თესვა, მექა, თიბვა, ლეწვა...), როდესაც საქმის მოსწრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახის ეკონომიური კეთილდღეობისათვის, რაც თავის მხრივ პირობებდა ოჯახის ყველა მშრომელის

ერთსულოვან მონაწილეობას. უფროსი და უმცროსი რძლებია სამუშავებელი ერთობლივად შრომობდნენ მთის საძოვრებზე. ყოფნის ღრუსაც, სა-  
დაც ცხვარ-ძროხის წველა, კარაქის შედლვება და ცველის დამზადება  
იქვე ქოხში ხდებოდა. მთაში არ მიღიოდნენ მხოლოდ ხანდაზმული  
დედაკაცები და მორიგე დიასახლისები. პირველნი შრომის უნარის  
დაკარგვის, ხოლო მორიგე დიასახლისი მოუცლელობის გამო.

მთიულეთ-გუდამაყარში აჩსებული წესის მიხედვით, მორიგე  
დიასახლისი თავის მოვალეობას ასრულებდა ერთი წლის განმავლო-  
ბაში — ახალწლიდან ახალწლამდე, აღდგომიდან აღდგომამდე, ლო-  
მისობიდან ლომისობამდე და ა. შ. ეს დამოკიდებული იყო უფროსი  
დედაკაცის გადაწყვეტილებაზე, რომლის უნებართვოდაც დიასა-  
ხლის არ შეეძლო რაიმე სერიოზული საკითხის გადაჭრა. მრავალ-  
სულიან ოჯახში, რომელსაც ერთი დედაკაცი ვერ უძღვებოდა, წელი-  
წადში ორი დიასახლისი მორიგეობდა. დიასახლისის მოვალეობას შე-  
ადგენდა პურის ცხობა, საჭმელების დამზადება და სუფრის გაწყობა  
როგორც ყოველდღიურად ოჯახის წევრებისათვის, ისე სტუმრიანო-  
ბის დროს. უფროსი დედაკაცი მას ერთი წლით ჩააბარებდა მარანს,  
საიდანაც პროდუქტების ხარჯვა მის კომპეტენციაში შედიოდა, გა-  
რდა ხორცისა, რომლის შენახვაც და დაჭრაც ოჯახის უფროსი მამა-  
კაცის უფლებას შეადგენდა. მორიგე დიასახლის მთიულეთ-გუდა-  
მაყარში ჩვეულებისამებრ დიასახლი ეწოდებოდა, განსხვა-  
უებით ხევისაგან, სადაც დიასახლისი ერქვა ოჯახის უხუცეს დედა-  
კაცს, რომელიც ფაქტიურად ისეთივე უფლებების მქონე იყო, რო-  
გორისაც უფროსი დედაკაცი მთიულეთ-გუდამაყარში. ხევში დიასახ-  
ლისი დაუძლურებამდე ასრულებდა იმ მოვალეობასაც, რაც მთიუ-  
ლეთ-გუდამაყარში დიასახლის მხოლოდ თავისი მორიგეობის დროს  
უწევდა. სიბერის უამს კი მოხევე დიასახლისი საპატიო მოხუცი დე-  
დაკაცის მდგომარეობას იჭერდა, რომელიც სიკვდილამდე დიასა-  
ხლისად იწოდებოდა, ხოლო მისი ყოფილი საქმიანობის გაძლოლა  
მისივე მითითებით მომდევნო ასაქის რძლებს ევალებოდათ.

ამგვარად, ქალთა საქმიანობის ხელმძღვანელი და დიასახლისე-  
ბის მორიგეობის ორგანიზატორი მთიულეთ-გუდამაყარში იყო უფ-  
როსი დედაკაცი, რომელიც ოჯახის უფროსი მამაკაცის თანაშემწის  
როლში გვევლინებოდა. თავის მხრივ ოჯახის საერთო ხელმძღვანელი  
ჟულა სერიოზულ გადაწყვეტილებას ლებულობდა როგორც უფროს  
დედაკაცთან, ისე სრულწლოვან, უმთავრესად მოწილე მამაკაცებთან



მოლაპარაკება-შეთანხმების საფუძველზე, რაც იმის მაჩვენებელი რომ ოჯახის მმართველობა სოლიდარული ხასიათისა იყო. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ოჯახის უფროსად გამოყოფის პრინციპიც. ის გარემოება, რომ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა პიროვნების თვისებები, ხოლო ამის შემფასებელი უსათუოდ ის კოლექტივი იყო, რომელსაც პიროვნება ექცეოდა სათავეში, უნდა ვიფიქროთ, რომ ოჯახში რომელიმე წევრის გაუფროსებას საფუძვლად უნდა დასდებოდა არჩევა. ეს ორი მომენტი — ოჯახის უფროსის არჩევა და ყველასერიოზული საკითხის გადასაწყვეტად ოჯახის წევრებთან მისი კონტაქტი — დამახასიათებელი იყო დემოკრატიული ტიპის საოჯახო თემისათვის, რომლის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა მმართველობის სოლიდარული ხასიათი.

ოჯახის უფროსი არა მარტო ოჯახს ხელმძღვანელობდა და მამაკაცებს შორის ფუნქციებს ანაწილებდა, არამედ ის თვითონაც, ვიდრე ენერგია შესწევდა, მეურნეობის რომელიმე დარგს ემსახურებოდა. ისეთ სამუშაოებთან ერთად, რომელშიც ოჯახის უფროსიც და იჯახის სხვა წევრებიც ერთობლივად მონაწილეობდნენ (გადაუდებელი სეზონური სამუშაოები, ცხვრის პარსვა...), თითოეული მამაკაცი ერთ რომელიმე ძირითად მოვალეობასაც ასრულებდა: ერთი მათგანი რომ გუთნის დედა იყო, მეორე საქონელს უვლიდა, მესამე ცხვარს მწყემსავდა, მეორხე კალატოზობდა და ა. შ. ამის შესაბამისად მშრომელ მამაკაცებს ორ ძირითად კატეგორიად ყოფდნენ. იმას, ვინც მემინდვრეობას, მსხვილ-ფეხს მესაქონლეობას და სხვა საქმეს სოფლის ფარგლებში უძლებოდა, ერქვა შინა კაცი, ხოლო იმას, ვინც სოფლის გარეთ შრომობდა (მეცხვარე, ქირით ტვირთის მზიდველი...), ეწოდებოდა კარგარეთ მყოფი კაცი. თუ როგორ იყო განაწილებული ეს ფუნქციები, ამას შეიძლება გავეცნოთ რამდენიმე ოჯახის მაგალითით.

სოფ. შონქოში ნარიმანიძეების ოჯახის უფროსი ივანე შინაკაცი იყო, მისი ძმა თომა და ბიძაშვილი ალექსი ცხვარში დადიოდნენ, მეორე ბიძაშვილი იოსები სოფლის ნახირს მწყემსავდა, ხოლო მესამე ბიძაშვილი გიორგი შინაკაცის მოვალეობასაც ასრულებდა და საქართველოს სამხედრო გზაზე ურმით ბარგის ზიდვაში ქირასაც ღებულობდა.

სოფ. გოგნაურში კედელაშვილების ოჯახის უფროსი ივანე შინაკაცი იყო, ხოლო დანარჩენი ძმები გიგოლა, დათიკა და გუგუა



გიგოლას სარქლობით თავიანთ ათასსულიან ფარას უვლიდესი მარტინი რომ უცხო კაცს მწყემსად არ იყენებდნენ. როდესაც ივანემ ვეღარ შესძლო ოჯახის წარმოება, ის შეცვალა გიგოლამ, რომელიც ცხვარში სიარულის შეწყვეტამდე სარქლადაც იმყოფებოდა. იმის შემდეგ კი, რაც მან ცხვარში სიარულს თავი დაანება, და შინამეურნეობაში ჩაება, ძალაუნებურად შინაკაცად იქცა.

დავითურების ოჯახის უფროსი ანდრია სარქლის მოუალეობასაც თვითონ ასრულებდა, რომელსაც ყიზლარში მიჰყავდა ერთი მწყემსი ოჯახიდან და ორიც უცხო. ოჯახის სხვა წევრები შინაკაცებად ითვლებოდნენ.

სოფ. დიდებანში ბეჭაურების ოჯახს მეთაურობდა პავლე, რომელიც ცხვარში სარქლად დაბერებულა. მასთან ერთად ცხვარში დადიოდა მისი ბიძაშვილი ჭრელა. პავლეს ძმა ივანე შინაკაცი იყო, რომლის მოვალეობას შეადგენდა ხვნა-თესვა და შეშის დამზადება. ჭრელას ერთი ძმა — პატარა მიხა, როგორც შინაკაცი, საქონელს უვლიდა და მინდვრის სამუშაოებში მონაწილეობდა.

სოფ. ზემო მლეთაში ნაზღაიძეების ოჯახის მეთაური იაკობი გშინ მუშა და შინაკაცი იყო. მისი შეილებიდან სულ უფროსი სანდრო, რომელიც შემდეგ ოჯახის უფროსიც გახდა, სარქლობდა. მომდევნო ძმა ვასო შინაკაცი იყო, ხოლო დანარჩენები — მიხა, შიო და მოსე სანდროსთან ერთად ცხვარში დადიოდნენ, მწყემსს ისინი არ ქირაობდნენ.

საერთო ვითარების გასაცნობად დამოწმებული რამდენიმე მაგალითი გვიჩვენებს, რომ ოჯახში, მისი სამეურნეო-ეკონომიური პირობების შესაბამისად, იმყოფებოდა რამდენიმე შინაკაცი და რამდენიმე კარგარეთ მყოფი კაცი. თუ ოჯახის არსებობა ძირითადად შინამეურნეობაზე (ხვნა-თესვა, მსხვილფეხა მესაქონლეობა...) იყო დამკიდებული, მშრომელთა უმრავლესობა შინაკაცები იყვნენ. იმ ოჯახში კი, რომლის მთავარ საარსებო წყაროს მეცრივარეობა ან ამასთან ერთად ვაჭრობა, ტვირთზიდვა და ხელოსნობა შეადგენდა, კარგარეთ მყოფი კაცების რიცხვი მატულობდა, რაც უმთავრესად შესამჩნევი გახდა მეცხვარეობის აღმავლობის პირობებში.

მაშასადამე, ოჯახის მშრომელი მამაკაცების ამგვარი დაყოფა გაპირობებული იყო მათივე შრომის ხასიათით. ამის შესაბამისად, ერთი ოჯახის უფროსი შეიძლებოდა ყოფილიყო შინაკაცი, ხოლო მეორისა კარგარეთ მყოფი კაცი. ზემოხსენებული მაგალითებიც იმ-



ის მაჩვენებელია, რომ ზოგი მათგანი ძირითადად ხვნა-თესვას შეუტარებული გადა-მკაში იყო ჩაბმული, ზოგი სარქობლადა და ა. შ. უფრო ხშირად ოჯახის უფროსად შინაკაცი იმყოფებოდა და ეს სასურველადაც ითვლებოდა, ვინაიდან მუდმივად შინ ყოფნის გამო მას საშუალება ჰქონდა ყოველთვის საქმის კურსში ყოფილიყო და შესაბამისი გადაწყვეტილებაც დროულად მიეღო. იმ შემთხვევაში კი, როდესაც შინაკაცებიდან ღირსეული უფროსის გამოყოფა ვერ მოხერხდებოდა, ოჯახს სათავეში ჩაუდგებოდა რომელიმე კარგარეთ მყოფი კაცი.

1955 წელს ისტორიის ინსტიტუტის შრომების პირველ ტომში რესულ ენაზე გამოქვეყნებულ წერილში ი. ჭყონია ქართლში არსებული საოჯახო თემის ზოგიერთ საკითხს შეეხო და აღნიშნა, რომ მთიულეთსა და მის მეზობელ მთიან კუთხეებში, სადაც უმთავრესად მსუბუქ სახვნელში შებმული უღელი ხარით ხნავდნენ, მხვნელს უბრალოდ მეგონე ერქვა, განსხვავებით ქართლისაგან, სადაც დიდი გუთნით მხვნელს გუთნის დედა ეწოდებოდა. მთიულეთში, განაგრძობს იგი, მიუხედავად იმისა, რომ იქ მსხვილფეხა მესაქონლეობისა და განსაკუთრებით მეცხვარეობის ხვედრითი წონა მეტად მნიშვნელოვანი იყო, ოჯახს მეთაურობდა მიწათმოქმედი, რომელსაც ოჯახის მართვის სისტემაში „შინავაცი“ ეწოდებოდა. შინავაცის შემდეგ ოჯახში მთავარ პირად ითვლებოდა სარქალი, რომელიც მეცხვარეობას ხელმძღვანელობდა. სარქალი ყოფნა უწევდა შინავაცის უფროს შვილს ან მომდევნო ძმას, რომელიც შინავაცის ემორჩილებოდა. მისივე მტკიცებით, ტერმინ „შინავაცის“ განმსაზღვრელი ნაწილაკი „შინა“ მაჩვენებელია არა მარტო იმისა, რომ შინავაცი შინ (სახლში) იმყოფებოდა, არამედ იმასაც, რომ ის იყო „შინა“-ს (სახლის, ოჯახის) უფროსი. მთიულური ქორწინებისადმი მიძღვნილ ნაშრომშიც ი. ჭყონიას „შინავაცი“ გამოუყენებია ერთ შემთხვევაში „ქომის უფროსის“, ხოლო მეორე შემთხვევაში „სახლის უფროსის“ მნიშვნელობით (გვ. 40, 69).

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მთიულეთ-გუდიმა-  
ყარში თუ ხევში გუთნის მიმყოლს (მხვნელს) გუთნისდედა ერქვა,  
რომელიც ისევე როგორც ყველა სხვა შინამეურნე (მთიბელი, მკელი,  
საქონლის მომვლელი...), შინაკაცად იწოდებოდა. იქ კი, სადაც რამ-  
დენიმე შინაკაცი იყო, ყოვლად შეუძლებელია ტერმინი „შინაკაცი“  
—ოჯახის (შინას, სახლის) უფროსის აღმიშვნელი ყოფილიყო. ეს შე-  
საძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ პირობით, თუ დავუშვებდით ან



იმას, რომ ოჯახში მხოლოდ ერთი შინაკაცი იყო და ისიც მურავი უფროსი, ანდა იმას, რომ ყველა შინაკაცი უფროსიც იყო, ე. ი. ოჯახს რამდენიმე მეთაური ჰყავდა. არსებული სინამდვილე თრი-ვე ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს, „შინაკაცთან“ „ოჯახის უფროსის“ გაიგივების არგუმენტს ისიც აბათილებს, რომ ოჯახის უფ-როსად ყოველთვის რომელიმე შინაკაცი არ იმყოფებოდა. ამიტომ იმის მტკიცება, რომ მთიულეთში შინაკაცი მხოლოდ მხვნელს ურქ-ვა, ხოლო ტერმინი „შინაკაცი“ შინას (სახლის, ოჯახის) უფროსს აღ-ნიშნავდა, რეალურ საფუძველს მოკლებულია.

ოჯახის მართვა და შრომის ორგანიზაცია ემყარებოდა ოჯახის წევრთა შორის ფუნქციების განაწილების, ე. ი. საკუთარი მუშახე-ლის რაციონალურად გამოყენების პრინციპს. ოჯახში ბავშვებიც კი თვისი საქმე ჰქონდა მიჩენილი (სახნავ-სათიბის გარჩევა ქვისაგან, ხბოებისა და კოჭლი ცხვრების მწყემსვა...). დამოწმებული მაგალითე-ბიც გვიჩვენებენ, რომ დიდი ოჯახების უმრავლესობა საკუთარი წევრების შრომით ცხოვრობდა. ამავე მაგალითებიდან ისიც ჩანს, რომ ზოგიერთ დიდ ოჯახში გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა. ამ საშუალებას მიმართავდა შეძლებული მეცხვარე (სარქალი) გაფა-რთოებული მეურნეობისათვის საკუთარი მუშახელის (მწყემსების) უქმარობის შემთხვევაში. მის მიერ მწყემსის აყვანა სხვადასხვა პი-რობით ხდებოდა. თუ მწყემსს თავისი ასიოდე სულიც ეყოლებოდა, სარქალი მას აცმევდა, აჭმევდა და საბალახეს არ ახდევინებდა. მწყემსი თავისი ცხვრის გამოკვების ანგარიში სარქლის ცხვარსაც (150—200 სულ) უვლიდა. თუ მწყემსს თავისი ცხვარი არ ჰყავდა, სარქალთან ის ოთხი წლით მოდიოდა. გარიგების წელს, დოლის წინ სარქალი მწყემსის სახელზე ასერავდა 40—50 დედაცხვარს. ოთხი წლის ბოლოს მწყემსი უკვდავად მიიღებდა ამ ცხვარს მისი ნამატით. ოთხი წლის განმავლობაში ამ ცხვრის მატყული და ერბო-ყველაც მწყემსისა იყო. არავითარი ზარალი მწყემსს არ ეხებოდა. ის არც საბალახეს იხდიდა. მწყემსის კვება და ჩატანა-დახურვაც სარქალს ევალებოდა.

გარიგების პირველი ვარიანტით სარქალთან მიკედლებული მწყემ-სი ახერხებდა თავისი ცხვრის გამოკვებას, ხოლო შეთანხმების მეორე ეპონანტით ცხვრის გაჩენას, მაგრამ გარიგების ორივე ეს პირობა მა-რიც სარქლისათვის სასარგებლო იყო, რამდენადაც ის სხვისი შრო-მის ექსპლოატაციას ეწეოდა. შეძლებული მეცხვარის მიერ ღარიბი



მწყემსის შრომის ექსპლოატაცია თავისთავად ოჯახის კულტურულ  
ბუნების მაჩვენებელია, მაგრამ რამდენადაც მთიულეთ-გუდამაყარში  
„გამდიდრება“ მეცხვარეობის აღმავლობამ განაპირობა, ხოლო მეც-  
ხვარეობის აღმავლობა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო  
და მწყემსების დამქირავებელი თითო-ოროლა შეძლებული მეცხვა-  
რე ამავე ეპოქიდან გამოვიდა ცხოვრების საჩივილზე, ამდენად ზო-  
გიერთ ოჯახში კულაკური ელემენტების გაჩენაც აღნიშნულ პერი-  
ოდს უკავშირდება.

ასეთი ოჯახების რიცხვი მთიულეთ-გუდამაყარში არსებული  
დიდი ოჯახების უმცირესობას შეადგენდა. მის გვერდით მყოფი დი-  
დი ოჯახების უმრავლესობიდან ზოგი იყო შეძლებული, ზოგი საშუ-  
ალო და ზოგიც ღარიბი. მუშახელის სიმრავლე უსათუოდ ოჯახის  
ეკონომიური კეთილდღეობის წინაპირობა იყო, რის გამო დიდი ოჯა-  
ხები უფრო შეძლებულად გამოიყურებოდნენ ინდივიდუალურ ოჯა-  
ხებთან შედარებით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მთიულეთში,  
როგორც ქორწინებისადმი მიძღვნილ ნაშრომში ი. ჭყონიამ აღნიშნა,  
„ცხოვრებიანი“ ოჯახი — „დიდი კომი — დიდი ოჯახი კულაკობას გა-  
ნეკუთვნებოდა“ (გვ. 128—129). და თუ ეს ი. ჭყონიას სარწმუნოდ  
მიაჩნია და ოჯახის სიდიდის, სიმდიდრისა და კულაკობის გაიგივებას  
მართებულად თვლის, მაშინ ისიც უნდა დაემტკიცებინა, რომ ყველა  
შეძლებული ოჯახი სხვისი შრომის ექსპლოატაციას ეწეოდა. ეს კი  
არც ამ ნაშრომში, არც ზემოხსენებულ თეზისებში და არც 1964  
წელს დიდი ოჯახის ბუნების შესახებ რუსულ ენაზე გამოქვეყნებ-  
ულ ბროშურაში დამტკიცებული არა აქვს. რეალური სინამდვილე  
არც იძლევა ამის მტკიცების რაიმე იმედს. როგორც ზემოთ აღნი-  
შნეთ, ისეთი შეძლებული ოჯახების რიცხვი, რომლებიც დაქირავე-  
ბულ შრომას იყენებდნენ და ამდენად კულაკურ სახეს ღებულობდ-  
ნენ, მთიულეთ-გუდამაყარში, ისევე როგორც მის მეზობელ კუთხეე-  
ბში, დიდი ოჯახების საერთო რაოდენობის უმცირესობას შეადგენდა.  
არსებული ვითარება ი. ჭყონიას თვალსაზრისს რაი არ ეღიარდება,  
მან მიჩქმალა კულაკობის ძირითადი ნიშანი (სხვისი შრომის ექსპლო-  
ატაცია) და კულაკური ოჯახის მთავარ კომპონენტად სიმდიდრე  
გამოაცხადა. ასეთი ცალმხრივი მსჯელობის შედეგად კულაკური ოჯა-  
ხის ბუნებაზე მცდარი წარმოდგენა იქმნება და ისახება ყოვლად მი-  
უღებელი შესაძლებლობა იმისა, რომ ყველა შეძლებულ ოჯახს, მათ  
შორის ეკონომიურად ძლიერ საბჭოთა ოჯახებსაც, კულაკური ვუწო-

დოთ. მაშასადამე, ყველა შეძლებული ოჯახის კულაკურად აღწარება /  
და სიდიდე-სიმდიდრეს შორის იგივეობის ნიშნის დასმა მიუტურნებული  
ლი შეცდომაა.

სქესსა და ასაკს სათანადო მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მარტო  
ოჯახის მართვისა და შრომის ორგანიზაციის სფეროში, არამედ ოჯა-  
ხის წევრთა ყოველდღიურ ურთიერთობაში, სტუმრიანობის მომე-  
ნტში, ჭამის, ჯდომისა და საოჯახო რიტუალის შესრულების დროს.  
ყველა ზემოხსენებულ ვითარებაში მთიულეთ-გულამაყარში, ისევე  
როგორც მის მეზობელ კუთხეებში, უმთავრეს პირობას წარმოად-  
გენდა უფროსებისადმი უმცროსების პატივისცემა. მოხუცის შემო-  
სვლისთანავე ფეხზე წამოდგომა, მისი თხოვნის დაუყოვნებლივ შეს-  
რულება და მორიდება ახალგაზრდების ვალი იყო. ეს განსაკუთრე-  
ბით შეიმჩნეოდა სტუმრიანობის დროს, როდესაც სტუმრისათვის  
ცხენის ჩამორთმევა, მოვლა-დაბინაცება და ყველა საუმცროსო საქ-  
მის შესრულება, რის შესახებაც კი მოხუცები მიუთითებდნენ, ასე-  
ვე მათ ევალებოდათ.

უფროსების მიმართ განსაკუთრებით დიდ მორიდებას და სიფ-  
რთხილეს იჩენდნენ რძლები. უფროს მაზლებთან, მამამთილებთან  
და მისი ხნის კაცებთან ისინი ლაპარაკს ერიდებოდნენ სულ ცოტა  
ათ წლამდე მაინც, რის შემდეგ ეს წესი ზოგჯერ ირლვეოდა მამაკა-  
ცების თხოვნითა და ინიციატივით. უფროსებთან ლაპარაკის უფლე-  
ბის მოპოვების შემდეგაც გარკვეული შეზღუდვები ძალაში ჩაებო-  
და, რაც პირველ რიგში უფროსის სახელის უთქმელობას გულისხ-  
მობდა. რძალს შეეძლო სხვებთან საუბრის დროს უფროსი კაცი მო-  
ეხსენებინა მაზლად, მამამთილად ან ვილაცის მამად შემდეგი ფორ-  
მით: „ჩემი მამამთილი“, „ჩემი მაზლი“, „მიხას პაპა“, „თედოს ბიძა“,  
„პავლეს მამა“, „ჩევენი უფროსი“ და ა. შ. ასეთივე ხერხს მიმართა-  
ვდა ის დედამთილისა და მისი თაობის დედაკაცების ხსენებისას. უშუალო მიმართვის დროსაც ეტყოდა: „დედამთილო! „ივანეს დე-  
დავ! და სხვ.

აღნიშნული წესი დაცული იყო ცოლ-ქმარს შორისაც. როგორც  
წესი, ახლად შეუღლებულნი რამდენიმე დღის განმავლობაში სხვებ-  
თან ერთიმეორეს არ დაელაპარაკებოდნენ, ხოლო შემდეგში სახე-  
ლის ნაცვლად მიღებული იყო „ეი“-ს, „არ გესმის“? და სხვ. დაძახე-  
ბა. ბავშვებსაც მამა სახელით არ მოიხსენიებდა: ბიჭს ის ეძახდა  
ბალღს, ხოლო ქალიშვილს ქალს. დედა კი როგორც ბიჭებს, ისე ქა-

ლებს სახელებით იხმობდა. თავის მხრივ ბავშვები სხვადასწვა თან  
ბის უფროსებს მოიხსენიებდნენ ერთ შემთხვევაში პირდაპირ უფრო  
მეორე შემთხვევაში არაპირდაპირი მნიშვნელობით. პირველში იგუ-  
ლისხმება მიმართვის ის ფორმა, როდესაც მამა, დედა, პაპა,  
ბებია და ბიძა ნამდვილად ამ პირთა აღსანიშნავად გამოიყენე-  
ბოდა. მეორე შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, რო-  
დესაც შვილი თავის დედ-მამას სახელს ეძახდა, ხოლო პაპას და ბე-  
ბიას — მამას და დედას. უფრო ხშირად კი პაპას და მამას მიმართვი-  
სას რეალურ შინაარსს უნარჩუნებდნენ, ბებიას ეძახდნენ დედას.  
ხოლო ნამდვილ დედას სახელით მოიხსენიებდნენ. ისედაც არაიშ-  
ვიათად ხდებოდა, როდესაც შვილი საკუთარ მამას ეძახდა ბიძას, ხო-  
ლო ბიძას — მამას. ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში არაპირდა-  
პირი მნიშვნელობით გამოიყენებული ცნებები — მამა, დედა და ბიძა  
ფაქტიურად ხნით უფროსობის გამომხატველი იყო, რის გამო მიმარ-  
თვის ამ წესში, რომლის შეცვლაზე მთიულ-გუდამაყრელები არც  
ფიქრობდნენ, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა ბიძა-  
ლოგიურ ფაქტორს, არამედ უფროს-უმცროსობას. ურთიერთობის  
აღმნიშვნელ ამ ცნებებს ასეთი შინაარსი უნდა შეეძინა ლევირატის  
არსებობის საფეხურზე, როდესაც დასაშვებად ითვლებოდა გაზღიუ-  
ს მიერ ქვრივი რძლის ცოლად შერთვა. ასეთი შეუღლების შემდევ  
ქვრივი ქალის შვილებისათვის ქვრივის მეორე ქმარი იყო მამინაცვა-  
ლიც და ბიძაც, ხოლო ღვიძლი დედა იმავდროულად ხდებოდა პი-  
ძის ცოლიც. მეორე ქმართან ნაყოლი შვილები კი მისი პირველი  
შვილებისა იყვნენ როგორც ძმები (დედით), ასევე ბიძაშვილები ანუ  
ძმათშვილები. მაშასადამე, მიმართვის ზემოაღნიშნული ფორმები  
შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ საოჯახო თემის ფარგლებ-  
ში ლევირატის არსებობის საფეხურზე. ამიტომ ეს წესი ბოლო  
დრომდე თავს ინახავდა მხოლოდ დიდ ოჯახში, რომელიც აერთია-  
ნებდა რამდენიმე თაობის რამდენიმე საქორწინო წყვილს მშობლე-  
ბის, ბიძების, ბიძის ცოლებისა და ბიძაშვილების სახით. ამგვარი  
მნიშვნელობით ამ ტერმინების წარმოშობა-გამოიყენების რეალური  
საფუძველი ინდივიდუალურ ოჯახში არ არსებობდა.

უსათუოდ საოჯახო თემში უნდა შემუშავებულიყო კერის  
ირგვლივ ოჯახის წევრთა ჯდომის წესიც, რაც ამ ტიპის ოჯახის არსე-  
ბობის ბოლო პერიოდამდე მთიულეთ-გუდამაყრშიც ცოცხლობდა.  
ამ წესის მიხედვით, კერის თავში იდგა ორნამენტებით დამშვენებუ-



ლი ზურგიანი სავარძელი, რომელზედაც პირით აღმოსავლეთისაკენ ჯდებოდა ოჯახის უფროსი, თუ ის ხნითაც ყველაზე უფრთხოებულია და შემთხვევაშიც, როდესაც სიბერით მოტეხილ მეთაურს შედარებით ენერგიული მეურნე შესცვლიდა, ყოფილი მეთაური, როგორც ოჯახის სულიერი მოძღვარი, იმავე სკამზე ჯდებოდა. საუფროსო სკამის მარჯვნივ იდგა გრძელი სკამი, რომელზედაც მამაკაცები უფროსუმტროსობით სხდებოდნენ, ხოლო მის პირდაპირ კერასთან დაბალ სამფეხა სკამებზე, სიპებსა და მასზე დაგებულ ქუნთებზე (ბალაშებზე) ადგილებს იკავებდნენ დედაკაცები და ბავშვები.

კერის ირგვლივ ასეთი განლაგება ხდებოდა ზამთარში, როდესაც ოჯახის წევრები ცეცხლთან სხდებოდნენ. სხვა ღროს კი კერასთან უმთავრესად პურის მცხობელი და საღილის დამამზადებელი დედაკაცები ტრიალებდნენ. იქვე მამაკაცები შედარებით მაღალფეხებიან, ხოლო დედაკაცები და ბავშვები უფრო დაბალფეხებიან ხონჩაზე (მაგიდა) საჭმელს ცალ-ცალკე შეექცეოდნენ. მაგიდების უკმარობის შემთხვევაში კი დედაკაცებსა და ბავშვებს ჭამა უწევდათ მამაკაცების შემდეგ.

ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის შესახებ, რომ მთიულ-გუდამაყრელის ოჯახშიც კერა წარმოადგენდა თითქმის ყველა საოჯახო რიტუალის შესასრულებლად განკუთვნილ წმინდა ადგილს, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ კერის გარდა სახლში არსებობდა კიდევ ერთი წმინდა კუთხე ანუ საბერო, რომელიც ოჯახის მთავარ სალოცავად ითვლებოდა. საბერო წარმოადგენდა სახლის რომელიმე სართულზე აღმოსავლეთ კედელში დატანებულ თახჩას იქ დაწყობილი ხატ-სანთლებით. საბერო ზოგჯერ მოთავსებული იყო მარანში (პროდუქტების შესანახ ოთახში), სადაც ინახებოდა აგრეთვე ე.წ. ვარითავადი (დღეობაზე გამოსაცხობი ქადისათვის განკუთვნილი ერბო ან ხოკერიდან ამოღებული თაფლის პირველი ნაკერი, რაც ასევე რომელიმე ხატისათვის იყო გადადებული). ოჯახი ჭვარითავადს ინახავდა იმ ხატის სახელზე, რომელიც ყველაზე საიმედო მფარველად მიაჩნდა ან რომელსაც ქადის გაჭრას აღუთქვამდა. ამის შესაბამისად არსებობდა ლომისის ჭვარითავადი, ცეცხლიჭვრის ჭვარითავადი, ფუძის ანგელოზის ჭვარითავადი და ა.შ. რომელიმე ამ ჭვარითავადით დამზადებულ ქადას სჭრიდა ოჯახის უფროსი დედაკაცი, ხოლო სათანალო ლოცვას წარმოსთქვამდა უხუცესი მამაკაცი. ხალხური ახსნის მიხედვით

ამ სარიტუალო კუთხესაც საბერო ეწოდებოდა სწორედ შეგვებულის უშუალო მონაწილეობის გამო. მთხოვნებისავე განმატებებით, იქ მისვლა დედათა სქესის წარმომადგენელთაგან შეეძლოდა და სანდაზმულებსა და ბავშვებს, ვინაიდან სწამდათ, რომ ახალგაზრდა ქალის მიყარება საბეროს სიწმინდეს შელახავდა და იქ მყოფი სახლის ანგელოზის წყრომას დაიმსახურებდა.

გარდა დღეობებისა, სახლის უხუცესი საბეროში ყოველ შაბათს სანთლებს ანთებდა და ლოცულობდა, ხოლო შორისახლო მდგომი ოჯახის წევრები პირჯვარს იწერდნენ. ოჯახის გაყრის შემდეგ კი მამაპაპური სახლის საბერო განაყრებისთვის საერთო იყო, სადაც მათი შეყრა და რიტუალის ერთად შესრულება ხდებოდა განაყრებს შორის უხუცესის დეკანოზობით. ეს კარგად ჩანს, მაგალითად, სოფ. ჯალმიანში, სადაც შემორჩენილი ტერასული სახლის ნანგრევის მეოთხე სართულზე — ე. წ. ხატის კალოზე მოწყობილ საბეროში ჯალმაიძეების დიდი ოჯახის დღესასწაულები ოჯახის დაყოფის შემდეგაც განაყრების ერთობლივი მონაწილეობით სრულდებოდა. აღნიშნული ვითარება იმის მანიშნებელია, რომ საოჯახო თემის დაყოფის შედეგად იქმნებოდა პატრონიმია, ხოლო საოჯახო დღეობიდან პატრონიმიული დღეობა.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მთიულეთ-გუდამაყარში გადმონაშთის სახით შემონახული საოჯახო თემის მართვის სისტემაში მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის სქესს, ასაკს და უნარს. ამის შესაბამისად საქმე დანაწილებული იყო ერთი მხრივ საკაცებოდ და საქალებოდ, ხოლო, მეორე მხრივ, საუფროსოდ და საუმცროსოდ. შრომის ასეთ ორგანიზაციაში პიროვნების მოვალეობის განმსაზღვრელი იყო მისი სამეურნეო მომზადება, რის მიხედვითაც მამაკაცთა ერთი ნაწილი იწოდებოდა შინაკაცებად, ხოლო მეორე კარგარეთ მყოფ კაცებად. ამის შესაბამისად ერთი ოჯახის უფროსი შეიძლებოდა ყოფილიყო შინაკაცი, ხოლო მეორისა კარგარეთ მყოფი კაცი. ამიტომ სახლის უფროსისადმი შინაკაცის წოდება მათი სინონიმური მნიშვნელობით ისევე გაუმართლებელია, როგორც არ შეიძლება იგივეობის ნიშანი დავსვათ ოჯახის სიდიდეს, სიმდიდრესა და კულაკობას შორის. ამგვარი „სინონიმების“ ძიებას საკითხის კვლევაში მხოლოდ დისონანსი შეაქვს.

როგორც ზემოთ გაირკვა, დიდი ოჯახების ერთი ნაწილი სამ თაობამდე, ხოლო ნაწილიც ოთხ თაობამდე ინარჩუნებდა ერთობას. უმთავრეს შემთხვევაში ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა ემთხვეოდა პირველი თაობის წარმომადგენელთა სიცოცხლის ხანგრძლივობას, რამდენადაც მათ გარდაცვალებამდე ოჯახის დაყოფა მიუღებელი იყო, მაგრამ არაერთი ოჯახი გაუყოფლად ცხოვრებას განაგრძნობდა პირველი თაობის გაღასვლის შემდეგაც. ამიტომ, თუ მკითხველი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში შეხვდება ცნობას ხუთ ან მეტ თაობამდე ოჯახის გაუყრელობის შესახებ, იგულისხმება ვითარება, როდესაც ძველი თაობების გარდაცვალების შემდეგ მომდევნო თაობები ერთობის ტრადიციას ინარჩუნებდნენ და კვლავინდებურად ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას განაგრძობდნენ.

დიდი ოჯახის დაყოფა მთიულეთ-გუდამაყარში, ისევე როგორც მის მეზობელ ხევში, ქსნის ხეობაში და საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებში, სადაც კი ამ ტიპის ოჯახი არსებობდა. მიზანშეწონილად ითვლებოდა იმის შემდეგ, როდესაც ოჯახში ერთად მყოფი ნათესაობის სახით შეიქმნებოდა ძმათაშვილებისა და რამდენიმე საფეხურით დაშორებული ბიძაშვილების წრე და მომზადდებოდა რეალური ნიადაგი მამიშვილობის (პატრონიმიის) ჩამოყალიბებისათვის. ამის შესაბამისად დიდი ოჯახი გვესახება ისეთ სოციალურ უჯრედად, რომლის შემადგენლობაში იგულისხმებოდა იმდენი თაობა, რამდენის ერთდროულად სიცოცხლეც შესაძლებელი იყო. ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობის ზედა საზღვრად კი ნაგულისხმევია მეოთხე ან უკიდურეს შემთხვევაში მეხუთე თაობა. ამიტომ დიდი ოჯახი მთიულეთ-გუდამაყარშიც წარმოადგენდა უახლოესი ნათესავების გაერთიანებას, ხოლო ამ გაერთიანებაში თავსდებოდა სულ მცირე სამი და სულ დიდი ხუთი თაობა. ამის შემდეგ იქმნებოდა გარეშე ბიძაშვილების ერთობა ანუ ერთი ოჯახიდან გამოყოფილი ოჯახების ერთობლიობა, გამოხატული იმ ურთიერთობაში, რომელიც დამახასიათებელი იყო მამიშვილობისათვის. ამდენად, სამი, ოთხი თუ ხუთი თაობის მომცველი დიდი ოჯახის დაყოფა ახალ ოჯახებად და მათ მიერ სისხლიერი, სუ-



ლიერი და ნაწილობრივად ეკონომიური ერთობის შემდგენილებები, ნარჩუნება მამიშვილობის სახით მთიულეთ-გუდამაყრისოფისაც, ისევე როგორც კავკასიის სხვა კუთხეებისათვის, კანონზომიერ მოვლენად გვესახება. მაშასადამე, ხალხი დიდ ოჯახს პატრონიმიისაგან მიჯნავდა პირველ რიგში ნათესაობის მასშტაბით, ე. ი. თაობათა რაოდენობით, ხოლო ვინაიდან ოჯახის ნათესაური წრე ასე იყო განსაზღვრული, ამ წრის გაფართოების უკანასკნელ საფეხურზე ოჯახის დაყოფაც გარდუვალი იყო.

ჩვეულებისამებრ დიდი ოჯახი იყოფოდა რამდენიმე ინდივიდუალურ ოჯახად. მაგრამ ზოგჯერ აღგილი ჰქონია ისეთ შემთხვევას, როდესაც დიდი ოჯახი გაიყოფოდა ორ ახალ დიდ ოჯახად ან ერთ დიდ და რამდენიმე ინდივიდუალურ ოჯახად. ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში საერთო ქონებას ყოფდნენ „საისწოროდ“, ე. ი. იმდენ თანაბარ ნაწილად, რამდენი მოწილეც გაყრის მომენტში იმყოფებოდა. მოწილე კი ერქვა იმ პირს, რომელიც დიდი ოჯახიდან გამოყოფილ ინდივიდუალურ ოჯახს სათავეში უნდა ჩასდგომოდა. ეს ფუნქცია უმთავრესად ეკისრებოდათ გარდაცვლილი მოხუცების (პირველი თაობის წარმომადგენელთა) შვილებს, რომელთაგან ზოგი ერთიმეორისა იყო ძმა და ზოგიც ბიძაშვილი.

თუ დიდი ოჯახი ორ ახალ დიდ ოჯახად გაიყოფოდა, თითოეულ მათგანში რამდენიმე მოწილე ხდებოდა. დიდი ოჯახიდან ერთი ახალი დიდი ოჯახისა და რამდენიმე ინდივიდუალური ოჯახის გაძოყოფის შემთხვევაშიც პირველში რამდენიმე მოწილე აღმოჩნდებოდა, ხოლო ინდივიდუალურ ოჯახებში თითო, მაგრამ დიდი ოჯახის მხოლოდ ინდივიდუალურ ოჯახებად დაყოფისას კი ყოველ მათგანში მოხვდებოდა თითო მოწილე.

ოჯახის დაყოფა და ქონების განაწილება ხდებოდა უმთავრესად ოჯახში მყოფი მოწილეების საფუძველზე. შუაკაცებს მიმართავდნენ მხოლოდ მოწილეებს შორის უთანხმოების შემთხვევაში.

ქონების ამ პრინციპით გაყოფისას მხედველობაში არ მიიღებოდა მოწილის არც ასაკი, არც ამაგი და არც ცოლ-შვილის რიცხობრივი შემადგენლობა. ხანდაზმულ, გამრჯე და მრავალშვილიან მოწილეს იმდენი ერგებოდა, რამდენიც არასრულწლოვან, უგერგილო და უცოლშვილო მოწილეს. ეს პრინციპი ედო საფუძვლად როგორც სახლ-კარისა და მიწის, ისე დგამ-ჭურჭლისა და საქონ-



ლის გაყოფას. ერთადერთი, რაც სულების მიხედვით ნაწილები და, იყო ოჯახის გაყრის მომენტში არსებული პურეული და პრო-დუქტები, ე. ი. დაახლოებით ერთი წლის სარჩო.

ქონების თანაბრად გაყოფის აუცილებელ წინაპირობას წარ-მოადგენდა უძრავ-მოძრავი დოკლათის თანაშეფარდება. ერთ მო-წილეს რომ სახლის უკეთესი ნაწილი შეხვედროდა, მეორეს მდა-რე ნაწილთან ერთად ერგებოდა ზედმეტი მამული ან საქონელი, ისევე როგორც მცირე ზომის ხარისხიან მიწის ნაკვეთთან გათანა-ბრებული იყო დიდი ზომის უხარისხო ნაკვეთი, ხარს სცვლიდა ორი ძროხა, ან რამდენიმე სული ცხვარი და ა. შ.

საოჯახო დოკლათის ერთ ნაწილს, რომლის გაყოფა ვერ მო-ხერხდებოდა, განაყრები საზიაროდ იტოვებდნენ. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებიდან უმთავრესად გაუყოფელი რჩებო-და წისქვილი, კალო, საზაფხულო საძოვრებზე მოწყობილი ქოხი, ბაჟი და ფარეხი, ხოლო ინვენტარიდან უმეტესად სალუდე და სა-არაყე ქვაბები. განაყრებს შორის საერთო სარგებლობაში რჩებო-და აგრეთვე გაუყოფლად დარჩენილი მიწის ნაკვეთი, რომელსაც განაყრები მორიგეობით ამუშავებდნენ. ამის მაჩვენებელია თვით მისი სახელწოდება — სარიგაო მამული. იმის შემდეგ, რაც გა-ნაყრების ურთიერთობა მამიშვილობის (პატრონიმიის) შექმნით აღი-ნიშნებოდა, განაყრებს შორის საზიაროდ დატოვებული ნაგებობა-ნი, ინვენტარი და სარიგაო მამული პატრონიმიის საკუთრება ხდე-ბოდა. ამასთან ერთად, მთიულეთ-გუდამაყარში სარიგაო მამული ხა-ტის სახელზედაც არსებობდა და მოგვარებს თუ მეთემეებს შორის კულუხის გადახდის პირობით მოიხმარებოდა. „ის ოჯახი, რომელიც ყანას ამუშავებდა, ვალდებული იყო იმ წელიწადს მოე-ტანა კულუხი 20 თუნგი ღვინის რაოდენობით და ერთი საკლა-ვიც მოეყვანა“. აღნიშნული მოვლენა, რიგ სხვა მონაცემებთან ერთად, „უცილობლად მიუთითებს ვალდებულებათა ფეოდალურ ხასიათზე და იმ გზებზე, საიდანაც უნდა შესულიყო ეს ინსტიტუ-ტები საქართველოს მთამაღალში“<sup>1</sup>.

ქონების განაწილების ზემოაღნიშნული პრინციპი რაჟი მოწი-ლეებს შორის უთანასწორობას გამორიცხავდა, რომელიმე მათ-

<sup>1</sup> რ. ხარაძე, ალ. რობაჭიძე, მთიულეთის სოფელი ძველი, 51.

განს უპირატესობის დაჩემება და ზედმეტის მოთხოვნა არ შეეძლო, მაგრამ უმთავრესად თვით მოწილეების თანხმობის უფლებულობა ველზე, უფროს მოწილეს კუთვნილ წილს გარდა შესაძლებლობის მიხედვით აძლევდნენ ან ერთ ხარს ან ცხენს, ან სალუდე თუ საარა-ყე ქვაბს, ანდა დაახლოებით ერთ დღიურ სახნავ ნაკვეთს. უფრო-სისთვის გამოყოფილ ამ სახის ქონებას მთიულეთ-გუდამაყარში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საუფრო-სო არ გამოუყვიათ. ამის მიზეზი ყოფილა ან უფროსის დაუმსახუ-რებლობა, ან ქონების განაწილების დროს მოწილეებს შორის შეხ-ლა-შემოხლა, მაგრამ ვინაიდან ოჯახის უფროსად ირჩევდნენ უნა-რიან კაცს და უფროსების უმრავლესობას ოჯახში დიდი ამაგი ჰქონდათ გაწეული, საუფროსოს მიუცემლობაც, როგორც უფრო-სის დაუფასებლობის გამომხატველი აქტი, მიუღებელი ყოფილა. ასეთივე თვალსაზრისით აფასებდნენ დიდი ამაგის მქონე მწყემსი: დამსახურებასაც, რომელსაც კუთვნილ წილთან ერთად აძლევდ-ნენ რამდენიმე სულ ცხვარს, რასაც საჭოხე ან ჯოხისა ეწო-დებოდა.

როგორც ვხედავთ, საუფროსოს და საჯოხეს გამოყოფას აპი-რობებდა პიროვნების დამსახურება. ამ მოტივით ზოგჯერ ქონების გარკვეულ ნაწილს აძლევდნენ იმასაც, ვინც მოწილედ არ ითვლებოდა, მაგრამ დოვლათის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას ღებუ-ლობდნენ. ასე მოქცეულან, მაგალითად, წიკლაურები სოფ. მაქარ-თაში. მათ ოთხ მოწილეზე ოთხ თანაბარ ნაწილად გაუყვიათ სახლ-კარი, მამული და უნჯი, ხოლო ათ ნაწილად პირუტყვი. პირუტყვი უწილადებით იმათვისაც, რომლებიც მოწილეებად არ ითვლებოდნენ, მაგრამ მოწილეებთან ერთად დიდ შრომას ეწეოდნენ.

1 საუფროსოდ გამოყოფილ მიწის ნაკვეთს საუფროსო კანარები, რაც შემდეგ ტოპონიმიკურ სახელად მქაილრდებოდა სოფლის ადგილთა სახელ-წოდებების ნომენკლატურაში. მთერობლებმა კარგად იციან, რომ ჯაღმიანში, ზემო მლეთაში, ჭიკაანში და რიგ სხვა სოფლებში არსებული ყველა ის ნაკვეთი, რომელსაც საუფროსო ეწოდება, შარმთადგენდა დიდი ოჯახის გაყრის დროს უფროსი მოწილისათვის საუფროსოდ გამოყოფილ ნაკვეთს. ანალოგიური ვითა-რება დავადასტურეთ ხევშიც (იხ. ვ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თბი-ლისი, 1971).



ასეთი შემთხვევები დამახასიათებელია მოგვიანო პერიოდში, იმ დიდი ოჯახებისათვის, რომლებიც საოჯახო თემის ტრადიციებს ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ, მაგრამ ამავე დროს გზას უკაფავდნენ კერძო საკუთრებას. წიკლაურების დიდ ოჯახშიც, ისევე როგორც მის მსგავს ზოგიერთ სხვა ოჯახში, ერთ შემთხვევაში შენარჩუნებულია ქონების წილზე გაყოფის ძველი წესი, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს პრინციპი დარღვეულია. ოთხ მოწილეზე სახლ-კარის, მამულისა და უნჯის განაწილება ტრადიციის შენარჩუნების მაჩვენებელია, ხოლო პირუტყვის ათად განაწილება ისეთ ვითარებაზე მიგვითითებს, როდესაც ქონების „საისწოროდ“ გაყოფის ძველი პრინციპი საფუძვლიანად შეირყა, კერძომესაკუთრული ტენდენცია გაიზარდა და ქონებაზე მეობის პრეტენზია უველას გაუჩნდა, ვისაც მის შექმნაში სათანადო წვლილი ჰქონდა შეტანილი.

ვინაიდან არამოწილე მშრომელისათვის ნამაშვრალის მიცემის საფუძვლად მიჩნეული იყო მისი შრომითი წვლილი და საუფროსოს გამოყოფაც მოტივირებული იყო მისი დამსახურებით, საუფროსოც გაჩენილი უნდა იყოს საოჯახო თემის განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც მის შიგნით ფეხს იყიდებდა შრომითი კოოპერაციის ნორმები, ხოლო ეს უკანასკნელი საერთო-საოჯახო საკუთრების სფეროში კერძომესაკუთრულ ელემენტებს ნერგავდა. მთიულეთ-გულამაყარში ეს პროცესი განსაკუთრებით ვითარდებოდა მეცენარეობის სისაქონლო მნიშვნელობის ზრდასა, გარესამუშაოებზე გასვლასა და ვაჭრობაში ჩაბმასთან დაკავშირებით. საუფროსოს გამოყოფის აღნიშნული წესი არსებითად განსხვავდებოდა მაიორატისაგან, რომელიც ქონებაზე უფროსის მემკვიდრეობით უფლებას გულისხმობდა. ოჯახის უფროსი მთიულეთ-გულამაყარში იყო რიგითი მოწილე, რომელიც ვერც რომელიმე მოწილეს წილს წაართმევდა და ვერც კუთვნილ წილზე მეტს მიითვისებდა. მისი ასეთი მდგომარეობა ერთხელ კიდევ მიგვითითებს მთიულურ-გულამაყრული დიდი ოჯახის სოლიდარულ ბუნებაზე.

ოჯახის უფროსისათვის საუფროსოს მიუჟონება თუ მისი დამსახურების მოტივით ხდებოდა, სამაგიეროდ ერთობის შემდგომი გახანგრძლივების ტრადიციით იყო ნაკარნახევი მისთვის მამაპაპური სახლის ან მისი ძირითადი ნაწილის დატოვება. სახლის იმ ნაწილს, სადაც კერა და საბერო იყო მოწყობილი, სადაც დედაბოძი,



საუფროსო სკამი და ვარცლი იდგა, წილის ყრის გარეშე უფრო ფრთხოება  
დნენ ოჯახის უფროსსა და მის მეუღლეს, რომელიც უმთავრესად  
უფროსი დედაკაცის როლს ასრულებდა. თუ უფროსი დედაკაცი იყო  
ოჯახის უფროსის რძალი, ვარცლს, როგორც უფროსი ქალის მაღალი  
უფლების სიმბოლოს, მას აძლევდნენ. ოჯახის გაყრის შემდეგ განა-  
ყრები კვლავ ძველ სახლში იკრიბებოდნენ და აქ დარჩენილი უფ-  
როსის ხელმძღვანელობით ასრულებდნენ სათანადო დღეობებსა  
და რიტუალს. მაშასადამე, ოჯახის ყოფილი უფროსი ხდებოდა გა-  
ნაყრების პატრონიმიული გაერთიანების (მამიშვილობის) უფროსი,  
მამაპაპური სახლი თავისი კერა-საბეროთი იქცეოდა საკულტო ცენ-  
ტრად, ხოლო საოჯახოს ნაცვლად იქმნებოდა პატრონიმიული დღე-  
ობა.

მოწილეებს შორის ქონების განაშილების დროს მხედველო-  
ბაში ღებულობდნენ მოწილის პირად მდგომარეობასაც. როგორც  
წესი, ყველა ცოლშვილიან მოწილეს საქორწილო ხარჯი გადებული  
ჰქონდა გაუყოფელი ოჯახის საერთო ქონებიდან. ამიტომ  
ოჯახის გაყოფის მომენტში თუ რომელიმე მოწილე უცოლო იყო,  
მას კუთვნილ წილს გარდა უსათუოდ აძლევლნენ დამატებით ქო-  
ნებას საქორწილო ხარჯებისათვის, რათა მისი წილი სხვებისას გა-  
თანაბრებოდა. ქონების ამ ნაწილს ეწოდებოდა საქორწილო  
ანუ საუმცროსო. საქორწილოს მიუცემლობის შემთხვევაში  
უცოლო მოწილეს მისი მოთხოვნის უფლება ჰქონდა, მაშინ, რო-  
დესაც, როგორც ზემოთ ითქვა, საუფროსოს მოთხოვნა უფროს მო-  
წილეს არ შეეძლო. ეს ფაქტიც იმის სასარგებლოდ მეტყველებს,  
რომ საუმცროსოს გამოყოფის წესი ექვემდებარებოდა მოწილეთა  
შორის ქონებრივი თანასწორუფლებიანობის პრინციპს, ისევე რო-  
გორც ამავე პრინციპისადმი დაქვემდებარებულ უფროსს არ შეე-  
ლო ზედმეტის მიღების პრეტენზია ჰქონდა.

როგორც ვხედავთ, ოჯახის გაყრისა და ქონების განაშილების  
ზემოთ აღწერილ ჩვეულებაში ასახულია საოჯახო თემის განვითა-  
რების სხვადასხვა მომენტები. აქედან ტრადიციულია წილების  
თანაბრად გაყოფის ჩვეულება, ხოლო გვიანდელია ნამაშვრალის  
გაცემის წესი, მაგრამ მიუხედავად ქონების განაშილების პრინცი-  
პისა, გაყრა ხდებოდა პირველი თაობის წარმომადგენელთა გარდა-  
ცვალების შემდეგ და ამდენად ამით დაცული იყო საოჯახო თემის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადიციული ნორმა. მაგრამ რამდენად  
დაც საოჯახო თემი გადმონაშოთის სახით არსებობდა, ამდენად ასეთი  
ხასიათდებოდა ყველა კომპონენტის მდგრადობით. ღროთა ვითა-  
რებაში ის ბევრ თავდაპირველ ნიშანს ჰქარგავდა, ხოლო ზოგიერთ  
დიდ ოჯახში ნაადრევად ირლვეოდა რაიმე ისეთი ტრადიცია, რო-  
მელსაც მეორე ოჯახი მტკიცედ ინარჩუნებდა.

ერთ-ერთ ასეთ მომენტად გვესახება ოჯახის გაყრა მშობლების  
გარდაცვალებამდე, რის შესაბამისად ხდებოდა ქონების განაწილე-  
ბაც. ასეთ ვითარებაში შვილებს შორის ქონების თანაბრად განა-  
წილება უშუალოდ მამის კომპეტენციაში შედიოდა. თვითონ მამა  
მოწილედ არ ითვლებოდა და წილს არც ღებულობდა. წესის მიხე-  
დვით მას შეეძლო საოჯახო ქონებიდან გამოეტანა მხოლოდ ერთი  
დღიური სახნავი მიწა და ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით ცხვარ-  
ძროხა, პურეული და პროდუქტები. მამისთვის განკუთვნილ მიწის  
ნაკვეთს ერქვა სანახი ანუ შესანახი, ხოლო ცხვარ-ძროხას  
და სურსათს სამარხი ანუ დასამარხი. ერთად აღებული  
ამ დოკუმენტის სახელწოდება იყო სანახ-სამარხი ანუ შესა-  
ნახ-დასამარხი. სანახი და სამარხი ასეთივე მოცულობით  
ეძლეოდა მის მეუღლესაც.

როგორც თვითონ სახელწოდებებიც გვიჩვენებენ, სანახი გან-  
კუთვნილი იყო მშობლების შესანახად, საარსებო წყაროდ, ხოლო  
სამარხი გათვალისწინებული ყოფილა საქელეხოდ.

ოჯახის გაყრის შემდეგ მშობლები მიიღებდნენ რა თავის კუთ-  
ვნილ სანახ-სამარხს, საცხოვრებლად რჩებოდნენ უმცროს შვილ-  
თან, მაგრამ შემდეგი პირობით: დედის სანახ-სამარხი გადაეცემოდა  
უმცროს შვილს, ხოლო მამისა სულ უფროს შვილს. ასე იმიტომ ხდე-  
ბოდა, რომ დედა ითვლებოდა უმცროსი შვილის, ხოლო მამა უფრო-  
სის ნარგებად, მაგრამ მშობლები რომ არ გაყოფილიყვნენ, ისინი  
თვითონ უმცროს შვილთან სახლდებოდნენ, ხოლო მამა უფროსი  
შვილისადმი კუთვნილებას ქონებრივი დამოკიდებულებით გამოხა-  
ტავდა.

დედის სანახს (ნაკვეთს) ხნავდა და სამარხს (საქონელს) უვლი-  
და უმცროსი შვილი, ხოლო მამისას — უფროსი შვილი. ორივე სა-  
ნახ-სამარხის შემოსავალი თავს იყრიდა უმცროს შვილთან და მას-  
თან მცხოვრებ მშობლებს ხმარდებოდა. მშობლების გარდაცვალე-



ბის შემდეგ სამარხეს (საქონელს) იყენებდნენ ქელეხებში, ეჭვილებული სანახეს (მამულს) შვილები კი არ იყოფდნენ, არამედ მორზელობის ამუშავებდნენ, რისთვისაც მას სარიგაო ყანა ერქვა. დროთა ვითარებაში ამ გაყრილი ძმების შთამომავლობა მამიშვილობის (პატრონიმიის) ფერხულში ებმებოდა, ხოლო ეს გაუყოფელი მამული, როგორც ამის შესახებ ზემოთაც ითქვა, პატრონიმიის საკუთრებაში ექცეოდა.

ოჯახის გაყრის დროს თუ მხოლოდ დედა იყო ცოცხალი, ის თავისი სანახ-სამარხით უმცროს შვილთან რჩებოდა. დედის გარდა-ცვალების შემდეგ სამარხი მის ხარჯებს ხმარდებოდა, ხოლო სანახი შვილებს შორის სარიგაოდ რჩებოდა. თუ მხოლოდ მამა იყო ცოცხალი, ის საცხოვრებლად მიდიოდა უფროს შვილთან. მამის გარდაცვალების შემდეგ სამარხი იხარჯებოდა ქელებში, ხოლო სანახი სარიგაოდ რჩებოდა.

მაშასადამე, ოჯახის გაყრის შემდეგ მშობლებისთვის განკუთ-ვნილი ყოფილა მხოლოდ საარსებო მინიმუმი. წილს ისინი არ ღებულობდნენ. მშობლის მოვალეობას შეადგენდა ვაჟიშვილებს შორის ქონების თანაბრად განაწილება. რომელიმე მათვანისთვის არამც თუ წილის მიუცემლობის, არამედ ქონების დაკლების უფლებაც კი მამას არ ჰქონია. მამის გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო სოლიდარობის პრინციპი. ამიტომ ყოვლად გაუმართლებელია ნ. ნიკიფოროვის მტკიცება, თითქოს შვილისთვის დოვლათის გამოყოფა მხოლოდ მამის ნება-სურვილზე ყოფილიყო დამოკიდებული (გვ. 25).

მამა-შვილის ურთიერთობა რომ შორს იდგა დესპოტიზმისა და მამის ერთპიროვნული უფლებებისაგან, ამას მხარს უჭერს გიორგი ბრწყინვალის სამართალიც, რომლის მე-16 მუხლში ვკითხულობთ:

„თუ მამა დაუბერდეს და შვილი მოსწიფოდეს და მამას სამსახური არ შეეძლოს, უპრიანია ერთგან ყოფნა.

და თუ რადმე ვერ იქნებოდნენ და ნასყიდი ეყოფოდეს, მამამ ნასყიდი დაიჭიროს და შვილმან მამულით გუმსახუროს.

და თუ მამას ნასყიდი არ ეყოფოდეს, მამულისაგანც დაიზიაროს; და შვილთან ნების მყოფელი იყოს, ნასყიდიც შვილს დაუგდოს.

და თუ არ ნების მყოფელი იყოს, ნასყიდში არა ქელჩხაჭავებია შვილსა. თუ უნდა, მამა გაყიდის, და თუ უნდა, მონასყიდე შეიტანს,— რასაც უზამს, მამამ იცის, შვილი ნასყიდს ვერ ეცილოს“.

მაშასადამე, კანონმდებელს მიაჩნდა, რომ დაბერებულ მამას, რომელსაც სამსახურის თავი აღარ ჰქონდა, ეცხოვრა სრულწლოვან შვილთან, რომელიც მამის ნაცვლად ემსახურებოდა ფეოდალურ ზედაფენას. იმ შემთხვევაში კი, თუ ისინი ერთად ცხოვრებას არ ისურვებდნენ, ნასყიდი (შეძენილი ქონება) მამას უნდა დაეკირა, ხოლო შვილს მამული (უძრავი ქონების მემკვიდრეობითი მფლობელობა) ეკუთხნოდა და მით სამსახური ევალებოდა. კანონმდებელს გათვალისწინებული აქვს ისეთი მდგომარეობაც, როდესაც მამას ნასყიდი არ ჰყოფნიდა. ასეთ ვითარებაში იგი დასაშვებად თვლიდა, რომ მას მამულიდანაც წილი მისცემოდა. „შვილთან ნების მყოფელი“ (ე. ი. შვილთან კეთილ დამოკიდებულებაში) ყოფილიყო და „ნასყიდიც შვილს დაუგდოს“ (შეძენილი ქონებაც შვილს დაუტოვოს). მაგრამ თუ მამა შვილთან „არ ნების მყოფელი იყოს“ (შვილთან არ იყოს კეთილ დამოკიდებულებაში), მაშინ „ნასყიდში არა ქელი აქუს შვილსა“ (მამის მიერ შეძენილ ქონებაზე შვილს უფლება არა აქვს), მამას ამ შეძენილ ქონებაში შვილი ვერ შეეცილება და როგორც მამას სურს, ამ ქონებას ის მოიხმარებს.

ეჭვსგარეშეა, რომ კანონმდებლის მიზანი იყო მთიულეთში ფეოდალური წესრიგის დანერგვა და მთიულისთვის ფეოდალური ვალდებულების დაკისრება. სათანადო წყაროების უქონლობის გამო ძნელია იმის თქმა, თუ ხელისუფლების დადგენილება რამდენად ხორციელდებოდა. XVIII საუკუნეში შექმნილ სამართლის წიგნშიც („განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“) ამის თაობაზე არაფერი თქმულა. მაგრამ მიუხედავად იმისა თუ მეფის მიერ დადგენილი კანონი რამდენად გამოხატავდა მოსახლეობის ინტერესებს და დაინერგა თუ არა ის თემური ტრადიციებით მცხოვრები მთიულების საოჯახო ურთიერთობის სფეროში, ერთი რამ მაინც ცხადია: „ძეგლის დადება“ მამისა და შვილის ქონებრივ უფლებებს სათანადო ნორმებით მიჯნავს და მათ მოვალეობასაც ამის შესაბამისად განსაზღვრავს. შეუძლებელია, რომ მეფის მიერ ამ კანონის შემუშავებამდე მამა-შვილის ეკონომიური უფლებები ჩვეულებითი სამართლით განსაზღვრული არ ყოფილიყო. როგორც ჩანს,



მეფემ ადათობრივ ნორმებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაუყოფა ანგარიში და ის ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესებს შეცვალა-და, მაგრამ ასე იყო თუ ისე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სა-მართლის ძეგლი ასახავს მამა-შეიღის განსაზღვრულ ქონებრივ უფლებებს; რასაც, როგორც ამ ძეგლზე დაყრდნობით ნ. ხიზანა-შეიღმა თავის დროზე სამართლიანად დასკვნა, არავითარი კავში-რი არ ჰქონდა მამის განუსაზღვრელ უფლებებთან, დესპოტურ ოჯახთან!

ამგვარად, ოჯახის გაყოფის ორივე შემთხვევაში, პირველი თა-ობის წევრთა გარდაცვალების შემდეგ თუ მათ გარდაცვალებამდე, ბემჯეოდრეობის უფლებით მამაკაცები სარგებლობდნენ და ქონე-ბრივი ურთიერთობის მოწესრიგება მათ შორის ხდებოდა. ამ მხრივ შედარებით მარტივად წყდებოდა გასათხოვარი ქალებისა და რძლე-ბის საკითხი, ვინაიდან წილის მიღების უფლებით ისინი არ სარ-გებლობდნენ და მათი მდგომარეობა იმთავითვე გარკვეული იყო.

გასათხოვარ ქალს ოჯახის გაყოფის დროს არაფერს არ აძ-ლევდნენ, მხოლოდ გათხოვების დროს ატანდნენ მას უმნიშვნელო ღირებულების მზითევს (ერთ-ორ ხელ ლოგინს, ხელსაქმისა და სამუშაო იარაღებს, ჯეჯიმ-ფარდაგებს, სკივრს და ტანსაცმელს), რასაც უმზადებდნენ უმთავრესად დიდ ნიშნობაში შესული შესაწევ-რისა და იმავე დროს მოწყობილ „შაბაშში“ შეგროვილი ფულით. გარდა ამისა, სასიძოს თავის მხრივ დანიშნულისთვის მიპქონდა ერ-თი ხელი ლოგინი (ძველებური ლოგინი შედგებოდა ქვეშსაგები ნა-ბდებისაგან), რაც ბოლო დროს, როდესაც მატყლის ლოგინი შემო-ვიდა ხმარებაში, შეიცვალა ერთი ხელი ლოგინისათვის საჭირო მა-ტყლით. შაბაშსაც უმთავრესად ვაჟის მაყრები (მისი ახლობლები) აწყობდნენ. ამ გზით ქალის გამზითვება ფაქტიურად მისივე საქ-მროს მხრიდან ხდებოდა და ქმრის ოჯახში ქალის გადასვლის დღი-დან ეს ქონებაც ისევ ვაჟის ოჯახში შედიოდა, მაგრამ ქალის გარდა მასზე საკუთრების უფლებით სხვა არავინ არ სარგებლობდა. ოჯა-ხის გაყოფის დროს მზითევი ქალს ჩემებოდა და სიკვდილამდე მის ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა. ქმართან დაცილების შემთხვევაშიც კი, რა მიზეზითაც უნდა მომხდარიყო ეს, მზითევზე

1 ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940, 166.



საკუთრების უფლებას ქალი ინარჩუნებდა. მისი გარდაცვალებისა შემდეგ მზითევი მის ქალიშვილებს რჩებოდათ.

მზითევზე ასეთივე უფლებით სარგებლობდა მოხევე ქალი, მაგრამ ხევში გამზითვების განსხვავებულ საშუალებას მიმართავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხევში ურვადის გადახდის წესი XX საუკუნის დამდეგამდე არსებობდა, ქალს მზითევს უმზადებდნენ არა საურავში აღებული თანხით, არამედ საოჯახო სახსრებით. ვინაიდან ურვადი ქალის საფასურს წარმოადგენდა, ქალის მზითევში მისი გამოყენება არ შეიძლებოდა და ის მთლიანად ქალის მამის ოჯახს ხმარდებოდა. თუ ქალის გათხოვებაში აღებულ საფასურს ისევ ქალს მოახმარდნენ, სყიდვითი ქორწინების პრინციპიც დაირღვეოდა, რასაც ხევში ადგილი არ ჰქონია. ქალს მზითევი იმ მიზნით ეძლეოდა, რომ მას მცირეოდენი პირადი საკუთრებაც ჰქონდა. ამ უმნიშვნელო ქონების მესაკუთრე კი ის შეიძლებოდა ყოფილიყო მაშინ, როდესაც ეს ქონება მამისეული იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ურვადიდან გამზადებული მზითევის მიტანა მხოლოდ ქმრის მინატანის უკან დაბრუნება გამოვიდოდა, რომელზე კვლავ დაპატრიონებაც ქმარს შეეძლო.

— ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან მომენტად გვესახება მთიულ-გუდამაყრელი ქალის საკუთრების უფლება მზითევზე ისეთ ვითარებაში, როდესაც მზითევი წზადდებოდა საქმროსა და მისი ახლობლების მინატან-შესაწევარით. ასეთი უფლება მომდინარე უნდა იყოს გამზითვების ისეთი წესიდან, როგორსაც მისდევდნენ მოხევები. საფიქრებელია, რომ მამისეული ოჯახის სახსრებით მზითევის მომზადების წესი რდესლაც მთიულეთ-გუდამაყარშიც არსებულიყო და მზითევზე ქალის საკუთრების უფლებაც ამ დროიდან მომდინარეობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც მზითევი საქმროს მინატანით მზადდებოდა და ბოლოს ქალს ისევ ქმრის ოჯახში მიჰქონდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ქალი ამ სახის ქონების სრულუფლებიანი მესაკუთრე ყოფილიყო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მინატან-შესაწევარით მზითევის მომზადების წესი გვიანდელია, რომლის შემოღების წმიუხედავად მზითევზე საკუთრების აღრინდელმა წესმა არსებობა შეინარჩუნა, ისევე როგორც ახალ გარემოში მრავალი სხვა ძველი ჩვეულებაც ინარჩუნებდა სიცოცხლეს. ეს წესი გვიანდელი ჩანს პირველ ყოვლისა იმის გამო, რომ თვით



ქალის ოჯახისაღმი ვაჟის მხრიდან დახმარების ჩვეულება შემოწყვეტა  
რება გვიანდელ მოვლენად. თავდაპირველად მთიულეთ-გუდამა-  
ყარშიც მოქმედი ინსტიტუტი უნდა ყოფილიყო სყიდვითი ქორ-  
წინება, ისევე როგორც ისტორიულად მისი არსებობა დადასტუ-  
რებულია საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში. ამ  
ინსტიტუტის გადაგვარების შემდეგ გვიან წარმოშობილი ჩანს ვა-  
ჟის მხრიდან შეწევნა-დახმარების წესი, ხოლო რამდენადაც ეს  
ჩვეულება გულისხმობდა ქალის ოჯახისაღმი ვაჟის მხარის მატე-  
რიალურ ვალდებულებას, ის გვესახება სყიდვითი ქორწინების  
გადმონაშთად.

გარდა მზითევისა ქალის საკუთრებად ითვლებოდა სათაო  
(სათავნო), რასაც გათხოვების დროს ან ქორწილიდან რამდენიმე  
წლის შემდეგ ქალს მამის სახლიდან აძლევდნენ ან ერთი ძროხის,  
ან ერთი დეკეულის, ანდა ორი-სამი ცხვრის სახით. მამის ოჯახის  
საერთო ქონებიდან გაცემულ სათავნოსთან ერთად ქალს ზოგჯერ  
დედა თავის სათავნოსაც უთმობდა, რის შემდეგ სათავნოზე საკუ-  
თრების უფლება დედას ეკარგებოდა. დასტურდება სათავნოს მი-  
უცემლობის შემთხვევებიც, ვინაიდან მისი გატანება ნებაყოფლო-  
ბითი ყოფილა და არა სავალდებულო.

რძალს უფლება პქონდა ქმრის ოჯახში მიყვანილი საქონელი  
გაეყიდა და საფასური სურვილისამებრ მოეხმარა. თუ გაყიდვას  
არ მოინდომებდა, მის პირად საკუთრებად ითვლებოდა მიყვანილი  
საქონელი უკვდავად (თავნი) და მისი ერთი წლის ნამატი, რაც  
ოჯახის გაყოფის დროს წილში არ ჩავარდებოდა. შემდეგი ნამატი  
კი ოჯახის საერთო ქონებაში გადადიოდა და წილებზე იყოფოდა.

რძლის გარდაცვალების შემთხვევაში მისი სათავნოს თავნი და  
ერთი წლის ნამატი (ხბო, ბატკანი) გარდაცვლილის ქმრისა და შვი-  
ლების სახელზე რჩებოდა და წილებზე გაყოფა მას არ ეხებოდა. გარ-  
დაცვლილი რძლის მამის ოჯახი სათავნოს უკან ვერ დაიბრუნებდა. ამ  
ქალთან ერთად მისი ქმარიც რომ ტრაგიულად დაღუპულიყო, სა-  
თავნო მათ შვილებს გადაეცემოდათ, ხოლო თუ არც შვილები ჰყავ-  
დათ, სათავნო ქმრის ოჯახში რჩებოდა და ოჯახის გაყოფის დროს  
მოწილეებს შორის ნაწილდებოდა.

სათავნოსაღმი ასეთი დამოკიდებულება გამომდინარეობდა სა-  
ოჯახო თემის ერთობის შენარჩუნების ინტერესებიდან. ნამატის შე-



ზღუდვით ოჯახი სპობდა პირადი საკუთრების გაზრდისა და კულტურული საკუთრებად მისი გადაქცევის შესაძლებლობას, რასაც შეუძლია საერთო საკუთრებაზე დამყარებული ერთეულის შიგნით გაეჩინა კერძო საკუთრების კერები და ამას ოჯახის დაშლაც გამოეწვია.

ოჯახის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით ბრძოლა სწარმოებდა პირადი საკუთრების შექმნის სხვა საშუალებათა წინააღმდეგაც. ამ შემთხვევაში შეიძლება დავიმოწმოთ ერთი მაგალითი, რომელიც შეეხება მატყლის დამუშავება-მოხმარების საკითხს. როგორც წესი, რძლებს ყოველწლიურად აძლევდნენ იმდენ მატყლს, რამდენიც მათ ქმარ-შეილის სამოსის დასამზადებლად ესაჭიროებოდათ. ამ მატყლიდან თავისთვის გასაყიდი ნართის ან ქსოვილის დამზადება იყრძალებოდა. რძლებს შორის განაწილების შემდეგ დარჩენილი მატყლი ან საბაზროდ დამზადებული მისი ნაწარმი საერთო საოჯახო საქმეს უნდა მოხმარებოდა, მაგრამ ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ასეთი წესის დარღვევის ცდას. ასეთი შემთხვევა მომხდარა სახელდობრ სოფ. არახვეთში, ბურდულების გაუყოფელ ოჯახში. მის მეთაურს გაბუას რძლებისთვის მატყლი გაუნაწილებია. მათ მოუქსოვიათ თავშლები და მაზლისთვის (მიხასთვის) ვლალიკავკაზი (ახლანდელი ქ. ორჯონიჯიძე) გასაყიდად გაუტანებიათ. შალებში აღებული თულით მიხას სიმინდი უყიდია. მისი ასეთი გადაწყვეტილება, როგორც კერძო მესაკუთრეობის საწინააღმდეგო საშუალება, ოჯახის უფროსსაც დადებითად შეუფასებია და გაუყოფლად ცხოვრების მომხრე მეზობლებსაც მოსწონებიათ ის ამბავი, რომ „გაბუანთ ოჯახში ერთობა არისო და თავ-თავისობას უშლიანო“.

სათავნოზე საკუთრების უფლების მთიულურ-გუდამაყრული ვარიანტი ახლოს დგას მოხეურთან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ხევში რძლის უფლება სათავნოზე ორი-სამი წლის შემდეგ, თუ მანამდე ის სათავნოს არ მოიხმარებდა, იყარგებოდა, ვინაიდან აღნიშნული დროის შემდეგ სათავნო საოჯახო საკუთრებაში ერთიანდებოდა. მთიულეთ-გუდამაყართან შედარებით ხევში ამ მხრივ უფრო შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებდა დიდი ოჯახის შიგნით კერძო საკუთრებისადმი სწრაფვის წინააღმდეგ. სამაგიეროდ საქართველოს სხვა კუთხეებთან (ქართლი, კახეთი, ფშავი) შედარებით, სადაც სათავნო მზარდისა და მომგებიან ელემენტს და ამდენად ოჯახის შივ-

ნით კერძო საკუთრების გალრმავების საფუძველს წარმოადგენდა, მთიულეთ-გუდამაყარში სათავნოს ზრდის შესაძლებლობის უფრო შეზღუდული იყო. სათავნოშე საკუთრების უფლება მთიულეთ-გუდამაყარში განვითარების საშუალო ეტაპზე მდგომად გვეჩენება, რომელიც ამ მხრივ ხევის დონეს გასცილებია, მაგრამ ქართლ-კახეთში არსებულ მდგომარეობამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილით იყო დაშორებული.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ ჩვენზე აღრე გამოთქმულ მოსაზრებასაც. ნაშრომში — „ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში“ ი. ჰუნის წერს: „სათავნო თავნად რჩებოდა; ნამრავლიდან პირველი ორი ხათ თუ ბატქანი სათავნოს პატრონს ეკუთვნოდა, ხოლო მესამე და მომდევნო ნამატი გადადიოდა საერთო სამო-საკომო საკუთრებაში და გაყრის შემთხვევაში „წილში“ ვარდებოდა“ (გვ. 157). აქ თითქოს გარკვეულად არის ნათქვამი, თუ სათავნოდან რა იყო პირად საკუთრებაში და რა გადადიოდა საერთო საოჯახოში, მაგრამ მსჯელობის დასკვნით ნაწილში ზემოთქმულის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდა, რომ თურმე სათავნო წარმოადგენდა დიდ ოჯახში შემავალი პატარა ოჯახის საკუთრებას (გვ. 161). მისივე მტკიცებით, „დიდ ოჯახს შიგნით სათავნომდე არსებობდა საერთო ქონებიდან გამოყოფილი ცალკეულ კომლთა საკუთრება“. იქვე ვკითხულობთ: „ამ ტიპის „დიდი ოჯახი“ მთიულეთშიც კოოპერაციის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა, რომლის წევრ პატარ-პატარა კომლებს საერთოსთან ერთად პირადი და კერძო საკუთრება გააჩნდათ“ (გვ. 161).

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ დიდი ოჯახის არსებობის მოგვიანო პერიოდში, როდესაც ქონების მიმართ პრეტენზია შრომითი წვლილითაც განისაზღვრებოდა, ინერგებოდა შრომითი კოოპერაციის ნორმები. აღნიშნული გვქონდა ისიც, რომ ამგვარი ელემენტების ჩასახვა ხელს უწყობდა ოჯახის შიგნით კერძო საკუთრების განვითარებას და ოჯახის ერთობის დაშლას, მაგრამ ასეთი გვიანდელი მოვლენების მიხედვით, რაც დამახასიათებელი იყო აგრეთვე მოსპობის სტადიაში მყოფი დიდი ოჯახისთვისაც,

1 Р. Харадзе, Грузинская семейная община, II, Тбилиси, 1961, 51—59.



ყოვლად შეუძლებელია დიდ ოჯახში მყოფი საქორწინო წყვილები ბისაღმი პატარა ოჯახების წოდება და ამ ნიშნით დიდი ოჯახთან უფლება „კოოპერაციის თავისებურ ფორმასთან“, ვინაიდან ი. ჭყონიას მიერ პატარა ოჯახად მონათლული საქორწინო წყვილი ოჯახად იქცეოდა მხოლოდ დიდი ოჯახის დაყოფისა და იქიდან დამოუკიდებელ, დოგლათის მესაკუთრე ერთეულად გამოყოფის შემდეგ.

ვინც კი იცის, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში არსებული ერთ-ერთი დღენაკლული თეორიის („არტელური თეორია“) მიხედვით დიდი ოჯახი გაიგივებული იყო მეურნეობრივ ასოციაციასთან, არტელთან, დაინახავს, რომ ი. ჭყონია წყაროებზე მიუთითებლად მთიულეთის მიმართ იმეორებს დიდი ხნის წინათ დრომოკმულ თვალსაზრისს და მთიულურ დიდ ოჯახს უმართებულოდ აცხადებს პატარ-პატარა კომლებით დაკომპლექტებულ კოოპერაციად ანუ არტელად. „არტელური თეორიიდან“ ი. ჭყონიას მიერ გადმოღებული თვალსაზრისი უპირისპირდება საბჭოთა ეთნოგრაფიაში დამკვიდრებულ შეხედულებას დიდი ოჯახის გადმონაშთური ბუნებისა და საოჯახო თემთან მისი გენეტიკური კავშირის შესახებ. მეურნეობრივ გაერთიანებასთან მთიულური დიდი ოჯახის გაიგივების თვალსაზრისი რომ შორსაა ქართული საოჯახო თემის მკვლევართა შეხედულებისაგან, ეს ნათლად გამოჩნდა საკუთრივ რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის მიერ მთიულეთისადმი მიძღვნილ ნაშრომშიც (გვ. 32—33), მაგრამ ამის მიუხედავად გ. ჩიტაიამ ქართული საოჯახო თემის მკვლევართ, მათ შორის პირველ ყოვლისა რ. ხარაძეს, მიაწერა, თითქოს მათ შრომებში „საოჯახო თემის, როგორც სამეურნეო საწარმოო უჯრედის (ხაზი ჩემია ვ. ი.) განვითარება განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკი განვითარების ძირითად ეტაპებთან დაკავშირებით“<sup>1</sup>.

საოჯახო თემი რომ შესწავლილია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად ეტაპებთან დაკავშირებით“, ეს მართალია, მაგრამ თქმა იმისა, რომ საოჯახო თემი, მისი გადმონაშთური ფორმების ჩათვლით, განხილულია როგორც „სამეურნეო

<sup>1</sup> გ. ჩიტაია, საქართველოს ეთნოგრაფია დიდი ოქტომბრის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად ეტაპებთან დაკავშირებით“, ეს მართალია, მაგრამ თქმა იმისა, რომ საოჯახო თემი, მისი გადმონაშთური ფორმების ჩათვლით, განხილულია როგორც „სამეურნეო

საწარმოო უჯრედი“, ე. ი. როგორც არტელი, ეს ყოვლად გაუმართ-  
თლებელი საყვედურია იმ ავტორთა მიმართ, რომელთა გრძელების  
საოჯახო თემს ახასიათებდა რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრება,  
საერთო საკუთრებაზე დამყარებული მეურნეობრივი ერთობლიობა  
და სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით განსაზღვრული მმართულობის  
შესაბამისი სისტემა.

ყოველივე ამის შესახებ მკაფიოდ არის ნათქვამი რ. ხარაძის  
მიერ 1960 და 1961 წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ორტო-  
მეულ მონოგრაფიაში („ქართული საოჯახო თემი“), სადაც სათავნო-  
საც სათანადო ყურადღება დაეთმო. ქართულ-კავკასიური ეთნოგ-  
რაფიული მასალის, სამართლის ძეგლებისა და ლიტერატურის ანა-  
ლიზის საფუძველზე აღნიშნული მონოგრაფიის მეორე ტომში ავ-  
ტორმა დაასკვნა, რომ მზითევის აღრინდელი ფორმა—სათავნო და-  
მახასიათებელი იყო საოჯახო თემისათვის და ის განსხვავდებოდა  
მზითევის გვიანდელი სახეობისაგან, რომელიც შეესაბამებოდა კერ-  
ძო საკუთრების განვითარებას საოჯახო თემის დაშლის საფეხურზე  
(გვ. 59).

ამ დებულების უარყოფის მიზნით ი. ჭყონიამ ჭ. რუხაძისა და  
ა. ლექიაშვილის თანაავტორობით 1964 წელს გამოქვეყნებულ ნაშ-  
რომშიც („სოფელი აკურა“) სცადა დაერწმუნებინა მკითხველი,  
რომ სათავნო და მზითევი მხოლოდ ინდივიდუალური ოჯახისათვის  
იყო დამახასიათებელი. მან აქვე ერთხელ კიდევ გადაუხადა ხარჯი  
„არტელურ თეორიას“ და აღნიშნა, რომ დიდ ოჯახში კოოპერირე-  
ბული იყო პატარა ოჯახები (გვ. 78). ყოველივე ამასთან ერთად ნა-  
შრომში შეტანილია სათავნოს საბასეული განმარტება (გვ. 71) და  
დამოწმებულია მზითევ-სათავნოს სახელწოდებისა და შინაარსის  
ამსახველი XVIII საუკუნის საბუთი (გვ. 78). ამგვარი მონაცემების  
მეშვეობით ავტორმა „აღმოაჩინა“, რომ „სათავნო როგორც ტერ-  
მინი, ასევე როგორც ქონების წყარო, სავაჭრო კაპიტალის დროინ-  
დელი საზოგადოების ინსტიტუტი უნდა იყოს თავისი ბუნებით“  
(გვ. 76). გამომდინარე აქედან, საქართველოში სავაჭრო კაპიტალის  
ხანად ი. ჭყონიას XVIII საუკუნე მიაჩნია.

ოჯახის გაყრის დროს ყველა ქმრიან ქალთან ერთად მზითევ-  
სათავნოს მესაკუთრედ ითვლებოდა ქვრივიც, რომელსაც მისი  
მდგომარეობის შესაბამისად ოჯახის საერთო ქონებიდანაც სათანა-



დო წილს აძლევდნენ. თუ ქვრივს ვაჟიშვილი ჰყავდა და ამ მოწილე გამა მოწილედ ითვლებოდა, ქვრივს სრულ წილს აძლევდნენ. მაგრა შემთხვევაში კი, როდესაც ქვრივის გარდაცვლილი ქმარი მოწილის შვილი იყო, ქვრივი მისი მაზლების თანამოწილედ გადიოდა, ე. ი. ის და მისი მაზლები იმ ერთ წილს ღებულობდნენ, რომელიც ქვრივის მამამთილის (მოწილის) კუთვნილებას შეადგენდა. თუ ქვრივს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა, მას გამოუყოფდნენ მიწის ნაკვეთსაც და სხვა სახის დოვლათსაც, რათა ქალიშვილები ესაზრდოებინა. ქალიშვილების გათხოვებისა და ქვრივის გარდაცვალების შემდეგ მის ხმარებაში მყოფ მამულს მოწილეები იყოფდნენ, ხოლო საოჯახო ინვენტარსა და საქონელს ქალებს უნაწილებდნენ. დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ქმრის ოჯახში დარჩენისა და ქმრისადმი ერთგულების ნიშნად ქვრივი იშვილებდა ქმრის ნათესავ ბიჭს. ასეთ შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა ვაჟი იყო თუ არა მოწილის შვილი, ქვრივს ამაგს და ერთგულებას სრული წილის ბოძებით უფასებდნენ.

დოვლათის გარკვეულ ნაწილს (დაახლოებით ერთ დღიურ სახნას და საქონელს) აძლევდნენ სულ უშვილო ქვრივსაც, რომელიც არც მამის სახლში დაბრუნდებოდა და მითუმეტეს არც მეორედ გათხოვებაზე იფიქრებდა. იმას კი, ვინც ერთწლიანი გლოვის შემდეგ ქმრის ოჯახიდან წავიდოდა, მზითევ-სათავნოს მეტს არაფერს ატანდნენ, ხოლო თუ სხვაზე გათხოვდებოდა, მტრობა ჩამოვარდებოდა მისი პირველი და მეორე ქმრის მხარეებს შორის, რაც ბოლოს და ბოლოს შერიგებით უნდა დამთავრებულიყო. როგორც ს. მაკალათია შენიშვნავს, ასეთ ვითარებაში ქვრივს ევალებოდა პირველი ქმრის ოჯახში „საქვრივო“—ს მიტანა და შერიგება. „ის ამ მიზნით თავის მეორე ქმრით, ძლვნით და საკლავით პირველ ქმრის სოფელში მიემგზავრება. მივლენ სასაფლაოზე, საკლავს დაკლავენ და მიცვალებულს შენდობას ეტყვიან. შემდეგ პირველ ქმრის ოჯახში შებრუნდებიან და აქ იმართება შემოსარიგი საღილი“. (გვ. 118—119).

ქმრის ოჯახიდან წასული ქვრივი მამის სახლში დაბერებას გადაწყვეტდა თუ მეორედ გათხოვებას, სულერთია, ის შვილებს თან ვერ წაიყვანდა. მთიულეთ-გუდამაყარშიც ამიტომ უყოყმანოდ ამბობდნენ, რომ „დედას შვილებში წილი არ უძევსო“. ქმრის

ოჯახიდან წასული ქვრივის შვილებზე ზრუნვა ევალებოდა მათ შვების ბიძებს. მათ მოვალეობას შეადგენდა როგორც ძმები ქალიშვილების დაზრდა და გათხოვება, ისე ვაჟების კუთვნილი წილის მოვლა, ბავშვების დაზრდა და მათვის ამ წილის გადაცემა.

შვილების თან წაყვანის უფლებას მოკლებული იყო აგრეთვე ქმართან გაყრილი ქალიც. გაყრა რა მიზეზითაც არ უნდა მომხდარიყო და დამნაშავე რომელი მხარეც არ უნდა ყოფილიყო, შვილები მაინც მამასთან რჩებოდნენ, მაგრამ სამაგიეროდ გაყრილი ცოლ-ქმრის ეკონომიური ურთიერთობა წესრიგდებოდა დანაშაულის ხასიათის მიხედვით. დამნაშავე ქალის დაწუნების შემთხვევაში ქმარი მას უკან უბრუნებდა მხოლოდ მზითევ-სათავნოს, ხოლო უდანაშაულოდ დაწუნებული ცოლისათვის, სოფლის კაცების გადაწყვეტილების შესაბამისად, ქმარს უნდა გაეტანებინა უნჯი და საქონელი, რასაც ერქვა „სამწუნებელი“.

როგორც ვხედავთ, მთიულეთ-გულამაყარში ქალი წილის მიღების უფლებით არ სარგებლობდა, მაგრამ ის ოჯახში არც ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო. ეს მომენტი შეინიშნება გიორგი ბრწყინვალის სამართალშიც. მისი მე-18 მუხლის მიხედვით, თუ კაცს ვინმე მოჰკლავდა „და თუ ამ მოკლულის კაცის ცოლი დარჩეს და არ გათხოვდებოდეს, მის მოკლულის კაცის სისხლისაგან სასაპყრო (სისხლის ნაწილი თავის სარჩენად — ვ. ი.) მიეცეს ძალისა მსგავსად“ (შეძლებასდაგვარად — ვ. ი.). ამასთან ერთად, ქვრივს მისი ქმრის მკვლელის ქონებიდან ეკუთვნოდა „ათისაგანაც ერთი“, ე. ი. ერთი მეათედი ნაწილიც.

კანონმდებელს სათანადო ყურადღების ღირსაღ უცნია უდანაშაულო ცოლის დაწუნების შემთხვევებიც და ქმრისთვის სასჯელად დაუწესებია ნახევარი სისხლის გადახდა ქალის გვარის სასარგებლოდ: „კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ, და მისი შეუცოდარი იყოს და გაეყაროს ესეთსა, ნახევარი სისხლი დაუურვოს მის დიაცის გუარსა ზედა“ (მუხლი 21).

იმის გამო, რომ უდანაშაულო ცოლის დაწუნებელ ქმარს ნახევარი სისხლის გადახდა ევალებოდა და ქვრივსაც, რომელიც მეორედ არ გათხოვდებოდა „სასაპყრო“ ეძლეოდა „ძალისა მსგავსად“, ნ. ხიზანაშვილი დაასკვნის, რომ „ოჯახში ცოლი როდი იყო ქმრის სრული საკუთრება, მისი ქონება“. საქართველოს მთიანეთ-

ში ნ. ხიზანაშვილი ხედავს შედარებით თავისუფალ (ე. იშტოლებული დარულ, დემოკრატიულ) ოჯახს, განსხვავებულს რომაული ოჯახისაგან, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მამის განუსაზღვრელი უფლებები ცოლზე, შვილებზე და ქონებაზე (გვ. 165).

ამგვარად, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემების, ისე შუა საუკუნეების სამართლის ძეგლის მიხედვით, ქალის ქონებრივი უფლებები, გარკვეული პირობების შესაბამისად, სათანადო ნორმებით იყო განსაზღვრული. გასათხოვარ ქალს თუ მზითევი და სათავონ ეკუთხნოდა, ამ ქონებაზე საკუთრების უფლებას ინარჩუნებდა ქვრივიც, დიდი ოჯახიდან გამოყოფილი ქმრიანი ქალიც და ქმართან გაყრილიც, ისევე, როგორც განსაკუთრებულ პირობებში ქალს სარჩოს და დროებით სარგებლობაში მიწის ნაკვეთსაც აძლევდნენ, მაგრამ მიწაზე საკუთრების უფლებას ქალი მოკლებული იყო. ამიტომ ძესიძედ მისვლაც შესაძლებელი ყოფილა მხოლოდ ქალის მამის სიცოცხლეში, ამ უკანასკნელის ინიციატივითა და განაყრებთან (მამიშვილობასთან) მისი შეთანხმების საფუძველზე. თუ ქალის მამა თავის სიცოცხლეში ამ საქმის მოწესრიგებას ვერ მოასწრებდა, მის ოჯახში სიძე ვერ შემოიჭრებოდა. ქალებს რჩებოდათ მხოლოდ მამისეული უნჯი და საქონელი, ხოლო სახნავ-სათიბს ინაშილებდნენ გარდაცვლილის ახლობელი მამაკაცები. ზოგჯერ კი ასე უპატრონოდ დარჩენილი მიწის ნაკვეთს რომელიმე ხატის სახელზე შეწირულად გამოაცხადებდნენ და მორიგეობით ხმარობდნენ, ე. ი. სარიგაოდ აქცევდნენ.

უმემკვიდრეოდ დარჩენილ მამულზე ბიძაშვილების დაპატრონების გვიანობამდე შემონახულ ამ ჩვეულებაში შორეული გამოძახილია იმისა, რაც საკმაო სიცხადითაა ნათევამი „ძეგლის დადების“ 27-ე მუხლში. ამ მუხლის მიხედვით, თუ პატრახტი (ცარიელი, გაუშენებელი იდგილი) და მამული (უძრავ-მოძრავი ქონების მემკვიდრეობითი მფლობელობა) ბეითალმანად (უპატრონოდ) დარჩებოდა, ის ერგებოდა მისი ყოფილი პატრონის გვარის კაცთა შორის ახლო ნათესავებს, რომლებიც ჭირსა და ლხინში ამ ბეითალმანის პატრონის „თანამდგომნი“ (დამხმარენი) იყვნენ. თავის მხრივ ამ ახლო ნათესავებს ევალებოდათ ქეეყნისათვის არ დაეკლოთ საჯარო (საქვეყნო ბეგარა), სალაშქრო (სალაშქრო სამსახური) და საბეგრო (საბატონო სამსახური). თუ გვარის კაციც აღარ



დარჩებოდა, დარბაზი ბეითალმანს უბოძებდა სხვას, ვინც მარტინ რებდა სალაშქრო სამსახურსა და საჯარო ბეგარას. თუ პირობებისა ბა არ იყო ღირსი დარბაზით ბეითალმანის ბოძებისა, ზემოხსენებული პირობით ამ საკითხს სწყვეტდნენ ერისთავი და გამგებელი.

აღნიშნული ორნისძიებაც მიზნად ისახავდა ფეოდალური წერიგის დანერგვას (საჯარო, სალაშქრო, საბეგრო), მაგრამ ამ მიზნის განხორციელებისას კანონმდებელს საჭიროდ მიაჩნდა ადგილობრივი თემური ტრადიციების გათვალისწინებაც. ამიტომაა, რომ ბეითალმანზე პრიორიტეტს ანიჭებს მისი ყოფილი პატრონის ახლო ნათესავებს (გუარის კაცნი, „ერთგუარნი“, მეყვსნი“). აღნიშნულ გარემოებას საგანგებო ყურადღება მიაქცია ნ. ხიზანაშვილმა და მიუთითა, რომ მთანეთში უფრო დიდხანს იყო შენარჩუნებული ოჯახის კავშირი გვართან, რაც თავის მხრივ აპირობებდა ბეითალმანზე ნათესავების უფლებას, განსხვავებით ბარისაგან, სადაც ეს კავშირი უფრო ადრე მოისპო და ბეითალმანზეც უშუალოდ მეფის უფლება ვრცელდებოდა. ნ. ხიზანაშვილის მართებული კონცეფციით, განსხვავებით საქართველოს მთანეთისაგან, სადაც თემური საზოგადოების ნორმები ხანგრძლივად ინახავდნენ თავს, სადაც „კავშირი ოჯახსა და გვარს შორის ეხლაც კი (იგულისხმება XIX საუკუნის 80-იანი წლები — ვ. ი.) მტკიცედ არსებობს“ (გვ. 166), სადაც „ფეოდალიზმი ისრე არასოდეს არა ყოფილა აღორძინებული, როგორც ვაკე ქართლში“ (გვ. 162), საქართველოს ბარში „როგორც ვახტანგის დროს (ნ. ხიზანაშვილს მხედველობაში აქვს ვახტანგ მეექვსის სამართალი — ვ. ი.), ის ადრეც კერძო ოჯახს თავისი განცალკევებული საკუთრებითი კავშირი აღარა ჰქონდა გვართან, გვარმა ადგილი დაუთმო პირს, საზოგადომ ქერძოობას, ასე ვსოქვათ, იურიდიულმა „მე“-მ სძლია იურიდიული „ჩვენ“ (გვ. 167).

ეთნოგრაფიული მასალისა და სამართლის ძეგლების ანალიზის საფუძველზე მიღებულმა დებულებამ იმის შესახებ, რომ საქართველოს მთანეთში ფეოდალური ურთიერთობა ვითარდებოდა უშუალოდ თემური წყობილების რღვევის ნიადაგზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი ინსტიტუტების, მათ შორის ოჯახის ფორმათა შესწავლისათვის, სათანადო შეფასება მიიღო ახალ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა საზოგადოებრივი ურთიერთობის



ძირითადი საკითხების კვლევის შედეგად მხილებულ იქნა ნაშენები ნაშვილის ნაშრომის გამოქვეყნებიდან დიდი ხნის შემდეგ ზოგიერთი ქართველი საბჭოთა ეთნოგრაფის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა უსაფუძვლობა ერთი მხრივ საქართველოს მთიანეთში გვაროვნული წყობილების დაშლის გახანგრძლივებული პროცესის, ხოლო, მეორე მხრივ, აღრემონათმფლობელური საზოგადოების არსებობის შესახებ.

ამგვარად, მთიულეთ-გუდამაყარში გადმონაშთას სახით შემონახული საოჯახო თემის ერთ-ერთ ძირითადსა და დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა ქონებაზე საერთო საკუთრება, რაც გამოხატულებას პოულობდა მოწილეებს შორის ქონების თანაბრად გაყოფის პრინციპში. ამასთან ერთად, ოჯახში არსებობდა პირადი საკუთრების ელემენტებიც, რომელთა ზრდის საფუძველზე ვითარდებოდა კერძო საკუთრება, როგორც საოჯახო თემის დაშლის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. ასეთი პროცესი ლოგიკური შედეგი იყო ჯერ ფეოდალური, ხოლო შემდეგ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა. კლასობრივი ურთიერთობის სხვა ფორმაციის, სახელდობრ მონათმფლობელობის ნაკვალევი მთიულეთ-გუდამაყარში არსებულ საოჯახო თემს არ დასტყობია. ამ მომენტის მიხედვითაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მონათმფლობელობის, კერძოდ აღრემონათმფლობელური ფორმაციის არსებობის შესაძლებლობა გამორიცხულია.

## საოჯახო თეატრის გადამოხაზული ჩანას ხეობის ჩართვები მთიაღები

ქსნის ხეობა დაახლოებით 70 კილომეტრზეა გაჭიმული და თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ორი რაიონის ფარგლებში შედის. მისი ზედა ნაწილი, ქსნის სათავიდან ოძისამდე (ოძისი შედის დუშეთის რაიონში) ეკუთვნის ლენინგრადს, ხოლო ქვედა ნაწილი მცხეთის რაიონს. ქსნის ხეობა შიდა ქართლის ნაწილია, რომელიც ისტორიულად ქსნის საერისთაოს ძირითად ტერიტორიას წარმოადგენდა. ეს საერისთაო მოიცავდა 11 ხეობას (ქსნის, ცხრაძმის, ქარჩხის, უაშტარის, ჭურთის, ალევის, საფერშეთის, ქოლოთ-ქვიტკირის, ლეხურის (ისროლის და მეჯულის ხეობებიანად), გვერდისძირის, პატარა ლიახვის) მათში მდებარე 240 სოფლით.

ზემოხსენებულ ხეობებში ცხოვრობენ ქართველები და სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული ოსები. ერთნაირ სამეურნეო პირობებში საუკუნეების მანძილზე ამ ორი ხალხის ცხოვრებამ გარკვეული კვალი დაამჩნია მათ ყოფას და კულტურას. ჩრდილო კავკასიის მთიანეთიდან ემიგრირებულმა ოსებმა ქარგად შემოინახეს რა სამშობლოდან მოყოლილი მამაპაპური ტრადიციები, ახალ საცხოვრებელ გარემოში ასევე შეითვისეს და შეისისხლხორცეს დამხედური ქართული მოსახლეობის ყოფისა და კულტურის ნირჩები. მეზობლური სიახლოეს პირობებდა აგრეთვე ქართველ მთიელთა შეირ ოსური წეს-ჩვეულებების გაცნობას და რიგ შემთხვევაში მათ გამოყენებასაც.

აღნიშნულ გარემოებათა გამო ქსნის ხეობა უაღრესად საინტერესო კუთხეა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით შესაძლებელია ერთი მხრივ ქართველებისა და ოსების ყოფის ცალ-ცალკე შესწავლა თითოეული ამ ხალხის თვითმყოფადი ნიშნების გამოვლინებით, ხოლო, მეორე მხრივ, მათ



ხანგრძლივ მეზობლობაში ჩამოყალიბებული კულტურული მეცნიერებების რიული ურთიერთობის ხასიათის გარკვევა ზოგადეავკასიურ მოვლენათა ჩვენებით.

ძველი ყოფის შესწავლისა და ამ მიმართულებით საკითხის კვლევისათვის საგანგებო ყურადღების ღირსია ქსნის ხეობის მთაბენეთი, ე. ი. ხეობის სათავეები, რომელიც, საკუთრივ მდ. ქსნის ხეობასთან ერთად, მოიცავს ცხრაძმის, ქარჩოხის, უამურისა და ჭურთის ხეობებს. ამ ხეობებში 1966 წლის ზაფხულში იმუშავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციამ. რომლის მიზანს შეადგენდა მთიელთა მატერიალური კულტურის, მეურნეობის ფორმებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირითადი საკითხების შესწავლა უშუალო დაკვირვებისა და გამოკითხვის გზით. საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა საოჯახო ყოფა, რის შესახებაც მასალები შევაგროვეთ როგორც ქართულ, ისე ოსურ მოსახლეობაში.

ქსნის ხეობაში ჩამოსახლებული ოსების, ისევე როგორც საჭართველოს სხვა კუთხეებში (თრუსოს, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში) და ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსების საოჯახო ყოფის შესახებ შეკრებილი მასალები განხილული გვაქვს სპეციალურ მონოგრაფიაში<sup>1</sup>. ამჟამად ჩვენს მიზანს შეადგენს მკითხველს გავაცნოთ მხოლოდ ოდითგანვე მკვიდრი ქართველი მთიელების საოჯახო ყოფა მისთვის დამახასიათებელი მამაპაპური ტრადიციებით.

ქსნის ხეობის ქართველ მთიელთა საოჯახო ყოფის შესახებ სპეციალური ლიტერატურისა და ისტორიული დოკუმენტების უქონლობის გამო ერთადერთ წყაროდ გვესახება აღგილზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც უმთავრესად შეიცავს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ფაქტობრივ მონაცემებს. აღგილზე აღწერილი ყველა ოჯახი თითქმის აღნიშნულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. უფრო ძველი დროის ოჯახებზე მხოლოდ ზოგიერთ ხალხურ გადმოცემაში შეიძ

<sup>1</sup> ვ. იონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, ნახებისა და ოსების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, ნაწილი მესამე.



ლება შევხვდეთ ცნობებს, რომლებიც მიგვითოთებენ საორგანიზაციული ფის ხასიათზე ზოგადად, მაგრამ არ შეიცავენ კონკრეტულ ეთნო-გრაფიულ მონაცემებს. ამიტომ ქვემოთ იმ ოჯახების აღწერილობით შემოვითარებულებით, რომელთა შესახებ ველზე მუშაობის პირობებში რამდენადმე სრული მონაცემები მოვიპოვეთ. ამ მონაცემების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ საკვლევ რეგიონში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში და კავკასიის ხალხებში, ინდივიდუალურ ოჯახს, როგორც ოჯახის გაბატონებულ ფორმას, დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. ამდენად, საოჯახო თემი, რომელიც თავისი ბატონობის პოზიციებს ინდივიდუალურ ოჯახს უთმობს კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების დროიდან, ქსნის ხეობის ქართველ მთიელთა XIX საუკუნის ყოფაში მხოლოდ გადმონაშთის სახით ინარჩუნებდა არსებობას.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად ქსნის ხეობის სათავეებშიც ინდივიდუალური ოჯახის ფარგლებში ვხედავთ ერთ საქორწინო წყვილს და მათ შვილებს. მშობლებთან ერთად შვილების ცხოვრება გრძელდება ქალების გათხოვებამდე და ვაჟების დაქორწინებამდე. სიმწიფის ასაკში შესვლის დღიდან შვილები თანდათანობით ცალკე გამოსვლას იწყებენ და საკუთარ ოჯახებს ქმნიან. ზოგჯერ ხდება ცოლიანი შვილების რამდენიმე ხნით მშობლებთან ყოთნა, მაგრამ მხოლოდ დროებით. როგორც წესი, ინდივიდუალური ოჯახისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს მშობლების სიცოცხლეშივე შვილების ცალკე გამოყოფა, რის გამო ამგვარი ოჯახის არსებობა გრძელდება მხოლოდ ადაშიანის დაქორწინებიდან მისი შვილების დაქორწინებამდე. ამის შემდეგ ოჯახის დაყოფის ბაზაზე კვლავ ახალი ოჯახების შექმნის პროცესი იწყება. დღევანდელი ინდივიდუალური ოჯახისათვის დამახასიათებელი ეს თავისებურება ასევე ნიშანდობლივი იყო ამტიპის ოჯახისათვის გასულ საუკუნეშიც. ამიტომ მკითხველისათვის ისედაც კარგად ცნობილი ამგვარი ოჯახის დახასიათებაზე შეჩერება არ ღირს. სამაგიეროდ ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა ქართული დიდი ოჯახი, რომელიც ქსნის ხეობის მთიელთა ყოფაშიც XIX საუკუნის ბოლომდე ინარჩუნებდა არსებობას, როგორც საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა.

ამგვარი ოჯახის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენდა რამდენიმე საქორწინო წყვილისა და მათი შთამცემული ბის სამ-ოთხ თაობამდე ერთად ცხოვრება. ადგილზე გამოკითხვით აღწერილი მრავალი ასეთი ოჯახიდან საილუსტრაციოდ შეიძლება გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

სოფ. ღორეთკარში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ერთ-ერთ ასეთ გაუყოფელ ერთეულს წარმოადგენდა კაჭიურების ოჯახი. მათი პირვანდელი გვარი ქოქაშვილი ყოფილა და მთიულეთის სოფ. მლეთაში უცხოვრიათ. მლეთიდან ჭურთის ხეობაში გადმოსულა და სოფელ გავაზში (სოფ. ღორეთკარის პირდაპირ, მდ. ჭურთულას მარცხენა სანაპიროზე) დასახლებულა ჩვენი მთხრობლის — სიკ ზაქარიას ძე კაჭიურის (დაბად. 1891 წელს) პაპის — იაკობის მამა. იაკობის მამის სახელი დავიშვებას მისცემია, მაგრამ მთხრობლის ნაამბობიდან ის კი სრულიად ნათლად გამოჩენდა, რომ იაკობის შთამომავლობას სოფ. გავაზში გაუყრელად უცხოვრია ოთხ თაობამდე. პირველ თაობას ეკუთვნოდნენ იაკობი და მისი მეუღლე სალომე. მეორე თაობას შეადგენდნენ იაკობის შვილები — გიგოლი და ზაქარია მათი ცოლებით. მესამე თაობაში შედიოდნენ ერთი მხრივ გიგოლის ოთხი ვაჟი (ვასო, ნიკო, გიორგი, ალექსანდრე) და ორი ქალი, ხოლო, მეორე მხრივ, ზაქარიას ოთხი ქალი და სამი ვაჟი (სოსე, სიკო, ლექსო). რაც შეეხება მეოთხე თაობას, ოჯახის გაყოფის მომენტში მის რიგებში იმყოფებოდნენ: გიორგი, ლენტო, მიშა, იასონი, ნოდარი, ეთერი, ლიზა, (ვასოს ვაჟები და ქალები) ნინო, მარო (ნიკოს ქალები).

მთხრობლის ჩვენებაზე დაყრდნობით კაჭიურების ოჯახში 29 სული აღმოჩნდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ოჯახის წევრთა რაოდენობა კვალებადობას განიცდიდა ქორწინების, გამრავლების თუ სიკვდილიანობის გამო. აღნიშნული მომენტების გათვალისწინების შედეგად გამოირკვა, რომ გაყრის დროს ოჯახში 23 სული ირიცხებოდა. ასეთივე სხვაობა შეინიშნება სხვა ოჯახების მაგალითზედაც, რასაც არ შეიძლება მივანიშოთ არსებითი მნიშვნელობა. მთავარი მაინც ისაა, რომ ოჯახი რამდენიმე თაობას აერთიანებდა, რაც თავისთავად მრავალსულიანობასაც აპირობებდა, ხოლო კაჭიურების ოჯახისათვის ნიშანდობლივი ეს ორი მომენტი — მრავალსულიანობა და ოთხ თაობამდე გაუყრელად ცხოვ-



რება — გადმონაშთური სახეობის საოჯახო თემის გვიანობაშესაჭალა  
სებობის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმატებულ  
გენდა.

სოფ. დორეთკარში კაჭიური დღეს მხოლოდ ერთი კომლია,  
რომელიც სოფ. გავაზიდან ჩამოსახლებულა ზემოთ აღწერილი  
დიდი ოჯახის დაყოფის შემდეგ. ამ გვარიდან გაუყრელი ოჯახის  
არსებობა დორეთკარში არ დადასტურდა. სამაგიეროდ აქ გაუყ-  
რელად უცხოვრიათ ილურიძეებს, რომლებიც დღესაც სოფლის  
მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. დორეთკარში მცხოვრე-  
ბი 18 კომლიდან ერთი კომლია კაჭიური, ერთი შარმადანი, ერთიც  
ხუბულური, ხოლო დანარჩენი 15 კომლი ილურიძეები არიან.

ილურიძეებს აღრე უცხოვრიათ ჭურთის ხეობის სოფლებში:  
მეცყერში, აბრამანთკარში და ლევანაანთკარში. ამ გვარიდან  
დორეთკარში პირველი დასახლებულა ლევანაანთკარიდან თავისი  
ოჯახით მოსული სოსიერი ილურიძე (1894 წელს დაბადებული  
მთხრობლის — ტარიელ ანდროს ძე ილურიძის პაპა). სოსიერის  
ოჯახს უცხოვრია ორსართულიან ბანიან სახლში. მისი შვილები-  
დან მთხრობელმა დაგვისახელა: პავლე, ლევანი, გიორგი, ანდრო  
და მოსე. ამათგან პავლე და ლევანი უცოლშვილონი გარდაცვლი-  
ლან. დანარჩენი ძმებიდან გიორგის პყოლია: იაგორა, სიდო, ქეთო,  
დარო, ილო, საბე, ბაბო და გიგლა. ანდროს პყოლია ერთი ქალი  
(ნატო) და ხუთი ვაჟი (ზაქრო, გარსო, ტარიელი, ერმო, ვარდან),  
ხოლო მოსეს ერთი ვაჟი (ბიძი) და ექვსი ქალი (მაგდა, სალუ, ბა-  
ბალე, ნინა, პელო, მარუსა).

ამ შემთხვევაშიც მთხრობლის ჩვენება ოჯახის შემადგენლო-  
ბის სრულ სურათს არ იძლევა. გაყრის დროისათვის ილურიძეების  
ოჯახიდან ზოგი გათხოვილი იყო, ზოგიც გარდაცვლილი, მაგრამ  
ის მაინც ცხადია, რომ ეს მრავალრიცხვანი ოჯახი სამ თაობას აერ-  
თიანებდა, რომლის განაყოფები დღეს სოფ. დორეთკარში 15  
ოჯახიდ ცხოვრობდნენ.

გაუყრელად ცხოვრების ტრადიციას ახლო წარსულამდე ინარ-  
ჩუნებდნენ სოფ. ლარგვისში მცხოვრებნიც: მელთაური, ზარიძე,  
ბუთხუზი, რუსიტაშვილი, ხუციშვილი, ქენქაძე, ოდიშვილი, ბერი-  
ანიძე, სუხაშვილი, ბურდული და სხვა, რომელთაგან შეძლება  
გავეცნოთ თუნდაც მელთაურების დიდ ოჯახს.



მელთაურები მთიულეთის სოფ. წიფორიდან წამოსულადან ქსნის ხეობის სოფ. ცხავატში დამკვიდრებულან. ცხავატიშვილები გვისში ამოსულა ყიდა მელთაურის (დაბად. 1894 წ.) მამა ალექსი მაშინ, როდესაც ყიდა 15 წლისა ყოფილა. ამ დროისათვის ლარგვისში მხოლოდ შეიძ კომლს უცხოვრია.

ჯერ ცხავატში, ხოლო იქიდან ლარგვისში გადმოსახლებას შემდეგაც გაუყრელად უცხოვრიათ ალექსის და მის ძმა მათეს. მათე უშვილო ყოფილა და 50 წლის ასაქში გარდაცვლილა. ალექსის კი ჰყოლია შვილები: ანა, ბაბო, ყიდა, თედო, ვანო და მაგდო. ამათგან ვანო ცხავატშივე გარდაცვლილა. ოჯახის გაყრამდე ყიდას ჰყოლია ოთხი ვაჟი, რომელთაგან ფირუზა და გოგა ცოლშვილიანები ყოფილან, ხოლო შაქრია და რომანი უცოლოები. გაყრამდე თედოსაც ჰყოლია ოთხი ვაჟი: ნიკა, არჩილი, შოთა და მირანა. ოჯახის ერთად ყოფნამდე მათ შორის მხოლოდ ნიკას გაუჩენია ცოლშვილი, ხოლო დანარჩენები უცოლოები ყოფილან.

როგორც დამოწმებული მასალიდან ჩანს, ოჯახის გაყრამდე ერთ ჭერქვეშ სამი თაობა იმყოფებოდა და მეოთხე თაობა იღვამდა ფეხს. პირველი თაობის წარმომადგენლებია ალექსი და მათე. მეორე თაობას შეადგენდნენ ვანო (ადრე გარდაცვლილი), ყიდა და თედო. მესამე თაობას ეკუთვნიან ყიდას შვილები (ფირუზა, გოგა, შაქრია, რომანი) და თედოს შვილები (ნიკა, არჩილი, შოთა, მირანა), ხოლო მეოთხე თაობის წარმომადგენლებია ფირუზას, გოგას და ნიკას შვილები.

დიდი ოჯახების არსებობა დადასტურდა სოფ. ჩიტიანშიც, სადაც მხოლოდ ჩიტიშვილები მოსახლეობენ. მათ ადრე უცხოვრიათ მთიულეთის სოფ. შონჩოში და ნარიმანიძეების გვარს ეკუთვნოდნენ. ოთხი ძმა ნარიმანიძე, რომელთაგან ერთ-ერთი მღვდელი ყოფილა, შონჩოდან ქსნის ხეობაში გადმოსახლებულან. ერთი მათგანი დასახლებულა ადგილზე, რომელსაც ეწოდება ა ხ ლ ო უ რ ნ ი. მეორე ძმა დამდგარა მარტიანთში, მესამე დამკვიდრებულა უკანუბანში, ხოლო მეოთხე ძმას საცხოვრებლად აურჩევია სოფელი, რომელსაც შემდეგში ნარიმანიძეების შემადგენლობიდან გამოყოფილი ახალი გვარის სახელის მიხედვით უწოდეს ჩიტიანი. ამ ოთხი ძმის შთამომავლობა დღესაც იცავს სახლიკაცობისათვის (ერთი მოდგმის ნათესავებისათვის) სავალდებულო ტრადი-



ციებს. ისინი ურთიერთშორის ქალს არ თხოვლობენ, ხომ არ გვადებიათ თელმირონით ერთიმეორესთან კავშირს მისდევენ. წარსულში არც წინაპართა ხატს ივიწყებდნენ და სალოცავად სოფ. შონჩოში დადიოდნენ. სიშორის თავიდან აცილების მიზნით მათ გადაუწყვეტიათ ამ ხატის ნიშის მოწყობა თავიანთი სამოსახლოს ახლოს. ამასთან დაკავშირებით ხარი დაუკლავთ, სათანადო რიტუალი შეუსრულებიათ და მამა-პაპათა სალოცავის მიტოვების გამო ღმერთისათვის პატიება უთხოვიათ. მაგრამ როგორც მთხრობლებმა აღნიშნეს, ამით ვერაფერი გაუწყვიათ, „ხატი გამწყრალა“, მას ჩიტიანთ გვარი „დაუმინეზებია“ და შეშინებულ ჩიტიშვილებს ისევ წინაპართა სალოცავში სიარული განუახლებიათ.

ჩიტიშვილების გვარში შემავალი ოჯახები გვიანობამდე იცავდნენ გაუყრელად ცხოვრების ტრადიციას. გიორგი ბეროს ძე ჩიტიშვილის (დაბად. 1898 წ.) გადმოცემით, ერთ-ერთ დიდ ოჯახს მეთაურობდა მისი პაპა გიორგი, რომელსაც ჰყოლია შვიდი შვილი: ალექსა, ზაქარა, ბერო, ვანო, ნიკო, ანდრო, და ტატო. ოჯახის გაყრამდე ალექსას ჰყოლია 19 შვილი, ზაქარას — ორი ვაჟი (ნიკალა, ლევან) და ორი ქალი, ბეროს — ოთხი ვაჟი: ვიორგი, სოსე, შაშო და თედო, ხოლო ვანოს ერთი ვაჟი — სანდრო. ოჯახის გაყრამდე ტატო უცოლშვილოდ გარდაცვლილა, ანდრო მოუკლავთ, ხოლო დაუცოლშვილებელი ნიკო ოჯახის გაყრიდან ერთი კვირის შემდეგ გარდაცვლილა. ოჯახის გაყოფის დროს, როდესაც მისი უფროსი ვიორგიც გარდაცვლილი იყო, ხოლო ჩვენი მთხრობელი 12 წლისა ყოფილა, ოჯახი ითვლიდა 32 სულს.

ჩიტიშვილების ერთ-ერთ ოჯახს გაუყოფლად უცხოვრია აგრეთვე სოფ. უკანუბანში. მთხრობელი ვიორგი ივანეს ძე პავლია-შვილი (დაბად. 1905 წ.) 10 წლისა ყოფილა, როდესაც ჩიტიშვილების ბოლოდროინდელი დიდი ოჯახი გაყრილა. ერთად უცხოვრიათ ძმებს — გაბოს და სიხას. სიხას ჰყოლია ორი ცოლშვილიანი ვაჟი — ვიორგი და ილიკო. გაბოს კი ჰყოლია სამი ვაჟი — ნიკო, ზაქრო და მიხა, რომელთაგან ნიკო და ზაქრო ოჯახის გაყრამდე ცოლშვილიანები ყოფილან, ხოლო მიხა უცოლშვილო. ოჯახის გაყრამდე ამ სამი ძმიდან შაქრო გარდაცვლილა. მთხრობლის ცნობით, გაყრის მომენტში ოჯახი 25 სულისაგან შედგებოდა.

ამავე მთხრობლის ცნობით, ამ სოფელში გაუყრელად უცხოვრიათ პავლიაშვილებსაც. მთხრობელი 20 წლისა ყოფილა, როდე-



საც პავლიაშვილების 23-სულიანი ოჯახი გაყრილა. ეს ოჯახი თიანებდა ორი ძმის — ივანეს და საკას შთამომავლობას, რომელიც სამ თაობას მოიცავდა.

დამოწმებული ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით აშეარალ გამოჩნდა, რომ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ქსნის ხეობის სათავეებში მცხოვრებ ქართველ მთიელებს ჯერ კიდევ მთლიანად მოშლილი არ ჰქონიათ გაუყრელად ცხოვრების მამაპაპური ჩვეულება, მაგრამ ეს წესი მარტოოდენ ხეობის სათავეების მკვიდრთა ყოფისათვის როდი იყო დამახასიათებელი. აღნიშნულ პერიოდში დიდი ოჯახების არსებობა დაღასტურდა აგრეთვე ხეობის შუა ზოლის მოსახლეობაშიც. ასეთებად გვესახება გივიანთ (გიგაურების) დიდი ოჯახი სოფ. იკოთში, ვვრიტიშვილების დიდი ოჯახი ზენიკოთში (ზემო იკოთი), ქურთაულების გაუყრელი ოჯახი სოფ. მოდებანში, ქასოშვილების დიდი ოჯახი სოფ. მოჩხედანში და მრავალი სხვა, რომელთაგან სანიმუშოდ შეიძლება გავეცნოთ ქასოშვილების ოჯახს.

ამ ოჯახის ხელმძღვანელი ლექსა და მისი ძმა ბიძინა ითვლებოდნენ პირველი თაობის წარმომადგენლებად. ლექსას შვილები (ვანკა, იოსება, მიხა) და ბიძინას ვაჟები (კოტე, პავლე, სოლომონა, ყარამანა, ნიკო) შეადგენდნენ მეორე თაობას, ხოლო მესამე თაობის შემადგენლობაში შედიოდნენ: ანდრო, მარტია, პეტრო (ვანკას შვილები); იაგორა, ციცი (მიხას შვილები); გიძილა, საბა, დაკობა, მილი (პავლეს შვილები). ასე გამოიყურება ქასოშვილების ოჯახის შემადგენლობა არასრული აღწერილობის მიხედვით, მაგრამ მთხოვნებელთა ჩვენებიდან ის კი ნათლად ირკვევა, რომ გაყრის წინ მასში გაერთიანებული ყოფილა 54 სული და ერთდროულად 12 აკვანი მდგარა, რაც ოჯახის რიცხობრივი სიდიდის მანიშნებელია.

განხილული ეთნოგრაფიული მასალა საეჭვოს არ ხდის იმ გარემოებას, რომ საქველევ რეგიონში გადმონაშთის სახით შემორჩენილი დიდი ოჯახის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენდა მრავალსულიანობა და რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრება. ეთნოგრაფიულ მონაცემებს მხარს უჭერს ქსნის საერისთავოს 1781 წლის სტატისტიკური აღწერილობაც<sup>1</sup>. ეს დოკუმენტი გვიჩვენებს

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 45, თბილისი, 1951.



აღწერილი ოჯახების წარმომადგენელთა რიცხობრივ სხვაობების დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობით უნდა აიხსნას. ასევე დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობამ განაპირობა ის გარემოება, რომ ზემოთ დამოწმებული 1886 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვითაც, ქსნის ხეობაში ოჯახი საშუალოდ 8—12 სულისა-გან შედგებოდა. მარტოოდენ ინდივიდუალური ოჯახების არსებობის პირობებში ასეთი საშუალო სიდიდეები გამორიცხულია. უფ-რო მეტიც, ინდივიდუალური ოჯახი არამც თუ საშუალოდ 8—12 სულს მოიცავდა, არამედ ასეთ სულადობას იშვიათად აღწევდა. მაშასადამე ქსნის ხეობის XVIII—XIX ს. სტატისტიკაც ეთ-ნოგრაფიულ მასალას ეხმაურება და ინდივიდუალურ ოჯახთან ერ-თად გადმონაშთური ფორმით შემონახული საოჯახო თემის არსებობის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

\*

ქსნის ხეობაში ოჯახის ძირითად საარსებო საშუალებას წარ-მოადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რომელთა განვი-თარების დონე განისაზღვრებოდა ხეობის გეოგრაფიული მდება-რეობით და სამეურნეო პირობებით. სწორედ ეს მომენტი ჰქონ-და მხედველობაში ვახუშტი ბაგრატიონს, როდესაც ხეობის მეურ-ნეობას გეოგრაფიულ გარემოსთან კავშირში განიხილავდა. მისი აღწერილობის თანახმად, ქსნის ხეობა ზებეყურის მთის ქვემოთ ხასიათდება ტიპიური ბარული მეურნეობით. ამ მოსავლიან ზოლში ბალ-ვენახებსაც აშენებენ. ზებეყურის მთის ზემოთ კი ხეობა ვიწ-რო და ტყიან-კლდიანია, სხვა მთიანი იდგილების მსგავსად მწირია და არც მებაღეობა-მევენახეობას მისდევენ. საკუთრივ ქსნის ხეო-ბის ზემო წელთან ერთად ასევე მთური სამეურნეო პირობები არსებობდა ცხრაძმის, უამურისა და ჭურთის ხეობებში (გვ. 68—69).

ქსნის ხეობის მეურნეობის დახასიათებისას გეოგრაფიულ გა-რემოს ყურადღებას აქცევდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის დამკვირვებლებიც. გაზეთ „ივერიაში“ (1890 წ. № 197) გამოქვეყ-ნებულ ერთ-ერთ უავტორო კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ ქსნის ხეობის მცხოვრებნი მისდევენ ხენა-თესვას და მესაქონლეო-ბას, უმთავრესად მეცვარეობას. იქვე ხაზგასმულია, რომ ხეობის



ქვედა ნაწილში მევენახეობა-მებალეობასაც მნიშვნელოვანი უკირავს.

ხეობის მთისა და ბარის ასეთსავე დახასიათებას გვაძლევს კ. შალიკვი და იმასაც აღნიშნავს, რომ უმიწობით ძალზე გაჭირვებული მთიელები პურს დამატებით ქართლში ყიდულობდნენ. ხეობის მთიან ზოლსა და ბარს შორის მეურნეობრივი განსხვავების ნიშნად ავტორს მიაჩნია ის ფაქტორიც, რომ მთაში იყენებდნენ ორი უღელი ხარის პატარა გუთანს, ხოლო ბარად ხნავდნენ ქართულ გუთანში შებმული რვა უღელი ხარით<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ვახუშტი და XIX საუკუნის დამკვირვებლები ერთიმეორისაგან მკვეთრად განასხვავებენ ქსნის ხეობის სამეურნეო პირობებს მისი მთისა და ბარის მიხედვით. ეს მომენტი გათვალისწინებული აქვთ საბჭოთა მკვლევართაც.

ეთნოგრაფიული კვლევის საფუძველზე ქსნის ხეობის სამეურნეო დახასიათება ვერტიკალური ზონალობის ჭრილში მოგვცა გ. ჩიტაიამ. როგორც იგი წერს. „ქსნის ხეობაში მოცემული იყო ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგრადე), მთის ძირის (დაახლოებით ლარგვისამდე) და მთის ზოლისა (ლარგვისზევით)<sup>2</sup>. გ. ჩიტაიას დაკვირვებით, „ეს მხარე (ლარგვისსზევით — ვ. ი.) ტიპიური მთის ზოლია, სადაც წამყვანი როლი მეურნეობაში მესაქონლეობას ეკუთვნის, ამიტომ მიწისმოქმედება აქ მეორე რიგის მეურნეობაა“ (გვ. 484).

გ. ჩიტაიას ნაშრომის ამავე გვერდზე ვკითხულობთ: „ქსნის ხეობის მთის ზოლში ტიპიური ალბიური ლანდშაფტის მეურნეობა იყო. მთის ზოლის პირობებში სახნავი მიწის მეტისმეტად სიმკირის გამო მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო ბუნებისაგან გამოეგლიჭა საყანედ გამოსადეგი მიწის თითოეული ნაკუზი“.

სოფ. დადიანეთის მაგალითზე გ. ჩიტაია იქვე გვაცნობს მიწის დამუშავების წესსაც: „აქ იციან „ანეული“ (ზაფხულში — ივლისი,

1 К. Шаликов. Описание Ксанского участка, Душетского уезда, Тифлисской губернии. «Записки Кавказского отдела императорского русского географического общества», кн. XVI, Тифлис, 1894, 249, 255.

2 გ. ჩიტაია, ქსნური მთის გუთანი, „ენიმქის მომბე“, ტ. V—VI, თბილისი, 1940, 486.



აგვისტო). ანეულად ხნავენ მეტ წილად „ზვარეში“... იციან აუტომატები „ნაოში“ (სექტემბერში; ნაოშიაც მეტ წილად ზვარეში ხნავენ) და „ახალთესლი“ (გაზაფხულზე) იხვნება მეტ წილად „ჩრდილებში“ (ჩრდილოეთის მხარე)“.

გ. ჩიტაიას არ ეთანხმება დ. გვრიტიშვილი და თავის მხრივ შენიშვნაებს: „გ. ჩიტაია ძირითადად სწორია, მაგრამ ზოგი რამ არ უნდა იყოს ზუსტი; მაგალითად, „ანეული“ მართლაც იციან „ზვარეში“, მაგრამ არა მთელ „ზვარეში“, არამედ „ზვრის“ იმ ადგილში, სადაც ვაკეა. საქმე იმაშია, რომ „ანეული“ ივლის-აგვისტოში იხვნება, უნდა დათესონ კი ოქტომბერ-ნოემბერში. ამის გამო, თუ ფერდობი მოხნეს, მოსალოდნელია დიდი ნიაღვრების დროს ხნული ისე გააფუჭოს წყალმა, რომ არა მარტო საყანედ, არამედ მიწადაც აღარ გამოდგეს“<sup>1</sup>.

დ. გვრიტიშვილი ამავე ნაშრომში შეეხმ მეურნეობის ცალკეულ სახეობათა განვითარების დონეს და ვახუშტის ცნობებზე თუ სხვა ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით დაასკვნა: „ქსნის საერისთავოს მთიან ზოლში მემინდვრეობა ნაკლებად იყო განვითარებული, აქ ის მხოლოდ დამხმარე ხასიათს ატარებდა, ხოლო მეურნეობის ძირითად დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა“.

(ვვ. 151).

1968 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში („ქსნის ხეობა“) ს. მაკალათია ქსნის ხეობის ზემო და ქვემო წელს ერთმანეთისაგან განასხვავებს როგორც მისი მთური და ბარული მეურნეობით, ისე დასახლების ფორმით და სოციალური ნიშვნებით. მისი აღწერილობის თანახმად, ქსნის ხეობის „ზემო მხარე მთაგორიანია, ლამაზი ტყით მოსილი, მწევრვალები კი აღბური მდელოთი ამწვანებული. ქვემო მხარე წარმოადგენს დიდ ვაკეს, სადაც გაშლილია მუხრანის ველი ნაყოფიერი ბალ-ვენახებით“ (გვ. 3). მისივე დაკვირვებით, ქეობის ზემო და ქვემო ნაწილის სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად „ხეობის სათავეებისათვის დამახასიათებელი იყო შეჯგუფული დასახლება, ხოლო ქვემოთ სოფლები უფრო გაშლილად იყო დასახლებული“ (გვ. 28). ამ შეჯგუფული (მთური) დასახლების ერთ-ერთ სოციალურ მომენტად ს. მაკალათიას მიაჩინია

<sup>1</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 153.



სოფლების მონოგენურობა, რაც ნაჩვენები აქვს ქარჩოხის, წევრების მაგალითზე (გვ. 108), ხოლო ცალკეული სოფლების (ლიანგვის სი, დაღიანეთი) თანამედროვე მონაცემების საფუძველზე მეურნეობის წამყვან დარგად თვლის მესაქონლეობას (გვ. 81, 100).

ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობაზე დაყრდნობით გ. თო- გოშვილი ქსნის ხეობაში, მისი ზემო და ქვემო ნაწილის შესაბამი- სად, მთურსა და ბარულ მეურნეობას ხედავს, რომელთაგან მთუ- რი მეურნეობა წარმოადგენდა ქსნის ხეობის სათავეებში მცხოვრე- ბი ოსების საარსებო წყაროს<sup>1</sup>.

ცენტრალური კავკასიის მთიელთა საოჯახო ყოფის შესწავლი- სადმი მიძღვნილ ზემოხსენებულ ნაშრომში (გვ. 212—245) ჩვენც მოგვეცა შესაძლებლობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემე- ბის საშუალებით გვეთქვა, რომ ქსნის ხეობის სათავეებში, ისევე როგორც ამიერ და იმიერკავკასიის მთიანეთში მცხოვრები ოსების ძირითად საარსებო წყაროს წარმოადგენდა მესაქონლეობა და მთური მიწათმოქმედება, რომელთაგან თავისი ხვედრითი წონით მესაქონლეობას წამყვანი აღიღილი ეყუთვნოდა.

1966 წლის ზაფხულში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით იგივე შეიძლება ითქვას ქსნის ხეობის სათავეებში მცხოვ- რებ ქართველ მთიელთა შესახებ, რაც დასტურდება ზემოთ აღწე- რილი ოჯახების ეკონომიური მდგრადირეობის ამსახველი კონკრე- ტული მონაცემებითაც. მაგალითად, კაჭიურების ქონებას შეადგენ- და ერთი დიდი სახლი (დარბაზი) მასზე მიშენებული ბოსლითა და ცხვრის სადგომით, 20 დღიურამდე სახნავი მიწა, დაახლოებით 200 ფუთი თივის მოსათიბი აღგიღილი, შვიდი ცხენი, რვა ხარი, შვიდი მეწ- ელი ძროხა, 25-სულამდე მოზარდი (ხბო, დეკეული, მოზვერი), 100 თხა, 700 ცხვარი და ოთხი ძალი.

გიორგი ბერის ძე ჩიტიშვილის მეთაურობით სოფ. ჩიტიანში გაუყრელად მცხოვრებ ოჯახს თავდაპირველად ჰქონია ერთი დიდი სახლი. ოჯახის გაყრის გამო კიდევ აუშენებიათ ორი პატარა სახლი— ერთი ოჯახის წევრთა ნაწილის საწოლად, ხოლო მეორე სასტუმ- როდ. დიდ ძველ სახლში დღისით მთელი ოჯახი იმყოფებოდა, ხო- ლო იქ ღამით ნაწილი იძინებდა. ამ სახლებთან ერთად ოჯახს

<sup>1</sup> გ. თოვთვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს., თბილისი, 1969, 69—70.

ჰერნია ბოსელი, კალო და საბძელი. მათი სახნავ-სათესი ნაკვეთი—  
ბი 10 დღიურს შეადგენდა. პირუტყვიდან ჰყოლიათ 10—<sup>19</sup> 12—13 მეტველი ძროხა, 12 მოზარდი, 500 სული თხა და ცხვარი,  
რვა საუნაგირე და ორი საკვიცე ცხენი. საკვიცე (ჭავ) ცხენებს იყე-  
ნებდნენ ცხვრის საზამთრო საძოვრებზე გამგზავრება-ეკიპირები-  
სას. რვა საუნაგირე ცხენიდან კი ერთი ეკუთვნოდა დიასახლისს,  
ხოლო შვიდი ოჯახში მყოფ შვიდ სრულწლოვან მამაკაცს. საჯდო-  
მი ცხენები ამ ოჯახის გაყრამდევე იყო გაპიროვნებული, ვინაიდან  
ყოველი ვაჟკაცის სახელზე ცხენი უნდა ყოფილიყო; სხვის ცხენზე  
შეჯდომა მიუღებელი ყოფილა.

სოფელ უკანუბანში მცხოვრებ ჩიტიშვილების გაუყრელ ოჯახს  
სახლთან და სამეურნეო ნაგებობებთან ერთად ჰერნდა 10 დღიური  
სახნავ-სათესი მიწა, ხოლო ჰყავდა ხუთი ცხენი, რვა ხარი, ათი  
ძროხა, შვიდი მოზარდი და 500 ცხვარი.

ამავე სოფელში პავლიაშვილების ოჯახი გაყრამდე ფლობდა  
ერთ სახლს თავისი სამეურნეო ნაგებობებით, 20 დღიურამდე სახ-  
ნავს, ოთხ ცხენს, ოთხ ხარს, რვა ძროხას, ოთხ ხბოს და 150  
ცხვარს, რომელიც ზამთრობით აღრე მუხრანსა და ქსოვრისში მი-  
უდიოდათ, ხოლო შემდეგ ყიზლარში.

სოფ. მორბედანში მცხოვრები ქასოშვილების 54-სულიანი  
ოჯახის დოკულათს შეადგენდა ერთი დიდი სახლი (დარბაზი), ბო-  
სელი, კალო, საბძელი, წისქვილი, 20 დღის სახნავი, ცხრა ცხენი,  
ექვსი ულელი ხარ-კამეჩი, ოცამდე სული ძროხა და მოზარდი, 500  
თხა და 1500 ცხვარი.

ზემოთ აღწერილი დიდი ოჯახებიდან მხოლოდ კაჭიურებსა და  
პავლიაშვილებს მოჰყავდათ თავისთვის საქმარისი პურეული. 20  
დღიურიდან მიღებული მოსავალი თუ ერთ ოჯახს ჰყოფნიდა და  
შეორეს არა, ეს გაპირობებული იყო ოჯახის რიცხობრივი შემად-  
გენლობით. თუ კაჭიურების 23-სულიანი ოჯახისთვის 20 დღიური  
საქმარისი იყო, იგივე 20 დღიური ვერ აქმაყოფილებდა ქასოშვი-  
ლების 54-სულიანი ოჯახის მოთხოვნილებას, რის გამო ისინი და-  
მატებით პურს ყიდულობდნენ.

პურის ქრიზისს ქსნის ხეობაში ვერც სანადელო სისტემამ უშ-  
ველა. კომლებზე ნადელების განაწილებამ გაზარდა გაყრისაკენ  
მიღრეკილება ნადელების ხელში ჩაგდების მიზნით, მავრამ მიწების



სიმცირის გამო, როგორც ჩანს, ერთ აღრინდელ ნადელზე უკავშირდება ლიც გაუყოფელ ოჯახს ეკუთვნოდა, შემდეგში, ოჯახის გაყრის შედეგად, რამდენიმე კომლი აღმოჩნდა. უსათუოდ ოჯახების გაყრის მიხედვით უნდა მომხდარიყო ნადელების დაქუცმაცება, რის შესახებაც კ. შალიკოვი წერდა: 1866 წელს თითოეულ კომლს გამოუყვეს არაუმეტეს ხუთი დესეტინა სარწყავი ან შეიძნახევარი დესეტინა ურწყავი მიწა. 1894 წელს გამოქვეყნებულ ამ ნაშრომში ავტორი აღნიშნავს, რომ ამეამად კომლთა რაოდენობამ იმდენად იმატა, რომ თავდაპირველად ერთი კომლისთვის გამოყოფილი ნადელი ახლა ექვს-შვიდ კომლს ეკუთვნის. მისივე ცნობით, ნადელების დაქუცმაცების პროცესი იმდენად გაღრმავებულა, რომ ზოგან ერთ კომლზე მხოლოდ ნახევარი დესეტინა მიწა მოდიოდა (გვ. 251).

ქსნის ხეობის სათავეებში მცხოვრები ოჯახების დიდი ნაწილი, ისევე როგორც მთიელთა უმრავლესობა, პურის დანაკლის ბარად შეძენილი მარცვლეულით იგსებდა. როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, ადგილობრივი მოსავლით ოჯახის მოთხოვნილებას თუ კი ვინმე უზრუნველყოფდა, მხოლოდ ახოს აღებით, რაც თავის მხრივ დამკიდებული იყო ერთი მხრივ საახოე ადგილის ვარგისი-ანობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახის მუშახელის რაოდენობაზე.

პურეულით მომარაგების უმთავრეს საშუალებას წარმოადგენდა ბართან კავშირი, რაც სხვადასხვა გზით ხორციელდებოდა. ზოგი იქ მიწის ნაკვეთს იჯარით იღებდა იმ პირობით, რომ მამულის პატრონს დარჩენოდა მოსავლის ერთი მესამედი. ზოგი მიდიოდა სამუშაოდ (ბარვის, თიბვის, მკის დროს) მუხრანში, წილკანში, დილომში და შრომის საზღაურად პურს იღებდა. პურეულით მომარაგების მესამე საშუალებას წარმოადგენდა მისი შეძენა ფულით ან ნატურალური გაცვლით. გაკირვებული მთიელებისათვის უფრო ხელმისაწვდომი ყოფილა ხორბალთან შეღარებით იაფფასიანი ქერი და სიმინდი. სიმინდი უმთავრესად მოპქონდათ ჩრდილო კავკასიიდან, ხოლო ქერს ყიდულობდნენ ქართლის სოფლებში.

მარცვლეულის შესაძენად საჭირო ფულის წყაროს წარმოადგენდა საქონლის ნამატი და მესაქონლეობიდან მიღებული პროდუქტია, ხოლო ნატურალური გაცვლის საგნები იყო მთიელთა ადგილობრივი ნაწარმი. ჭურთის ხეობაში, ქარჩოხის ხეობასა და უამურ-



ში ამზადებდნენ ხის ჭურჭელს (ჯამი, კოვზი, ტაბაკი, პინქის და საცავები...), რასაც ასალებდნენ როგორც ქსნის ხეობის სოფ-ლებში (უმთავრესად ხეობის ქვემო ნაწილში), ისე მის ფარგლებს გარეთ. საკუთრივ ქსნის ხეობაში მთიულეთსა და ხევში ხის ნაწარმს ყიდნენ ფულზე ან ცვლილნენ ყველ-ერბოსა და მატყლზე, ხოლო ქართლში უმთავრესად ცვლილნენ პურეულზე.

ხის ჭურჭლის დამზადება აქ შინამრეწველობის ღონეს არ გასცილებია, რაც მისი მწარმოებელი ოჯახისთვის შემოსავლის დამხმარე წყაროს წარმოადგენდა. ასევე შინამრეწველობის ფარგლებში ხდებოდა ქსნის ხეობაში (ცხავატში) კერამიკის წარმოება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეჭურჭლეობა ცხავატელთა ძირითადი საქმიანობა იყო და ოჯახის მთავარ საარსებო საშუალებასაც ის წარმოადგენდა. კ. შალიქოვის ცნობით, XIX საუკუნის მიწურულში სოფ. ცხავატში 40 კომლზე მეტი მისდევდა მეჭურჭლეობას, რისთვისაც ჰქონიათ რვა გამოსაწვავი ღუმელი, ყოველწლიურად ცხავატში მზადდებოდა 7000 მანეთზე მეტი ღირებულების ჭურჭელი (გვ. 255).

მეჭურჭლეობის ძველთაძველი ტრადიცია საბჭოთა ეპოქაშიც ინტენსიურად ვითარდებოდა. 1938 წლის ქსნის ხეობის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ დაადასტურა, რომ მეჭურჭლეობა ცხავატში კვლავ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა, რაშიც ყველა ოჯახი აქტიურად იყო ჩაბმული<sup>1</sup>. ლ. ბოჭორიშვილის დაკვირვებით, ჭურჭლის დამზადება ორივე სქესის ხელობად ითვლებოდა, ხოლო ქვევრისა და თორჩის კეთება უმთავრესად მამაკაცებს ჰქონიათ მინდობილი. ცხავატელთა თიხის ნაწარმს დიდი გასავალი ჰქონდა ქსნის ხეობის გარდა ქართლ-კახეთში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სადაც მისი გატანა საპალნით ხდებოდა.

ქსნის ხეობისადმი მიძღვნილ ნაშრომში (გვ. 75—77) ამავე გარემოებას მიაქცია ყურადღება ს. მაკალათიამ, ხოლო ჩვენ მიერ 1966 წელს შეკრებილი მასალის მიხედვითაც ლიტერატურაში აღნიშნული ვითარება დასტურდება. მთხრობლებმა არა მარტო ის გვაუწყეს, რომ ცხავატელთა საოჯახო მეურნეობაში მეჭურჭლე-

1. გ. ჩიტაია, ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, „ენიმის მომბე“, IV, ტფილისი, 1939; იქვე იხ. ლ. ბოჭორიშვილი, ქსნის ხეობაში მიღლინების მოკლე ანგარიში.

ობას მთავარი ადგილი ეჭირა, არამედ ისიც აღნიშნეს, რომ ქართველი მას სცვლიდნენ პურზე, ხოლო მთიულეთსა და ხევში უმთშვრესოდ ყველ-ერბოსა და მატყლზე.

წინაპართაგან გაკვალული გზა-ბილიკებით ქსნისხეველები ხევში ახლო წარსულშიც ხშირად გადადიოდნენ. როგორც ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშში გ. ჩიტაამ მიუთითა, ცხავატიდან ხევ-მთიულეთში კერამიკის გატანის მარშრუტი იყო: ცხავატი, ქაისხევი, ანანური, ფასანაური, მლეოვ, კობი, ყაზბეგი.

ჩვენი მთხრობლების განმარტებით, ქაისხევზე გავლით მოსახერხებელი იყო მოხვედრა მთიულეთის ქვემო ნაწილში. მთიულეთის ზემო ნაწილში და ხევში მოსახვედრად კი უფრო მოკლე გზა არსებობდა. ქარჩობის ხეობაში სოფ. ელოიანის გავლით და დიდი აღმართის დაძლევით აღიოდნენ ლომისაზე, აქედან ჩადიოდნენ სოფ. მლეთაში და ღამე იქ ჩერდებოდნენ. აქედან გასვლა შეეძლოთ როგორც მთიულეთის სოფლებში, ისე ჯვრის უღელტეხილის გადავლით ხევში გადასვლაც. ყოველ შემთხვევაში, ხევში მხოლოდ ამ მარშრუტით უვლიათ.

აღნიშნული მარშრუტის გავლით ქსნისხეველებს ხევში გადაჲ-ქონდათ თიხის ნაწარმიდან უმთავრესად სადღვებლები და ერბოს შესანახი ქოთნები, ხოლო ხის ნაწარმიდან უფრო მეტად ცხრილები და კალათები. ქსნელებს (როგორც ქსნის ხეობის მცხოვრებლებს მოხვევები უწოდებენ) თავისი საპალნებით ხევში ზოგჯერ ეხლაც შეხვდებით, რომლებიც ცდილობენ თავიანთ ნაწარმში საფასურად მიიღონ ფული ან მატყლი, განსხვავებით თუნდაც 1930—1940-იანი წლებისაგან, როდესაც ისინი თავიანთ საქონელს ცვლილნენ არა მარტო მატყლზე, არამედ რძის პროდუქტებზე და თვით ქერზედაც კი. ეს უმთავრესად ხდებოდა შემოდგომაზე, კალოობის დროს. მოხვევები თავისი ისედაც ცოტა მოსავლით ჭურჭელს იძენდნენ, მაგრამ პურს შემდევ ჩრდილო კავკასიაში ყიდულობდნენ. ხევში მარცვლეულის მოყვანის შეწყვეტის შემდეგ კი (სამამულო ომის დამთავრების შემდეგ) ნატურალური გაცვლის ზემოაღნიშნული სისტემიდან ქერიც ამოვარდა.

მეჭურჭლეობა ცხავატში დღესაც არა დავიწყებული. აქ მცხოვრებნი (ბუნტური, სუხაშვილი, გოგიჩაშვილი...) კვლავ ამზადებდნენ ქვევრებს და თავიანთ წინაპართა ხელობას ჯერ კიდევ



უნარჩუნებენ სიცოცხლეს, მაგრამ მეტად შემცირებული ჰქონდათ მათ. პირველ რიგში ამის მაჩვენებელია სხვაგან გადასახლების შედეგად მოსახლეობის შემცირება. როგორც მთხრობლებმა გაღმოგვცეს, 1930-იან წლებში ცხავატში ასამდე კომლს უცხოვრია, ხოლო ამჟამად (იგულისხმება 1966 წელი, როდესაც მასალა ჩავიწერეთ) ოციოდე კომლია დარჩენილი. თითქმის ასეთსავე მდგომარეობას ხედავს ს. მაკალათია, რომლის ცნობით, აღრინდელი 80 კომლის ნაცვლად მისი იქ ყოფნის დროს 28 კომლი ყოფილა (გვ. 75).

XIX საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით, როდესაც ცხავატში 40 კომლზე მეტი იყო (კ. შალიკოვის ცნობით), XIX საუკუნის 30-იან წლებში კომლთა რიცხვის ასეთი ზრდა (80—100 კომლი) გამოწვეული ჩანს დიდი ოჯახების დაყოფით. მართალია, გ. ჩიტაია ზემოხსენებულ საექსპედიციო ანგარიშში აღნიშნავს, რომ ქსნის ხეობის მთიან ზოლში არსებულ ძველებურ სახლში (ე. წ. „დევ-გმირთ სახლში“) ბოლო დრომდე მრავალრიცხოვანი ოჯახი მოსახლეობდა და გაუყრელად ცხოვრების ტრადიციის ხანგრძლივად არსებობაზე მიგვითოთებს ჩვენ მიერ შეკრებილი მასალაც, მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც ცხადია, რომ XIX—XX საუკუნეების მიზნაზე შეუნელებლად მიმდინარეობდა ამ დროისათვის შემორჩენილი დიდი ოჯახების გაყრა-დანაშილების პროცესი. ცხავატში კომლთა რაოდენობის აღნიშნული სხვაობაც ამითი აიხსნება.

განხილული ეთნოგრაფიული მასალა და ლიტერატურული მონაცემები იმ გარემოებაზე მიგვითოთებენ, რომ ქსნის ხეობის ქართველ მთიელთა ყოფაში, ისევე როგორც მათ მეზობლად მცხოვრებ ოსთა ცხოვრებაში, მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, ხოლო შემოსავლის დამხმარე წყაროს წარმოადგენდა შინამრეწველობა. მაგრამ შინამრეწველობის სფეროდან თუ ხის დამუშავება დამხმარე ხასიათის საქმიანობად ითვლებოდა, სოფ. ცხავატი სპეციფიკურ მდგომარეობას გვიჩვენებს, ვინაიდან მის კერამიკულ წარმოებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. რაც შეეხება მეურნეობის ძირითად დარგებს, ამათგან ქსნის ხეობის მთიან ზოლში მიწათმოქმედება მეტად შეზღუდული იყო და მოსახლეობის მინიმალურ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ პურის მარაგის შევსების მთავარი წყარო იყო მესაქონლეობის პროდუქ-



ცია და საქონლის ნამატი, რის გამო წამყვანი აღგილიც მესაჭურავის ლეობას ცეირა. მსხვილფეხა საქონელს წელიწადის ყოველ აღგილობრივ ინახავდნენ (საძოვრებითა და ბაგური კვებით), ხოლო ცხვარი ზამთრობით მიუდიოდათ ქართლისა და ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებზე. საზამთრო საძოვრებზე გადარეკვამდე კი ცხვარს ამყოფებდნენ თავიანთ მთებში ან მეზობელ კუთხეებში.

მთხრობლების ცნობით, ცხვრის პატრონები საბალახეს უხდიდნენ თავადებსა და აზნაურებს, ვისაც ეს საძოვარი ეკუთვნოდა. საშუალოდ 100 სული ცხვრის ძოვება შეფასებული ყოფილა ერთ ცხვარად. მსხვილფეხა საქონელზე საბალახე გადასახადი არ ყოფილა. ვისაც ბევრი ცხვარი ჰყავდა, ისინი მთებს სხვა ხეობებშიც ქირაობდნენ საბალახეს გადახდის პირობით. გადასახადი დაწესებული ყოფილა ტყით სარგებლობის გამოც, კომლზე რვა მანეთი, ხოლო ერთ სანადელოზე (ოთხ დღიურზე) შეწერილი ჰქონიათ კომლზე ერთნახევარი მანეთი წელიწადში. ამასთან დაკავშირებით კ. შალიკოვიც აღნიშნავდა, რომ მთაში ნატურალური გადასახადი ბოლო დროს შეიცვალა ფულადი გადასახადით. მისივე ცნობით, ოჯახი ერთ დესეტინა სახნავ-სათეს აღგილში იხდიდა სამ მანეთს, სათიბში ორ მანეთს, საძოვარში ერთ მანეთს, ხოლო ტყით სარგებლობაში სამ მანეთს (გვ. 251).

ქსნის ხეობაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიან კუთხეებში (მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი, ფშავი...), ცხვარი განსაკუთრებით მომრავლდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ჩრდილო კავკასიის ველების გამოყენების შესაძლებლობა შეიქმნა. ამ დროიდან მან მესაქონლეობის სფეროშიც უპირატესობა მოიპოვა და ქსნის ხეობის მთიელთა ეკონომიკაში პირველი აღგილი დაიმკვიდრა, როგორც მთური მეურნეობის ყველაზე რენტაბელურმა დარგმა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცხოვრების დონით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ არა მარტო ცალკეული ოჯახები, არა-მედ ქსნის მთიან ზოლში ყველა სოფელი ერთნაირ სამეურნეო პირობებში არ იმყოფებოდა. მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების მასშტაბით მათ შორის განსხვავებას ჰქონდა აღგილი, მაგრამ მთის სოფლებისათვის საერთო ის იყო, რომ

არ არსებობდა მეურნეობის დიდი მასშტაბით განვითარებული ქალაქი ძლებლობა. განსაზღვრული სამეურნეო ბაზის გამო ნამატები მიმდევალეობაც იძულებული ხდებოდა მთიდან ჩამოსახლებულიყო მთისძირა ზოლსა და ბარში. მოსახლეობის ამგვარ ადგილმონაცვლეობას ქვენის ხეობის მაგალითზე დასახელებულ ანგარიშში შეეხო გ. ჩიტაია და ამის მიზეზად მიიჩნია „პრიმიტიული, არა ინტენსიური მეურნეობის არსებობა“, ისევე როგორც „პრიმიტიული მთის მეურნეობასა და ბუნებრივ პირობებთან“ შეგუებულად სცნო ხეობაში არსებული საცხოვრებელი ნაგებობაც.

როგორც ქსნის ხეობის სათავეებიდან, ისე საქართველოს სხვა  
მთიანი კუთხეებიდან ნამატი მოსახლეობა რომ ბარისაკენ მიიღულ-  
და, ეს საღავო არაა, მაგრამ აღნიშნული ვითარება ისხსნება არა  
მთისა და მისი მეურნეობის პრიმიტიულობით, არამედ ლიმიტირე-  
ბული, ვიწრო სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების არსებობით.

三

დიდი ოჯახის მმართველობისა და შრომის ორგანიზაციის სფეროში ქსნის ხეობის მთიელები, ისევე როგორც კავკასიის ხალხები საერთოდ, განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანის სქესსა და ასაკს. ამის მიხედვით ოჯახში დიფერენცირებული იყო როგორც სამამაკაცო და სადედაკაცო, ისე საუფროსო და საუმცროსო ფუნქციები.

ქსნის ხეობაში გვიანობამდე შემონახულ ქართულ დიდ ოჯახში, იქვე არსებული ოსური დიდი ოჯახის მსგავსად, ყველაზე დიდი უფლებებით სარგებლობდა უხუცესი მამაკაცი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ოჯახის საერთო ხელმძღვანელობა. ხნით უფროსობით პრიორიტეტი კარგად სჩანს შეკრებილი მასალიდან. თითქმის ყველა აღწერილი ოჯახის მმართველობის სტრუქტურამ გვიჩვენა, რომ ოჯახის საერთო ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა ხნით უფროს კაცს. მაგალითად, კაჭიურების ზემოთ აღწერილი ოჯახის ხელმძღვანელი იყო პირველი თაობის წარმომადგენელი იაკობი. როდესაც იაკობი ლრმად მოხუცდა და ოჯახის მართვის უნარი დაკარგა, მისივე სურვილითა და ინიციატივით ოჯახს სათავეში ჩაუდგა მისი უფროსი შვილი ზაქარია.



ოჯახის ხელმძღვანელად ხნით უფროსის გამოყოფა ხდებოდა  
არა მარტო ყოფილი უფროსის დაბერებისა და გადადგომჩენების  
დეგ, არამედ ოჯახის მეთაურის გარდაცვალების შემდეგაც. ასე მოხ-  
და, მაგალითად, ჩიტიშვილების ოჯახში სოფ. ჩიტიანში. ამ ოჯა-  
ხის უფროსის — გიორგის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს სათავეში  
ჩაუდგა მისი უფროსი შვილი ალექსა.

ხნით უფროსობის პრინციპი დაცული იყო ისეთ შემთხვევა-  
შიც, როდესაც გარდაცვლილი ან დაუძლურებული მამის (ოჯახის  
უფროსის) ადგილს შვილი კი არ იქნება, არამედ ოჯახის უფრო-  
სის ძმა. მაგალითად, სოფ. უკანუბანში ჩიტიშვილების ოჯახის უფ-  
როსის — სიხას გარდაცვალების შემდეგ ეს მოვალეობა დაეკისრა მის  
ძმა გაბოს, ხოლო გაბოს გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მეთა-  
ური გახდა სიხას უფროსი შვილი გიორგი.

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში დაცული იყო უფროსის  
პრიორიტეტი. ერთ ოჯახში სიბერით დაუძლურებული მამის ად-  
გილს იქავებს უფროსი შვილი, მეორე ოჯახში ასევე უფროსი ვა-  
ჟი სცვლის გარდაცვლილ მამას. მესამე ოჯახში თავდაპირველად  
ოჯახის ყოფილი მეთაურის შემცვლელად გვევლინება ძმა, ხოლო  
ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მეთაური გახდა  
მეორე თაობის წარმომადგენელთა შორის ყველაზე უფროსი მამა-  
კაცი.

ასევე ასაკის მიხედვით ხდებოდა ფუნქციების განაწილება  
ქალთა შორისაც. თუ ოჯახის საერთო ხელმძღვანელობა და უშუ-  
ალოდ სამამაკაცო საქმის მეთაურობა უხუცეს მამაკაცს ჰქონდა  
მინდობილი, ქალთა შრომის ორგანიზატორი და მათ შორის ყვე-  
ლაზე დიდი უფლებების მქონე იყო დიასახლისი. დიასახლისის  
მოვალეობას ჩვეულებისამებრ ასრულებდა ყველაზე ხნიერი ქალი.  
ეს დასტურდება თუნდაც ზემოხსენებული ოჯახების მაგალითზეც.  
როდესაც კაჭიურების ოჯახს მეთაურობდა იაკობი, დიასახლისად  
იყო მისი მეუღლე სალომე. იმის შემდეგ კი, როდესაც სიბერით  
დაუძლურებული იაკობი შესცვალა მისმა უფროსმა ვაჟმა ზაქა-  
რიამ, სალომეს ადგილი დაიკავა ზაქარიას ცოლმა — რძლებს შორის  
ყველაზე უფროსმა.

დიასახლისის მოვალეობის შესრულება ასევე ასაკის მიხედ-  
ვით ხდებოდა სოფ. უკანუბანში მცხოვრები ჩიტიშვილების გაუ-



ყოფელ ოჯახში. როდესაც ამ ოჯახის სათავეში იმყოფებოდა როგორისა დიასახლისი იყო სიხას ცოლი. ამ უკანასკნელის გარდა შემდეგ დიასახლისი გახდა სიხას ძმის — გაბოს ცოლი მარო, ისევე როგორც ოჯახის ხელმძღვანელობა წილად ხდდა გაბოს.

დიასახლისის საპატიო მოვალეობის შესრულება ასკისა და თაობების მიხედვით ხდებოდა ქსნის ხეობის იმ მონაცემშიც, რომელიც თავისი სამეურნეო-გეოგრაფიული პირობებით მუკუთვნება ბარისა და მთისძირის მიწნას. სახელდობრ, სოფ. იკოში სამ თაობამდე გაუყრელად მცხოვრები გიგაურების ოჯახს როდესაც გიორგი ხელმძღვანელობდა, დიასახლისი იყო მისი ცოლი. მათი გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მეთაური გახდა გიორგის უფროსი შეილი ივანე, ხოლო დიასახლისი ივანეს ცოლი. რამდენიმე წლის შემდეგ ეს ქალი გარდაიცვალა, რომლის ადგილი დაიკავა ივანეს ძმის ლექსოს ცოლმა. ოჯახის გაყრამდე ოჯახის უფროსი იყო ივანე, ხოლო დიასახლისის მოვალეობას ასრულებდა მისი რძალი (ლექსოს ცოლი). მიუხედავად იმისა, რომ ივანეს მეორე ცოლიც ჰყავდა და მისი გარდაცვალების შემდეგ მესამედაც იქორწინა, დიასახლისად მაინც ლექსოს ცოლი იმყოფებოდა, როგორც რძლებს შორის ყველაზე ხნიერი.

ქსნის ხეობის ქართველ მთიელთა ყოფაში დადასტურდა ისეთი ვითარებაც, როდესაც ოჯახის გაყოფამდე დიასახლისის შეცვლა არ ხდებოდა, რაც დამოკიდებული იყო ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და უნარზე. მაგალითად, სოფ. ჩიტიანში მცხოვრები ჩიტიშვილების გაუყოფელ ოჯახს ჯერ ხელმძღვანელობდა გიორგი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მისი უფროსი შეილი ალექსა, მაგრამ ოჯახის გაყრამდე დიასახლისის ფუნქციას ასრულებდა გიორგის მეუღლე (ალექსას დედა).

როგორც ვხედავთ, დიასახლისობის საპატიო მოალეობის შესრულებაც ასკის მიხედვით ხდებოდა. ამის შესაბამისად ოჯახში დიასახლისად იმყოფებოდა უმთავრესად ოჯახის უფროსის მეუღლე, მაგრამ ცოლ-ქმარს შორის ერთ-ერთის გარდაცვალების შემდეგ მდგომარეობა იცვლებოდა. თუ ოჯახის უფროსი სიკვდილის ან დაბერება-დაუძლურების გამო თავის სამოქმედო ასპარეზს ჩამოსცილდებოდა და მის ადგილს დაიკავებდა ძმა ან ბიძა-შვილი, მაგრამ მისი მეუღლე თავისი მოვალეობის შესრულების

უნარს ინარჩუნებდა, ასეთ შემთხვევაში ოჯახის უფროსობა დიასახლისობა რძალ-მაზლს მოუწევდათ. ასეთივე მდგომარეობა იქმნებოდა დიასახლისად მყოფი ქალის (ოჯახის უფროსის მეუღლის) გარდაცვალების ან გადადგომის შემდეგაც, როდესაც მას სცვლიდა მისი მაზლის ცოლი. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც ოჯახის უფროსის აღგილს დაიკავებდა მისი შეილი, ხოლო დიასახლისად ყოფნას განაგრძობდა ყოფილი უფროსის ცოლი ან რძალი, ოჯახის ხელმძღვანელობა მოუწევდათ ან დედასა და შვილს, ან ბიცოლასა და მაზლის შვილს. მაშასადამე, ოჯახის სათავეში ერთ შემთხვევაში იმყოფებოდა ცოლ-ქმარნი, მეორე შემთხვევაში რძალ-მაზლნი, მესამე შემთხვევაში დედა-შვილი, ხოლო მეოთხე შემთხვევაში ბიცოლა-მაზლის შვილი.

ქალთა შრომა-საქმიანობას უშუალოდ დიასახლისი ხელმძღვანელობდა, მაგრამ ამასთან ერთად ის პირადადაც შრომობდა, ვიდრე ამისი უნარი შესწევდა. მის მოვალეობას უმთავრესად შეადგენდა პურის გამოცხობა და საჭმელების მომზადება. თუ ოჯახი ძალიან მრავალრიცხოვანი იყო, ამ საქმეში დიასახლისს ეხმარებოდნენ უფროსი თაობის რძლებიც. გარდა ამისა, საუფროსო და საუმცროსო საქმიანობის შესაბამისად, უფროსი რძლები წველიდნენ საქონელს, ამზადებდნენ რძის პროდუქტებს, ქსოვდნენ, კერავდნენ, ქმარ-შვილს უვლიდნენ. ქსოვა, კერვა თუ ქმარ-შვილის მოვლა ასევე ევალებოდათ უმცროს რძლებსაც, მაგრამ რაյი მაინც გამოყოფილი იყო საუმცროსო საქმეები, უმცროსი რძლების უმთავრეს მოვალეობაში შედიოდა ბოსლის დასუფთავება, სახლის და ეზოს დაგვა, წყლის მოტანა და ა. შ. ამ მხრივ შედარებით მკვეთრად იყო გამოყოფილი პატარძლის ვალდებულება — წყლის მოტანა და დაგვა. ყოველივე ამასთან ერთად ქალები შრომობდნენ ხვნა-თესვის, მქა-ლეწვისა და თიბვის დროს. ამ სეზონური და საჩქარო სამუშაოების დროს ასაკის მიხედვით ფუნქციების განაწილება არ წარმოადგენდა დამახასიათებელ მოვლენას. ხვნა-თესვის დროს სარეველას ფესვებისა და ქვის აკრეფა, ისევე როგორც მკა, ძნის შეკონვა, ხვავის განიავება, თივის ფოცხვა და ა. შ. ყველა შრომის-უნარიანი ქალის მონაწილეობით სრულდებოდა.

ამავე მიზეზის გამო, საქმიანობა მკვეთრად გაპიროვნებული არც მამაკაცებს შორის ყოფილა. სეზონურ სამუშაოებში ყველა შრომისუნარიანი კაცი ერთობლივად მონაწილეობდა, მაგრამ

ფუნქციების განაწილებას მათ შორისაც ჰქონდა აღგილი. შაშაკაც-თა ერთი ნაწილის ძირითად მოვალეობად ითვლებოდა შინამეურნეობა (ხვნა-თესვა, თიბვა, მკა-ლეწვა, მსხვილფეხა საქონლის მოვალა-პატრონობა), რის გამო ამ მოვალეობის შემსრულებელს ერქვა შინაკაცი. მაშაკაცთა მეორე ნაწილი ჩაბმული იყო მეცხვარეობაში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ცხვრის მომრავლების შემდეგ. მეცხვარეთა საქმიანობაც სათანადო ორგანიზაციას მოითხოვდა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი უპირატესობით სარგებლობდა სარქალი, რომელიც უსათუოდ თვითონ უნდა ყოფილიყო გამოცდილი მეცხვარე. ეს იმდენად მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლებოდა, რომ ზოგჯერ სარქლობას გარეშე კაცსაც კი მიანდობდნენ ხოლმე, როდესაც ოჯახის წევრთა შორის მცოდნე მეცხვარე არ აღმოჩნდებოდა. მაგალითად, კაჭიურების ოჯახიდან ცხვარში მუდმივად დადიოდნენ გიგოლი, მისი შვილი ნიკო და ზაქარიას შვილი სოსე. ამ სამ კაცს შეეძლო ოჯახის კუთვნილი ცხვრის მოვლა, მაგრამ დოლის დროს საჭირო ყოფილა მეოთხე კაცის მიხმარებაც. ამ მიზნით აუკანიათ ერთი გარეშე მწყემსიც (თავიანთი ნათლიმამა ბესა შათაქიშვილი), მაგრამ სარქლობა ბესასთვის ჩაუბარებიათ, ვინაიდან ის მცოდნე მწყემსი ყოფილა.

აღნიშნული ვითარება თავის მხრივ მეცხვარეობის დიდი სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობით უნდა აიხსნას. მისი განვითარებით დაინტერესებული ოჯახი, რომელსაც გამოცდილი მეცხვარე არ ჰყავდა, იძულებული იყო ეს საპასუხისმგებლო საქმე გარეშე კაცისათვისაც კი მიენდო, მაგრამ ასეთი ღონისძიება მაინც ერთგვარ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. ჩვეულებისამებრ სარქლად უნდა ყოფილიყო ოჯახის ერთ-ერთი გამოცდილი წევრი. მაგალითად, ჩიტიშვილების ოჯახს (სოფ. ჩიტიანი) ოთხი მოჯამაგირე ჰყოლია, რომელთაგან ორი ემსახურებოდა შინამეურნეობას (მიწათმოქმედება, მსხვილფეხა მესაქონლეობა), ხოლო ორი ცხვარს მწემსავდა. ორივე მათგანი რიგით მწყემსებად იმყოფებოდნენ ჯამაგირის მიღების პირობით. ოჯახის წევრთაგან ცხვარში რიგითი მწყემსი იყო ჩვენი მთხრობელი — გიორგი (დაბად. 1890 წ.), ხოლო ოჯახიდან სარქლის მოვალეობას ასრულებდა ვანო. ზაფხულობით ის პატარა ლიახვის ხეობაში ქირაობდა საძოვრებს (სანგალი, ფაჩური, ლაჭაური, გალადური), ხოლო ზამთრობით ამ



საქმეს აწესრიგებდა ჩრდილო კავკასიის საძოვრებზე. ოჯახი და დანარჩენ წევრთაგან თვით ოჯახის თავდაპირველი უფროსში შეინარჩუნავა გი შინამეურნეობას ემსახურებოდა. მისი უფროსი შვილი ალექსა, რომელიც შემდეგ ოჯახის მეთაური გახდა, უმთავრესად ასევე შინამეურნეობაში იყო ჩაბმული. ალექსას მესამე ძმა ბერიც (მეორე ძმა ვანო იყო სარქალი) შინამეურნეობას მისდევდა და გამოცდილი გუთნისდედა ყოფილა.

სანიმუშოდ დამოწმებული ფაქტობრივი მონაცემები იმ გარემოებაზე მიგვითოთებენ, რომ ოჯახის შრომისუნარიან მამაკაცებთან ერთად ოჯახის ხელმძღვანელიც აქტიურად შრომობდა. მისი შრომითი საქმიანობა არ იყო დამოკიდებული საოჯახო მეურნეობის ხასიათზე. მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობის წამყვანი დარგი ქსნის ხეობის მთიანეთში მესაქონლეობა იყო და თვით ოჯახის უფროსიც ოჯახში წამყვან ძალად (ორგანიზატორად) ითვლებოდა, მისი პირადი საქმიანობა ყოველთვის არ ყოფილა დაკავშირებული მეურნეობის წამყვან დარგთან. ის მიწათმოქმედი იქნებოდა, მეცხვარე თუ ხელოსანი, ამას ოჯახის მმართველობის სისტემაში არ ენიჭებოდა განმსაზღვრელი მნიშვნელობა. მთავარი იყო ის, რომ ოჯახის მეთაური ყოფილიყო პირველ რიგში ოჯახის საერთო ხელმძღვანელობის უნარის მქონე, ხოლო მეორე რიგში მამაკაცთა შრომა-საქმიანობის კარგი ორგანიზატორი. კარგი ორგანიზატორისა და უნარიანი ხელმძღვანელის სახელის დამსახურება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ ოჯახის სრულწლოვან წევრებთან საქმიანი და ხოლიდარული კონტაქტის პირობებში. ოჯახის უფროსი ვალდებული იყო ყველა პრინციპული საკითხი გადაეწყვიტა ოჯახის სრულწლოვან წევრებთან დათათბირება-შეთანხმების შემდეგ. თვითნებობისა და ერთპიროვნული გადაწყვეტილების და, ამდენად, დესპოტური ერთმმართველობის უფლებას ის მოკლებული იყო.

ამგარად, ოჯახის მართვა-გამგეობის საქმეში განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენდა სქესი და ასაკი. ჩვეულებისამებრ ოჯახის უფროსობა უწევდა ყველაზე ხანდაზმულ მამაკაცს, ხოლო დიასახლისობა ასევე ხნით უფროს დედაკაცს. მაგრამ, ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უფროსის უნარსაც, რის გამო რიგ შემთხვევაში ხნით უფროსობის პრინციპი რამდენადმე ირღვეოდა და ოჯახის ხელმძღვანელობა ეკისრებოდა ხნით უმცროს კაცსაც. ამის დამადასტურებელია პირველ ყოვლისა ოჯახის ყოფილი უფ-



როსის — მამის შეცვლა მისი უფროსი შვილით. ასეთ შემთხვევაში ცხოველმყოფელ ძალას ინარჩუნებდა ორივე ფაქტორი — ხნით უფროსობაც და შრომის უნარიც. უფროსობის პრინციპი დაცული იყო იმდენად, რამდენადაც მამის ადგილს იკავებდა უფროსი შვილი, ხოლო მეორე ფაქტორის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ოჯახის მართვის უნარს მოკლებული მამის შემცვლელად სარბიელზე გამოდიოდა ოჯახის მართვის უნარით აღჭურვილი შვილი. დასტურდება ისეთი ფაქტებიც, როდესაც სიბერით მოტეხილი უფროსის ადგილს იკავებდა უმცროსი ძმა, ბიძაშვილი ან უმცროსი შვილი. ყველა ასეთი შემთხვევა ნაკარნახევი იყო ოჯახის მართვის უნარის საჭიროებით. ასეთ ვითარებაში ყოფილი უფროსის ფუნქციებში შედიოდა უმთავრესად საოჯახო რიტუალისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების დაცვა-შესრულების ორგანიზაცია. ამასთან ერთად, უფროს-უმცროსობის ეტიკეტი ყველა უმცროსს ავალებდა მისადმი განსაკუთრებულ მოკრძალებას, ხოლო ოჯახის პრაქტიკული ხელმძღვანელიც თავს უფლებას არ აძლევდა მასთან დათათბირების გარეშე მიერო რაიმე გადაწყვეტილება. ყოველივე ეს იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ ქსნის ხეობის ქართველ მთიელთა ყოფაში გაღმონაშორი ფორმით შემონახული საოჯახო თემის-ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა სოლიდარული მმართველობის ხასიათი.

\*

მმართველობის სოლიდარულ სისტემასთან ერთად ქსნის ხეობის ქართველი მთიელის ოჯახში არსებობას ინარჩუნებდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც დამახასიათებელი იყო დემოკრატიული ბუნების საოჯახო თემისათვის. მხედველობაში გვაქვს საოჯახო ქონების საზოგადო საკუთრება, რაც დაბატურდა ოჯახების გაყრისა და ქონების განაწილების პრინციპის შესწავლის საფუძველზე.

ვიდრე საველე მასალას გავეცნობოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ალინიშნოს, რომ გაუყოფელი ოჯახის არც ერთი წევრი არ სარგებლობდა პირადი საკუთრების უფლებით. თვით ოჯახის უფროსისაც ამ მხრივ არავითარი პრივილეგია არ ჰქონდა. მას ასევე არ შეეძ



ლო ოჯახის გაყრის დროს ქონება თვითნებურად გაენაწილებოდა და მით უმეტეს რომელიმე მოწილე უწილოდ დაეტოვებინა. გაუყოფელ ოჯახში მამაკაცის პირად საკუთრებად ითვლებოდა მხოლოდ ტანსაცმელი და იარაღი, ხოლო ქალისთვის ტანსაცმელი და მამის ოჯახიდან ქმრის ოჯახში მიტანილი ქონება.

ვინ რა უფლებით სარგებლობდა საოჯახო ქონებაზე და ეს უფლება როდიდან შედიოდა ძალაში, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ოჯახის გაყრის მომენტში ქონების განაწილების პრინციპი. ირკვევა, რომ ქონების მიღების პრეტენდენტები იყვნენ მოწილე მამაკაცები, რომელთა რიცხვის შესაბამისად ხდებოდა ქონების თანაბრად განაწილება. მოწილეებად ითვლებოდნენ ისინი, რომლებიც ოჯახის გაყრის შედეგად გამოყოფილ ოჯახებს სათავეში უნდა ჩასდგომოდნენ. უმეტეს შემთხვევაში მოწილეებად გვევლინებოდნენ მეორე თაობის წარმომადგენლები, რომელთა შორის განსხვავებას უსათუოდ ჰქონდა აღგილი შთამომავლობის რაოდენობის მხრივ, მაგრამ ამ ფაქტორს ანგარიშს არ უწევდნენ ქონების განაწილების დროს. მრავალი შვილისა და შვილიშვილის პატრონი მოწილე იმდენსვე მიიღებდა, რამდენსაც უშვილო მოწილე, ვინაიდან ქონების თანაბრად გაყოფა ხდებოდა მოწილეების რიცხვის. შესაბამისად და არა მათი მდგომარეობის (ასაკი, დამსახურება, შთამომავლობის რაოდენობა) მიხედვით. ნათქვამის დადასტურების მიზნით შეიძლება გავეცნოთ ფაქტობრივ მონაცემებს ზოგიერთი ოჯახის მაგალითზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაყრის მომენტში კაჭიურების 23-სულიანი ოჯახი ოთხ თაობას აერთიანებდა. მათი გაყრა მოხდა ოჯახის მეთაურების—იაკობისა და სალომეს სიცოცხლეში. ვინაიდან მოწილეებად ითვლებოდნენ მათი ვაჟები (ზაქარია და გიგოლი), ქონებაც ორ ნაწილად გაყვეს. უფროს ძმას ზაქარიას, რომელსაც ჰყავდა სამი ვაჟი, ერვნ კალო და ბოსელი, ხოლო გიგოლის, რომელსაც ჰყავდა ოთხი ვაჟი და შვიდი შვილიშვილი (ხუთი ვაჟი და ორი ქალი), წილად ხვდა სახლი (დარბაზი) და საბძელი. სამეურნეო ნაკვეთები, საქონელი და საოჯახო ინვენტარი ორ თანაბარ ნაწილად გაყვეს.

იაკობისა და სალომეს, როგორც მშობლებს, ერვნთ საარსებო მინიმუმი (ორი დღიური სახნავი აღგილი, ორი ძროხა და ათი



ცხვარი). ამ ქონებით ისინი საცხოვრებლად დარჩენენ <sup>ამჟღაპნერების  
შეძლებულებების</sup> შეილ გიგოლისთან. გიგოლისთან მშობლების დარჩენის გამო და-  
ეთმო გიგოლის სახლიც, ვინაიდან საცხოვრებელი ნაგებობის მთა-  
ვარ განკოფილებას ჩვეულებისამებრ უხუცეს უტოვებდნენ. იაკო-  
ბისა და სალომეს გარდაცვალების შემდეგ მათ სახელზე გამო-  
ყოფილი ორი დღიური მიწა, რომელსაც გიგოლი ამჟავებდა, შუ-  
აზე გაიყვეს გიგოლიმ და ზაქარიამ.

1900 წელს მოხდა ჩიტიშვილების დიდი ოჯახის გაყრა სოფ.  
ჩიტიანში. ამ დროს ოჯახის მეთაური გიორგი გარდაცვლილი იყო.  
ცოცხალი იყო მისი მეუღლე, რომელიც კვლავ დიასახლისის მო-  
ვალებისას ასრულებდა, ხოლო ოჯახს ხელმძღვანელობდა მათი უფ-  
როსი შეილი ალექსა. ოჯახის გაყრის დროს გიორგის შეილი ვაკი-  
დან ცოცხალი იყო ხუთი, რომლებიც მოწილეებად ითვლებოდნენ.  
მათ შორის ალექსას ჰყავდა 19 შეილი, ზაქარიას — ოთხი, ბე-  
როს — ოთხი, ვანოს — ერთი, ხოლო ნიკო უშვილო იყო.

ქონება გაანაწილა ამ ხუთი მოწილის დედამ. მან თავისთვის  
აიღო სამარხად (საქელებოდ) გათვალისწინებული ერთი ძროხა,  
ხუთი ცხვარი და ორი ტომარა ქერი. ხუთი მოწილე გაიყო ოთხ  
ოჯახად. ერთ ოჯახში ყოფნა ისურვეს ვანომ და ნიკომ, რომლებ-  
თანაც დარჩა დედაც. დანარჩენი ძმები — ალექსა, ზაქარია და ბე-  
რო ცალ-ცალკე გავიდნენ. დედის ინიციატივით, ალექსას, რო-  
გორც უფროსს, დიდი სახლი მიაკუთვნეს. ერთი პატარა სახლი შე-  
ნვდა ზაქარიას, მეორე პატარა სახლი მის ძირს არსებული ბოს-  
ლით ერგო ბეროს, ხოლო კალო და დიდი ბოსელი წილად ხვდათ  
ვანოს, ნიკოს და მათ დედას.

ხუთ მოწილე ძმაზე მამული გაყვეს ხუთ თანასწორ ნაწილად.  
აქედან დედასთან მყოფ ორ ძმას (ვანოს და ნიკოს) შეხვდა ორი  
წილი (დედას, როგორც ქალს, მამულში წილი არ ჰქონდა), ხოლო  
დანარჩენი სამი წილი ერგო სამ მოწილე ძმას. ოთხმა ოჯახმა  
ასევე ხუთ მოწილეზე გაიყო საქონელი და დგამ-ჭურჭელი, მაგრამ  
ოჯახის გაყრიდან ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა უშვილო  
ძმა ნიკო, რის გამო ქონება ხელისხლა გადაანაწილეს დარჩენილ  
ოთხ მოწილეზე. არ გადაუნაწილებიათ მხოლოდ საცხოვრებელი  
და სამეურნეო ნაგებობანი.

ცვლილებები მოხდა იმ მხრივაც, რომ გარდაცვლილი ძმის  
აღგიღზე ბერო მივიღა და შეუერთდა ვანოს, რის შემდეგ დედა

ისევ ორ შვილთან ერთად იმყოფებოდა. ალექსა და ზაქარია ცალკე ოჯახებად ცხოვრებას განაგრძობდნენ. ყოველივწლიურა შედეგად ოთხი მოწილე სამ ოჯახად დასახლდა.

როგორც ვხედავთ, საცხოვრებელი ნაგებობის კომპლექსიდან უფროს ძმას ალექსას შეახვედრეს უკეთესი წილი. თუ კაჭიურების ოჯახის გაყრისას დარბაზი (სახლი) უმცროს ძმას ერვო იმ მოტივით, რომ შშობლები საცხოვრებლად მასთან დარჩნენ, ჩიტი-შვილების ოჯახში ეს წესი არ დაუცავთ. მოწილეებს, რომლებთანაც დედამ არჩია ცხოვრება, მისივე ინიციატივით, მიაკუთვნეს არა სახლი, არამედ კალო და ბოსელი. ამ შემთხვევაში მან დაიცვა ოჯახის ფაქტიური ხელმძღვანელის — თავისი უფროსი შვილის საუფროსო უფლება.

მოწილეების მიხედვით ქონების გაყოფა მოხდა სოფ. უკანუბანში მცხოვრები ჩიტი-შვილების ოჯახის გაყრის დროსაც 1915 წელს. ამ მომენტში თვით მოწილეები (სიხა და გაბო) ცოცხლები აღარ იყვნენ. ამ თაობიდან ცოცხალი იყო შხოლოდ გაბოს მეუღლე. მისთვის მიუციათ საქელეხოდ გათვალისწინებული ერთი ძროხა და სამი ტომარა ქერი. საოჯახო ქონება გაუყვიათ სიხას და გაბოს შვილებზე ოთხ თანაბარ ნაწილად. ამ დროისათვის სიხას შვილებიდან ერთი (შაქრო) გარდაცვლილი იყო, ხოლო ორი (გიორგი და ილიკო) ცოცხალი. გაბოს ორივე შვილიც (ნიკო და მიხა) ცოცხლები იყვნენ. ამ ოთხ კაცზე ქონების ოთხად განაწილებით ქონების განაწილების ტრადიცია არ დარღვეულა, რადგანაც თითოეული გარდაცვლილი მოწილის სახელზე ოჯახის გაყრის მომენტში ორ-ორი შვილი იმყოფებოდა. სიხას შვილებს ზუსტად იმდენი ერგოთ, რამდენიც გაბოს შვილებს. ქონების თანაბრად განაწილების პრინციპი დაირღვეოდა იმ შემთხვევაში, თუ სიხას მესამე შვილი შაქროც ცოცხალი იქნებოდა და ქონების გაყოფა მოხდებოდა არა გარდაცვლილი მოწილეების (სიხას და გაბოს) მიხედვით, არამედ მათი შვილების რაოდენობის შესაბამისად.

იმავე სოფელში დავამოწმეთ ისეთი ვითარებაც, როდესაც მოწილეების მიხედვით ქონების განაწილების პრინციპი ირღვეოდა. ასე მომხდარა პავლიაშვილების ოჯახის გაყრისას, როდესაც ორი მოწილიდან (ივანე, საკა) ივანე უკვე გარდაცვლილი იყო. ცოცხლები იყვნენ საკა და მისი რძალი (ივანეს ქვრივი). ივანეს

ცოლს მისცეს ერთი ძროხა, სამი ცხვარი და სამი ტომარქა შეარტყო  
ოჯახი გაიყო სამ ნაწილად და ქონებაც სამად გაყვეს. ერთ-ერთ შეარტყო  
ში მოხვდნენ ლექსო და შაშო (ივანეს შვილები). მეორე ოჯახადაც  
ივანეს შვილები (გიორგი, იოსება, სერგო) გამოიყვნენ, ხოლო მე-  
სამე ოჯახად გამოცალკევდნენ საკა და მისი შვილი გოგია.

ამის შესაბამისად სამ თანაბარ ნაწილად გაყვეს საცხოვრებე-  
ლი და სამეურნეო ნაგებობანი, სახნავ-სათიბი ადგილები, საქო-  
ნელი და საოჯახო ინვენტარი. ოჯახის გაყრის წელს არსებული  
პროდუქტები და მარცვლეული კი სულთა რაოდენობის მიხედვით  
გაუნაწილებიათ.

როგორც მთხრობელმა აღნიშნა, პავლიაშვილების ოჯახმა  
დაარღვია ქონების განაწილების ტრადიცია. ქონება მათ უნდა გა-  
ეყოთ ორად, ვინაიდან მოწილეებად ითვლებოდნენ ივანე და საკა. ამ შემთხვევაში კი საკას ქონების ნახევრის ნაცვლად ერგო მხო-  
ლოდ მისი მესამედი ნაწილი. ჩაწერილი მასალის მიხედვით, პურის  
მარაგისა და პროდუქტების სულებზე განაწილებაც არ უნდა მომ-  
ხდარიყო, ვინაიდან, ძველი ჩვეულების მიხედვით, ყველაფერი მო-  
წილებზე იყოფოდა.

დამოწმებული მაგალითების მიხედვით, რაც ზოგადი ვითა-  
რების კონკრეტულ მომენტებს გვაცნობს, აშკარად ჩანს, რომ საერ-  
თო-საოჯახო ქონება თანაბრად ნაწილდებოდა მოწილეებს შორის. ამ პრინციპის დარღვევის შემთხვევები მოწმდება შედარებით  
გვიანდელი მასალებით, როდესაც გადმონაშთური ფორმით შემორ-  
ჩენილი საოჯახო თემი კვდომის სტადიაში იმყოფებოდა.

ქსნის ხეობის ქართველი მთიელის დიდი ოჯახისთვის დამა-  
ხასიათებელ მომენტად გვესახება უფროსი მოწილისთვის გარკვე-  
ული უპირატესობის მინიჭება. ჩვეულებისამებრ მას უთმობდნენ  
მამა-პაპური სახლის მთავარ განყოფილებას, ზოგჯერ ზედმეტ მი-  
წასაც აკუთვნებდნენ ან თანაბრად გაყოფილი ნაკვეთებიდან ამო-  
რჩევის შესაძლებლობას აძლევდნენ. ხშირ შემთხვევაში უფროსის  
დამსახურებას აღნიშნავდნენ მისთვის ზედმეტი საქონლის გამოყო-  
ფით ან მამა-პაპური იარაღის მიცემით. უფროსი მოწილის სახელზე  
რაიმე სახის ზედმეტ ქონებას საუფროსო ერქვა და საკვლევ  
კუთხეში მისი არსებობა ყოველი მთხრობლისთვის ისევეა ცნო-  
ბილი, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებსა და კავკასიის რიგ

ხალხებში, მაგრამ ქსნის ხეობის მთიანეთში, სხვა კუთხეების ან ლოგიურად, საუფროსოს გამოყოფა სავალდებულოდ არ შეძლება მოდა. ყოველ შემთხვევაში, საუფროსოს მოთხოვნის უფლებით უფროსი მოწილე არ სარგებლობდა. მისთვის ზედმეტი ქონების მიცემა მოწილეების შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა და ამდენად ნებაყოფლობითი ხასიათისა იყო, მაგრამ ვინაიდან საუფროსოს მიყუთვნება გამართლებული იყო უფროსის დამსახურებით, მოწილეებისაგან ამ პატივისცემას იშვიათად თუ რომელიმე უფროსი ასცდებოდა. აღნიშნული მომენტი სავსებით გამორიცხავს საუფროსო წილში მაიორატის დანახვის შესაძლებლობას. ასევე შეუძლებელია დაეინახოთ მინორატის ნიშნები უმცროსი მოწილისთვის ზედმეტი ქონების მიყუთვნებაში, ვინაიდან კუთვნილ წილს გარდა რამდენიმე სული ცხვარ-ძროხა ეძლეოდა მხოლოდ უცოლო უმცროს მოწილეს მოსალოდნელი საქორწილო ხარჯების დასაფარავად, იმ ხარჯებისა, რაც ცოლშვილიან მოწილეებს გალებული ჰქონდათ გაუყოფელი ოჯახის საერთო ქონებიდან.

საოჯახო საკუთრებისათვის დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენდა ისიც, რომ მშობლები წილის მიღების უფლებით არ სარგებლობდნენ. ეს იმიტომ, რომ დიდი ოჯახის გაყრა მიზანშეწონილად ითვლებოდა მხოლოდ პირველი თაობის წარმომადგენელთა (ე. ი. მშობლების, ოჯახის ხელმძღვანელების) გარდაცვალების შემდეგ, რის გამო მათთვის წილის გამოყოფაც გამორიცხული იყო. მაგრამ როგორც ზემოთ აღწერილი ოჯახების მაგალითზე დავინახეთ და როგორც ეს ნათლად ჩანს ადგილზე ფიქსირებული სხვა მონაცემების მიხედვითაც, ზოგი ოჯახი მშობლების გარდაცვალებამდეც იყოფოდა. ასეთი შემთხვევებიც უმთავრესად გვიანდელი მასალებით დასტურდება, მაგრამ მსგავს მოვლენებს წარსულშიც ჰქონია ადგილი და ხალხსაც დაუწესებია მშობლებისთვის საარსებო მინიმუმი თუ მათი დამარხვისათვის საჭირო ხარჯები. საცულისხმოა ის გარემოება, რომ მშობლებისთვის გამოყოფილ დოკუმენტს ეწოდებოდა სამარხი. ეს ტერმინი იმის მაჩვენებელი ჩანს, რომ ოჯახის გაყრა როდესაც მშობლების გარდაცვალებამდე მოხდებოდა, მოხუცებს აღსასრული მოახლოვებული ჰქონდათ და მათთვის გამოყოფილი საქონელი თუ მარცვლეულიც უმთავრესად საქელეხოდ გამოყენებული შეიძლებოდა ყოფილიყო.

დასასრულ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წილის მიღების უფლება ქალებს არ ჰქონდათ. გასათხოვარ ქალს უმზადებდნენ უფლება ლოდ უმნიშვნელო ღირებულების მზითევს (ტანსაცმელი, ლოგინი, სკიფრი, პირადი ნივთები). მზითევის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა აგრეთვე საქონელი (ზოგს ატანდნენ ერთ ძროხას, ზოგს ხელს, ზოგს რამდენიმე ცხვარს), რასაც სათავნო ერქვა. ქმართან მისული ქალის პირად საკუთრებად ითვლებოდა მოყვანილი საქონელი (თავნი) და მისი ნამატის ნახევარი. ამიტომ ოჯახის გაყრის დროს ეს საქონელი ქონების განაწილების გარეშე რჩებოდა და ულაპარაკოდ ქალს ეძლეოდა. ასევე ხდებოდა ქმართან გაყრის შემთხვევაშიც.

ვინაიდან სათავნოს თავნი და მისი ნამატის ნახევარი ყველა ასაკის რძლის პირად საკუთრებას შეადგენდა, ამ უფლებით სარგებლობდა ქვრივიც. ამასთან ერთად, ქვრივს, მისი მდგომარეობის შესაბამისად, სხვა სახის ქონებასაც აძლევდნენ. თუ რომელიმე მოწილის ქვრივს ვაჟიშვილები ჰყავდა, ის სრულ წილს დებულობდა. თუ მას მხოლოდ ქალები ჰყავდა, აძლევდნენ საარსებო საშუალებას ძირითადად საქონლის სახით და სამეურნეო ნაკვეთებს დროებით სარგებლობაში. ქალების გათხოვებისა და ქვრივის გარდაცვალების შემდეგ კი მიწას მისი მაზლები ან მაზლის შვილები იყოფდნენ. მის გათხოვილ ქალებს მიწის ნაკვეთის მითვისება ან გასხვისება არ ჰქონდოთ. თუ ქვრივი სულ უშვილო იყო და ქმრის ოჯახიდან წასვლას არ მოისურვებდა, მასაც გამოუყოფდნენ საარსებო წყაროს, მაგრამ მამის ოჯახში დაბრუნებულ ან გათხოვების მსურველ ქვრივს უფლება ჰქონდა ქმრის ოჯახიდან გაეტანა მხოლოდ თავისი მზითევი, მოყვანილი პირუტყვი და მისი ნამატის ნახევარი.

ამგვარად, ქსნის ხეობის ქართველ მთიელთა საოჯახო ყოფის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენდა საოჯახო ქონების კოლექტიური საკუთრება, რაც გამორიცხავდა ერთპიროვნული საკუთრების შესაძლებლობას. ეს ნიშანიც, ისევე როგორც სხვა ძირითადი მომენტები (რამდენიმე თაობისა და საქორწინო წყვილის ერთად ცხოვრება, მმართველობის სოლიდარული სისტემა, შრომის ორგანიზაცია...) დამახასიათებელი იყო საოჯახო თემისათვის, რომელმაც საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებთან ერთად,



ქსნის ხეობის მთიანეთშიც XIX საუკუნის ბოლომდე გაფინანსდა  
თური ფორმით იარსება.

ქსნის ხეობის ქართველ მთიელთა ყოფაში ამ საკითხის შესწავლამ გამოავლინა დიდი მსგავსება ამავე ხეობაში დასახლებული ასების, სხვა კუთხეების მთიელების (მთიულები, გუდამაყრელები, მოხევეები...) და ჩრდილო კავკასიელი ხალხების (ოსები, ვეინახები) საოჯახო ყოფის ძირითად ელემენტებთან, რაც აიხსნება ქართველი და კავკასიელი მთიელების მსგავსი სამეურნეო-ეკონომიკური პირობებით და საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების შემხედვით მომენტებით. ამიტომ ქსნის ხეობის ქართველ მთიელთა საოჯახო ყოფის შესწავლამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა საოჯახო თემის გადმონაშობის კვლევის საჭიროება, რასაც საბჭოთა ეთნოგრაფიაში, როგორც უკვე ითქვა, ბოლო დროს კიდევ უფრო აქტუალური მნიშვნელობა მიენიჭა.

## సారిమి 30

సాంక్షాఖ్య పుట్టా	మతిశ్చల్యేత-గుర్దామాయార్థి	6
అంశాల్ని శ్రేధించగాన్నింపు		7
అంశాల్ని ఉపానమిశ్చరి సామృద్ధుల్యేభి		23
అంశాల్ని గమార్హత్వాల్యుల్పింపిసి సిస్ట్రోమిం ద్వా మాసిం వాస్తవి శిల్పమిసి		42
అంశాల్ని శ్రేష్ఠించాల్చి		49
అంశాల్ని గాపురిసి వ్యేసి ద్వా క్షోన్చేభిసి గాంచించిల్యేభిసి తీరొన్చుపించి		70
సాంక్షాఖ్య త్వామిసి గాంధించిశ్చోభి క్షెనిసి క్షోపిసి క్షార్హత్వాల మతిశ్చల్యేభి		

რედაქტორი ირ. არაბული  
შხატვარი ა. თევზაძე  
შხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე  
კორექტორი ზ. გვიმრაძე  
გამომშვები ა. სააკაძე

გადაეცა წარმოებას 16/XI-1973. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV.74.  
ქალალდის საბ № . . . ზომა 60×841/16. პირობ. ნაბ. თაბახი 6.05.  
საალრ-საგამომც თაბახი 5.12. უკ 08461. ტირაჟი 5000. შეკვ. № 2908;  
ფასი 18 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტაზოვის ქ. 19.  
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



Валериан Джамбулович Итонишвили

Из жизни и быта горцев Картли

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1974

ც 3 :

902.7



902.7

20070101000

7-40